# გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!


# საერთო გაზეთი

№15 (368) • 27 აპრილი, 2016 წ.• გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.20 ლ.




## პოლიტიკური ჭადრაკი და ბიძინა ივანიშვილი

„რა თქმა უნდა, გინახავთ, როგორ ეთამაშება ერთი მოჭადრაკე 40-50 (ხანდახან მეტსაც) ადამიანს ერთდროულად. ერთდროული თამაშის სეანსი ჰქვია ამას მოჭადრაკეების ენაზე. ბიძინა ივანიშვილიც იმ მოჭადრაკესავით ერთდროული თამაშის სეანსს ატარებს, აგერ უკვე მეხუთე წელია და ჯერჯერობით ყველა პარტიას იგებს.“



გიორგი კვირიკაშვილი:

## „საქართველოს უკან დასახევი გზა არ აქვს...

გოჩა ზეიკიძე:

## მცხეთა-მთიანეთი – მწვანე მიმართულების რეგიონი





## უნივერსიტეტი შიზოფრენიულ მდგომარეობაში იმყოფება!



## ან „ენდიაი“ და „აირაი“ აყალბებენ სოციოლოგიურ გამოკვლევებს, ან ქართველი ხალხი საჭიროებს მკურნალობას

## მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?

## „ჩინგიზ ხანი“ პოლიტიკაში მოდის?

## ვერელი თორაძეების ტრაგედია

დასასრული, დასაწყისი „სგ“ №13,14


გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა 2016 წლის 11 მაისს

# რედაქტორის ჩანაწერები



## პოლიტიკური ჭადრაკი და ბიძინა ივანიშვილი

რა თქმა უნდა, გინახავთ, როგორ ეთამაშება ერთი მოჭადრაკე 40-50 (ხანდახან მეტსაც) ადამიანს ერთდროულად.

ერთდროული თამაშის სეანსი ჰქვია ამას მოჭადრაკეების ენაზე.

ბიძინა ივანიშვილიც იმ მოჭადრაკესავით ერთდროული თამაშის სეანსს ატარებს, აგერ უკვე მეხუთე წელია და ჯერჯერობით ყველა პარტიას იგებს.

პოლიტიკური ჭადრაკია ეს ჭადრაკი – ჩვეულებრივ ჭადრაკზე გაცილებით რთული, სპეციფიკური ტექნოლოგიით, სპეციფიკური წესებით და, რაც მთავარია, სპეციფიკური ხასიათის და ზნე-ჩვეულების მოთამაშეებით, რომლებიც თამაშის წესებს ხშირად არღვევენ.

მიუხედავად ამისა, როგორც ვთქვით, ბიძინა ივანიშვილს ამ ხნის განმავლობაში არც ერთი პარტია არ წაუგია ამ ყველაფრის მკადრებელ „მოჭადრაკეებთან“.

**მართალია, ბატონი ბიძინა ხშირად იმეორებს, რომ ის პოლიტიკოსი არ არის და პოლიტიკა არ უყვარს, თუმცა, პოლიტიკაში მისი შემოსვლის დღიდან დღემდე მის მიერ ნათამაშევ პოლიტიკურ „პარტიებს“ თუ გავაანალიზებთ, უდავოდ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ მისი დონის პოლიტიკური მოთამაშე საქართველოს დიდი ხანია არ ჰყოლია.**

ისე, როგორც მოჭადრაკე, პოლიტიკოსიც იმით ფასდება, რამდენად შეუძლია მას წინასწარ გათვალოს სვლები, წინასწარ გაიანგარიშოს კომბინაციები, განსაზღვროს მოწინაალმდეგის საპასუხო დარტყმები, ჩასწვდეს მის ხასიათს, გაერკვეს მისი ფსიქოლოგიის თავისებურებებში.

2011 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკური ჭადრაკის დაფაზე არ გაუკეთებია არც ერთი მცდარი სვლა, ხოლო 2011 წელს დაწყებული ზოგიერთი რთული კომბინაცია, რომელსაც შეცდომად მივიჩნევდით, მან გამარჯვებით დაასრულა 2016 წლის გაზაფხულზე ზუსტად იმ დროს და იმ მომენტში, როცა ამის გაკეთება ყველაზე სწორი, ყველაზე საჭირო და ყველაზე ეფექტური იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მრავალრიცხოვანი პოლიტიკური პარტიები სხვადასხვა სახის მაღალფარდოვან განცხადებებს აკეთებენ, საუბრობენ პოლიტიკურ პლატფორმებზე და ახალ იდეებსა და პროექტებზე, სინამდვილეში ყველანი ისინი ერთ „მოჭადრაკეს“, ბიძინა ივანიშვილს, ეთამაშებიან და ზოგჯერ ღიად, ზოგჯერ ფარულად, ცოტაოდენ დანდობას და ლმობიერებას ითხოვენ მისგან, რომ გარდაუვალი შამათისგან თავი დაიხსნან.

ამ ნახევარი წლის წინათ, ერთერთი საჭადრაკო ჩემპიონატზე შეჯიბრებიდან მოხსნეს მოჭადრაკე, რომელიც თამაშის დროს ხშირ-ხშირად შედიოდა ტუალეტში.

როგორც გაირკვა, გონებამახვილი მოჭადრეკე ტუალეტში კომპიუტერის საშუალებით უკავშირდებოდა კონსულტანტებს, რომლებიც მას საჭირო სვლებს და კომბინაციებს კარნახობდნენ.

ჩვენი „მოჭადრაკე“ პოლიტიკოსებიც სულ ტუალეტში სხედან და,



დიდი ალბათობით, თავიანთი უცხოელი მწვრთნელებისა და კონსულტანტებისგან იღებენ ინსტრუქციებს და დარიგებებს.

არაფერი გამოვა აქედან – ერთდროული თამაშის სეანსს, კოდური სახელწოდებით „საპარლამენტო არჩევნები“, კვლავ „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი მოიგებს!



### ან „ენდიაი“ და „აირაი“ აყალბებენ სოციოლოგიურ გამოკვლევებს, ან ქართველი ხალხი საჭიროებს ფსიქიატრიულ მკურნალობას

ორი ვარიანტია: ან „ენდიაი“ და „აირაი“ აყალბებენ სოციოლოგიურ გამოკვლევებს, ან ქართველი ხალხი „გამოკვლევებულა“ ბოლომდე და სასწრაფოდ საჭიროებს ფსიქიატრიულ მკურნალობას.

სამკურნალოა ერი, აბა, რა არის, რომელიც „ნაცმოძრაობის“ ცხრაწლიანი სადისტურ-მანიაკალური რეჟიმის შემდეგ კვლავ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებს დაუჭერს მხარს, ხოლო ყველაზე სანდო და სანდომიან პოლიტიკოსად მამრობითი სქესის ქართველ ჯოკონდას, დავით ბაქრაძეს, მიიჩნევს.

სამკურნალოა ერი, რომელიც ყველაზე პერსპექტიულ პოლიტიკოსად აბსოლუტურად არაპოლიტიკურ ფიგურას, მომღერალ პაატა ბურჭულაძეს, დაასახელებს.

სიმღერა კარგია, მაგრამ რა შუაშია იგი პოლიტიკასთან, რა შუაშია ქვეყნის მართვის ხელოვნებასთან, მით უმეტეს, როდესაც ამ მომღერალს აქამდე არასოდეს გამოუჩენია პოლიტიკური აქტიურობა.

როგორც ადრე ვწერდით, „ნაცმოძრაობა“ გვარბევდა, ხელკეტებს გვიხაპუნებდა, გაზით გვწამლავდა, „დუბინკებით“ და ცოცხის ტარით გვაუპატიურებდა, **ბატონი პაატა მღეროდა**.

„ნაცმოძრაობა“ ქუჩაში ხვრეტდა უდანაშაულო მოქალაქეებს, ციხეში ყრიდა ათასობით ადამიანს, ძარცვავდა, არეკეტებდა, აყაჩაღებდა მოსახლეობას, **ბატონი პაატა მაინც მღეროდა და მღეროდა**.

მთელი ამ ხნის განმავლობაში

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



ერთი პროტესტის სიტყვა არავის სმენია მისგან – მღეროდა და ხავერდოვანი ბანით „ახავერდებდა“ „ნაცმოძრაობის“ მიერ დაწიოკებული ქვეყნის კვნესას და გმინვას.

ვისარგებლებ შემთხვევით და ბარემ აქვე ვიტყვი: ოდესის გუბერნატორთან ვიზიტის შემდეგ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ პაატა ბურჭულაძე მისი ფარული მოკავშირე და სატელიტია.

ჰოდა, ასეთ კაცს ერი იმედად და მხსნელად რომ ჩათვლის, ის ერი სამკურნალოა, აბა, რა არის?

**სამკურნალოა ერი, რომელიც დიდ ქველმოქმედსა და მეცენატს, რომელსაც უამრავი სიკეთე აქვს მისთვის გაკეთებული, უკან დასწევს და წინ არაფრისმაქნის მოლაყბეებს დაუყენებს, რომლებსაც ენის ტარტალის და მავნებლობის გარდა თითი თითზე არ დაუკარებიათ და ქვა ქვაზე არ დაუდიათ ქვეყნის საკეთილდღეოდ.**

დიახ, სამკურნალო ერი ვართ ჩვენ! – აი, ასეთ სამწუხარო დასკვნამდე მივალთ, „ენდიაის“ და „აირაის“ კვლევებს სარწმუნოდ თუ მივიჩნევთ.

ჰო, მაგრამ მთლად ასეთი სულელები, ბრიყვები და შეშლილები რომ არ ვართ, როგორც ზემოთხსენებული ეს ორი ორგანიზაცია წარმოგვაჩენს?

ჩვენი გონიერებით და წინდახედულობით ვარსკვლავებს თუ არ ვწყვეტთ, შავს და თეთრს, გიჟს და ჭკვიანს, კეთილსა და ბოროტს მაინც ხომ ვარჩევთ ერთმანეთისგან, „ენდიაი“ და „აირაი“ კი შეურაცხყოფას გვაყენებს და მთლად გონებაჩლუნგებად გამოვყავართ.

ვიღაცას ჰგონია, რომ არჩევნები პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პარტიების გამოცდაა.

არა, ბატონებო, არჩევნები, პირველყოვლისა, ამომრჩევლის გამოცდაა, მისი ინფორმირებულობის, მისი ინტელექტის, მისი წინდახედულობის, გნებავთ, მისი პატრიოტიზმისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების შემოწმების უტყუარი საშუალებაა.

საზოგადოების სახე არჩევნებში ისე ჩანს, როგორც – სარკეში. როგორებიც ვართ სინამდვილეში, ისეთივე იქნება არჩევნების შედეგები.

ჰოდა, მოდით, ამ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ყველამ ერთად დავუმტკიცოთ „ენდიაის“, „აირაის“ და საერთოდ, მთელ მსოფლიოს, რომ საღად მოაზროვნე, გონიერი ერი ვართ და სამკურნალო და საექიმო არაფერი გვჭირს...

## გაყიდული რეიტინგები და გაკოტრებული პარტიები

რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, მით უფრო, მკვეთრი და კატეგორიული ხდება პოლიტიკური პარტიების მოთხოვნები – ითხოვენ საარჩევნო სისტემის შეცვლას, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას, ბარიერის დაწევას, მთლიანად პროპორციულ სისტემაზე გადასვლას და ა. შ.

ამ ხმამაღალი მოთხოვნების უკან, რომლებიც სახელმწიფოებრივი ინტერესების და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რანგში აჰყავთ მოთხოვნათა ავტორებს, სინამდვილეში ვიწრო პარტიული და ფრიად ეგოისტური ინტერესები დგას – თუ მთლად პარლამენტში შესვლა არა, რაღაც ხეირი მაინც ნახონ ამ არჩევნებიდან.

საქართველოში არჩევნები თხილის კრეფის სეზონს დაემსგავსა – ყველას უნდა პაწა ფული იშოვოს, მარაქაში გაერიოს და, რაც მთავარია, იმ ერთი თხილის გული მასაც გაუნაწილონ.

ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო, ნათქვამია, მაგრამ ერთი თხილის გული ორასმა ძმამ გაიყო და ყველა კმაყოფილი დარჩაო, ასეთ რამეს ანდაზა არ ამბობს.

საქართველოში კი, მოგეხსენებათ, ორასამდე პარტიაა და ეს ერთი თხილის გული ყველას რომ ვერ შეხვდება, ცხადია, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხენ და ყაყანსა და გნიასს მაინც არ წყვეტენ.

კარგად მახსოვს, ამ პარტიებიდან რამდენიმეს თავის დროზე ძალიან მაღალი რეიტინგები ჰქონდათ და ათასობით კი არა, ასიათასობით ადამიანი გამოჰყავდათ ერთ დაძახებაზე, რომლებსაც წაღმა-უკუღმა დააპროწიალებდნენ თავიანთ ჭკუაზე.




ივანიშვილთან და „ქართულ ოცნებასთან“ რა გინდათ – არ გაგეყიდათ თავის დროზე ეგ თქვენი რეიტინგები და დღეს ქართულ პოლიტიკაში სულ სხვა ადგილი გექნებოდათ და თქვენს სიტყვას და საქმესაც სხვა წონა ექნებოდა.

ადამიანს შეუძლია, ვისაც უნდა იმას მიჰყიდოს ის, რაც მას ეკუთვნის, რაც მისია, მაგრამ თქვენ გაყიდეთ ის, რაც თქვენ არ გეკუთვნოდათ, ანუ გაყიდეთ ქვეყნისა და ხალხის ინტერესები, ხალხის იმედი, ხალხის სურვილები, რომელიც ხალხმა თქვენ განდოთ, თქვენ ჩაგაბარათ, თქვენ კი ადექით და ეს ყველაფერი გაუყიდეთ და გაუსხვისეთ.

ყოველივე ამის შემდეგ, მე თუ მკითხავთ, თქვენი ადგილი საერთოდ არ არის ქართულ პოლიტიკაში.

თქვენ პოლიტიკა აღებ-მიცემობის ასპარეზად, სავაჭრო ფუნდუკად აქციეთ, სადაც სულ თქვენ გინდათ დახლში იდგეთ.

ამიტომ ყვირიხართ და წივიხართ საარჩევნო სისტემის შეცვლაზე, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე – იქნება და, დახლში დგომის შანსს გამოჰკრათ ხელი.

ახლა რომ სახვეწრად და სამათხოვროდ გაიხადეთ საქმე, რა უყავით თქვენ ის რეიტინგები, პატივცემულო პარტიებო?

რა უყავით და გაყიდეთ, ამ სიტყვის გადატანითი კი არა პირდაპირი მნიშვნელობით.

**გაყიდეთ, ჯიბეები გაისქელეთ, მილიონები იშოვეთ, მაგრამ პოლიტიკურად გაკოტრდით და ახლა ეს პოლიტიკურად გაკოტრებულები „ქართულ ოცნებას“ და ბიძინა ივანიშვილს მიადექით პრეტენზიებით და ულტიმატუმებით?**

ერთი იდეა მაქვს – იქნებ დაიწეროს ბოლო ოცი წლის განმავლობაში პოლიტიკური პარტიების მიერ გაყიდული რეიტინგების, კულუარული გარიგებების და აღებ-მიცემობების ისტორია.

თუ ეს გაკეთდება, დარწმუნებული ვარ, ის იქნება ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო და შემაძრწუნებელი ამბავი, რაც ჩვენს ქვეყანას ოდესმე გადახდენია.



# გიორგი კვირიკაშვილი:
# „საქართველოს უკან დასახევი გზა არ აქვს, ჩვენ არჩევანი გავაკეთეთ“




საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი სამუშაო ვიზიტით იმყოფება ამერიკის შეერთებულ შტატებში. ქართველი პრემიერი შეხვდება როგორც სენატისა და კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის წევრებს, ისე ბიზნესწრეების წარმომადგენლებს, მაგალითად, მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის ხელმძღვანელებს, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს. ვიზიტის სამუშაო განრიგის თანახმად, დაგეგმილია საქართველოს მთავრობის მეთაურის გამოსვლები ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში, შეხვედრა ბოსტონში მცხოვრებ ქართველ სტუდენტებთან.

ამერიკაში ვიზიტამდე საქართველოს პრემიერ-მინისტრს საპასუხისმგებლო ვიზიტი და გამოსვლა ჰქონდა სტრასბურგში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე. ასეთი რანგის საერთაშორისო ტრიბუნა და ქვეყნის პირველი პირის გამოსვლა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევ ევროპელ კოლეგებში და მით უმეტეს მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მეთაურის გამოსვლა იმ კონკრეტულ პერიოდში, როცა ევროპული სტრუქტურები საქართველოსთვის ესოდენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებენ ჩვენი ქვეყნის ევროპასთან ინტეგრაციის მისაღწევად. კვირის დასაწყისშივე ბრიუსელში, ევროპარლამენტის სამოქალაქო თავისუფლებათა, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა კომიტეტის (LIBE) სხდომაზე განიხილეს: 1. საქართველოს იმ ქვეყნების სიიდან ამოღების საკითხი, რომელთაც საზღვრის გადაკვეთისას ვიზა სჭირდებათ და 2. უვიზო ქვეყნების სიაში საქართველოს შეტანის საკითხი. ამ თემაზე მოხსენება ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენელმა, ბულგარელმა მარია გაბრიელმა გააკეთა.

საარჩევნო წლის განმავლობაში ქვეყნის მთავრობის მეთაურის ნებისმიერი ვიზიტი უცხოეთში ემსახურება სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების განმტკიცებას, ახალი საინვესტიციო პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას, პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას, და რასაკვირველია, საქართველოს ხელისუფლების იმ მთავარი გზავნილების გაცნობას, რომლებიც დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრების გზაზე დამდგარი საქართველოს მთავრობისა და მოსახლეობისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

სტრასბურგში საქართველოს მთავრობის მეთაურის ვიზიტი მიმდინარეობდასაქართველოს დამოუკიდებლობის 25-ე წლისთავისადმი მიძღვნილი იმ ღონისძიებების ფარგლებში, რომლებიც აღინიშნება როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე ევროპის სახელმწიფოებში. ამ თარიღთან დაკავშირებით პრემიერმა ევროსაბჭოს შენობაში საგანგებო მიღება გამართა, რომელსაც ესწრებოდნენ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი, ევროსაბჭოს წარმომადგენლები, საპარლამენტო ასამბლეის დეპუტატები, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები.

**„საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, რომ დამოუკიდებლობის 25-ე წლისთავი აღინიშნება ევროპელი მეგობრების გარემოცვაში და ევროპის საბჭოს შენობაში, რომელიც ევროპული დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და კანონის უზენაესობის სიმბოლოა. მადლობას გიხდით მხარდაჭერისთვის, რომელსაც დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან უცხადებთ საქართველოს, იმ უმძიმესი წლების ჩათვლით, როდესაც უკიდურესად მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის სახელმწიფოებრიობის განმტკიცება. გამოვთქვამთ გულწრფელ იმედს, რომ ეს მნიშვნელოვანი ურთიერთობა არა მარტო გაგრძელდება, არამედ კიდევ უფრო გაღრმავდება. ცხადზე ცხადია, რომ ჩვენი პარტნიორობის, ჩვენი საერთო ფასეულობებისა და კულტურის წყალობით, საქართველო იქცა დინამიკურ და თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოდ“,** — განაცხადა საქართველოს პრემიერმინისტრმა და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ პედრო აგრამუნტთან ერთად შესვა იმ ფასეულობებისა და პრინციპების სადღეგრძელო, რომლებიც ყველა ევროპულ სახელმწიფოს აერთიანებს.

გიორგი კვირიკაშვილისა და პედრო აგრამუნტის შეხვედრაზე განხილვის მთავარი თემები იყო საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების, კანონის უზენაესობის, სასამართლო სისტემისა და ადამიანის უფლებების მიმართულებით განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმები, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები და რეგიონში არსებული ვითარება. პრემიერ-მინისტრმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს კიდევ ერთხელ დაუდასტურა, რომ მთავრობა უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, გამჭვირვალე, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას.

**„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ევროპელ მეგობრებთან ერთად განვიხილოთ საქართველოში მიმდინარე რეფორმები, რათა ჩვენმა ევროპელმა მეგობრებმა მეტი იცოდნენ იმ მიღწევების შესახებ, რომლებიც საქართველოს აქვს. მნიშვნელოვანი იქნება იმ კითხვებზე პასუხი, რომლებიც შესაძლოა, დაისვას. ჩვენ ვისაუბრეთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ჰუმანიტარულ მდგომარეობასა და სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მნიშვნელობაზე“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და საქართველოს ევროპელ მეგობრებს ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში უწყვეტი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

გიორგი კვირიკაშვილს შთამბეჭდავი გამოსვლა ჰქონდა ევროსაბჭოში, საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე, სადაც ილაპარაკა ადამიანის უფლებების დაცვის, კანონის უზენაესობის, ინსტიტუციური და დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის თვალსაზრისით საქართველოში განხორციელებულ რეფორმებზე. კარგად აგებული, მკაფიო აქცენტებით შედგენილი ეფექტიანი და გულწრფელი გამოსვლა პოლიტიკოსებმა და ექსპერტებმა შეაფასეს როგორც თავდაჯერებული, ზომიერი, ინფორმაციულად გაჯერებული, მშვიდი და საქმიანი; როგორც გამოსვლა განათლებული, გაწონასწორებული პიროვნებისა, ევროპელი ლიდერისა ევროპის საბჭოში.

### ამონარიდები ევროსაბჭოს საპარლამეტო ასამბლეის სესიაზე გიორგი კვირიკაშვილის გამოსვლიდან:

დღეს ჩემი აქ ყოფნის მიზანია ერთიანი და თავისუფალი ევროპის ხედვისადმი საქართველოს ერთგულების კიდევ ერთხელ დადასტურება მაშინ, როდესაც ამ ხედვის რწმენა საყოველთაო გამოცდის წინაშე დგას. საქართველოსთვის ეს პროცესი შეუქცევადია. ჩვენ დიდი ხნის წინ გავაკეთეთ ჩვენი არჩევანი. **დიდი გზა გამოვიარეთ იმისათვის, რომ ერთიანი და თავისუფალი ევროპის წევრი ქვეყანა გავმხდარიყავით.**

ევროპის საბჭოს წევრობამ უზრუნველყო ჩვენი ევროპეიზაცია, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით, რაც მოიცავს ჩვენი ისტორიული ფესვების დაფასებას და თითოეული მოქალაქის გაძლიერებას.

ევროპელობა გეოგრაფიული ცნება კი არ არის, არამედ უსაფრთხოების, ღირსების, თავისუფლებისა და შესაძლებლობების არსებობის შეგრძნებაა, რომელიც ასახავს კონკრეტულ სოციალურ კონტრაქტს — ურთიერთობას სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის.

**ჩემი სახელმწიფო ვერ იქნება თავისუფალი, თუ მის მოქალაქეებს არ ექნებათ ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობა.**




ევროპის დემოკრატიული გამოცდილება ეფუძნება იდეას, რომ მოქალაქეებს აქვთ ხელშეუვალი უფლებები.

მიუხედავად გარკვეული საგარეო თუ საშინაო პრობლემებისა და არსებული პირობებისა, ჩვენ მივიწევთ წინ!

რეჟიმები 2012 წლამდეც იცვლებოდნენ, თუმცა არა არჩევნების გზით. ყველა პროგნოზის საწინააღმდეგოდ, 2012 წელს ქართველმა ხალხმა მიაღ-

წია ძალაუფლების მშვიდობიან გადაცემას, რამაც გამოიწვია რეჟიმის შეცვლა. 2012 წლის შემდეგ ჩვენ უკვე ჩავატარეთ თავისუფალი არჩევნები – ადგილობრივი და საპრეზიდენტო, რომლებიც სამართლიან გარემოში წარიმართა. წლევანდელი არჩევნები კი დააგვირგვინებს ამ ციკლს.

**ჩვენ გვჭირდება კონკურენტული არჩევნები ნეგატიური სიურპრიზების გარეშე.** მოუთმენლად ველით ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგს ორი მიზეზით:

• პირველი: საერთაშორისო მონიტორინგი ხორციელდებოდა საქართველოში მაშინ, როდესაც არჩევნებში წაგება დაუშვებელი იყო: ჩვენ გვქონდა თქვენი იმედი, როცა ჩვენი ხმა არ ისმოდა.

• მეორე: **2016 წელს უნდა ჩატარდეს ყველაზე გამჭვირვალე, სამართლიანი და თანასწორი არჩევნები.**

ჩვენი სურვილია, რომ თქვენც ჩვენთან ერთად იზეიმოთ ამ არჩევნების შედეგები, როგორიც არ უნდა იყოს ისინი. **ჩვენ გადავდივართ დემოკრატიული ტრანზიციიდან დემოკრატიულ კონსოლიდაციაზე.** გამარჯვებულს ყველაფერი არ ერგება და დამარცხებული ყველაფერს არ დაკარგავს. და ჩვენ ამით ვამაყობთ.

**ჩვენ „დავნერგეთ“ ევროპა საქართველოში და გადავაჭარბეთ ევროპის მოლოდინებს დემოკრატიული კონსოლიდაციისა და დემოკრატიზაციის კუთხით.**

სულ ახლახან შევასრულეთ ვიზების ლიბერალიზაციის მოთხოვნები, რაც ხსნის დაუბრკოლებელი მიმოსვლის პერსპექტივას.

**საქართველოს ყველა მოქალაქე მოუთმენლად ელის ამ სივრცეში თავისუფალი მიმოსვლის შესაძლებლობას.** ღირსეული მოგზაურობა ევროპაში, სათანადო მიღება და ნდობა იქნება „ევროპაში დაბრუნების“ ყველაზე ნიშანდობლივი და საგრძნობი გამოხატულება, ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული.

• 100 მილიონ ევროპელს, რომლებიც 2004 წელს შეუერთდნენ ევროკავშირს, კარგად ესმის ქართველთა ლტოლვა ასეთი თავისუფლებისადმი.

• **თავისუფლება არის ჩვენი იდენტობის განუყოფელი ნაწილი.**

• რეფორმების წლებისა და გაღებული მსხვერპლის შემდეგ, თბილისი დაუდასტურებს თავის მოქალაქეებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რომ პროევროპელობას სარგებელი მოაქვს, და ჩვენ შევძლებთ მათ ვუთხრათ, **„შემოგვიერთდით, ვისწავლოთ, ვიშრომოთ და ვიხაროთ ერთად“.**

• რეფორმების მთელი არსი იმ ფასეულობათა ჯაჭვშია, რომლებიც უზრუნველყოფს ჩვენს ადგილს ევროპაში, ანუ იმ ცივილიზაციაში, რომლის პოლიტიკური პროცესების ცენტრშიც არის ადამიანი.

• **ევროპული სტანდარტების დაცვა არის ვალდებულება, რომელიც უკვე ჩვევაში გადაიზარდა.**

## ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებათა უპირობო დაცვით, **ჩვენ ვაშენებთ სახლს, რომელშიც ყველა საქართველოს მოქალაქე თავს გრძნობს შინ, სახლს, რომლის დატოვებაც არავის არ უნდა.**

ადამიანის უფლებათა დაცვის შვიდწლიანი ეროვნული გეგმა მიზნად ისახავს იმ დემოკრატიული ფასეულობების განმტკიცებას, რომლებსაც განუხრელად ვუჭერთ მხარს როგორც ჩვენი საზოგადოების ქვაკუთხედს:

• ჩვენ ვაშენებთ სახელმწიფოს, რომელშიც ეროვნულ უმცირესობებს აქვთ კულტურის, რელიგიის, ენის, უსაფრთხოებისა და თანაბარი შესაძლებლობების უფლება. **ჩვენი ურყევი გადაწყვეტილებაა უზრუნველვყოთ საქართველოში მიმდინარე განვითარებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში უმცირესობათა ჩართულობა;**

• ჩვენ ვაშენებთ ისეთ საზოგადოებას, რომელშიც ქალები არა მარტო დაცული არიან, არამედ დიდ წარმატებებსაც აღწევენ.



ჩვენ გარდავქმენით შინაგან საქმეთა სამინისტრო საზოგადოებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციად და მივიღეთ ახალი კანონი პოლიციის შესახებ, რომლითაც დაცულია ადამიანის უფლებათა პატივისცემის უმაღლესი სტანდარტები.

საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია საქართველოს ყველა მოქალაქისათვის ღირსეული ცხოვრების პირობებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

**საქართველოს მთავრობის წინაშე მდგარი ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ვითარება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში.** ევროპის საბჭო, როგორც უფრო ადამიანის უფლებათა დამცველი, ვიდრე უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის პასუხისმგებელი ორგანიზაცია, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში.

კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში, ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთი მიზეზი ე. წ. ბორდერიზაციაა: **რუსეთის მიერ საოკუპაციო ხაზების გაყოლებაზე აღმართული ხელოვნური დაბრკოლებები ერთმანეთს აშორებს ოჯახებს და მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებას.**

ჩვენ ვცდილობთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ჩიხიდან გამოყვანას, რისთვისაც ვახორციელებთ პრაგმატულ პოლიტიკას – ვგულისხმობ ვაჭრობის, ტრანსპორტის, ჰუმანიტარულ და სხვა სფეროებში ურთიერთობების აღდგენისკენ გადადგმულ ნაბიჯებს. **მოსკოვთან ურთიერთობების ნორმალიზაციისკენ მიმართული ჩვენი ძალისხმევა საკმარისი არ იქნება, თუ არ იქნება ჩვენი დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა.**

აღშფოთებული ვართ ცხინვალის დე-ფაქტო ხელმძღვანელობის გეგმის გამო, რომელიც ეხება რუსეთის ფედერაციაში შესვლის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებას. **ეს მოვლენები არა მარტო საფრთხეს უქმნის საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, არამედ, დიდი ალბათობით, სავალალო შედეგებსაც მოუტანს ისედაც არასტაბილურ სამხრეთ კავკასიის რეგიონს.**

**კანონის უზენაესობა**

ჩვენ აღარ ვართ იმ ქვეყანაში, სადაც ყოველ ოჯახს ვიღაცა ჰყავს ციხეში, ასეთი ვითარება იყო სულ რამდენიმე წლის წინ, და არც ის ქვეყანა ვართ, რომელსაც სამარცხვინო რეკორდი ჰქონდა ევროპის მასშტაბით ერთ სულ მოსახლეზე პატიმართა რაოდენობით, აღარ ვართ იმ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლებას შეუძლია თქვენი ან თქვენი ახლობლის პატივის აყრის მუქარით გამოგძალოთ თანხა ან ამომრჩევლის ხმა.

**ჩვენ ვართ ევროპელები და ეს ცნება მოიცავს ღირსებას, რაც ქართველობის უმთავრესი ნიშანია.**

ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობდით და ვთანამშრომლობთ სხვადასხვა ევროსტრუქტურასთან, რათა უზრუნველვყოთ ის, რაც თავისთავადი მოცემულობა უნდა იყოს:

• დეპოლიტიზებული პოლიცია; პროკურატურა, რომელიც ებრძვის დამნაშავეებს, მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა;

• პოლიტიკური თუ სხვა სახის გავლენისგან თავისუფალი მართლმსაჯულება; საპროცესო გარიგების სისტემა, რომელიც არ ისახავს მიზნად გამოძალვასა და შანტაჟს – საპროცესო გარიგების სისტემა, რომელიც ემსახურება სამართლიანობას; სასჯელაღსრულების სისტემა, რომელიც არ ემსახურება ანგარიშსწორებას და მასობრივ ტერორს.

**ჩვენი მმართველობის პერიოდში პატიმართა რიცხვი განახევრდა. პატიმრობა განიხილება როგორც უკიდურესი ზომა.** ჩვენ ასევე უზრუნველვყავით გარანტიები არასრულწლოვანი დამნაშავეებისათვის.

**დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად, საზოგადოებას არ ეშინია ხელისუფლების.**

ესაა მიღწევა, რომლითაც ჩვენ ყველაზე მეტად ვამაყობთ, თუმცა **ვწუხვართ, რომ კანონის უზენაესობა არ ვრცელდება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე.**

ჩვენს მთავრობას საფუძველი აქვს სჯეროდეს, რომ **კანონის უზენაესობისადმი ნდობის გასაძლიერებლად საჭიროა არა მხოლოდ რეფორმები, არამედ სამართლიანობის აღდგენაც.** ჩვენ გვინდა, რომ საქართველო ისეთ ადგილად ვაქციოთ, რომ მოქალაქეებს აქ ცხოვრება გაუადვილდეთ.

დემოკრატიის ისტორიაში, სამართლიანობის აღდგენას ყოველთვის არაერთგვაროვნად აფასებდნენ. სამართლიანობის აღდგენასა და ლუსტრაციას შორის ვიწრო ზღვარია და კრიტიკა გარდაუვალია.

• **ჩვენ გვინდა ერთობა, თუმცა არა მართლმსაჯულების ხარჯზე, ჩვენ გვინდა მართლმსაჯულება, თუმცა არა ერთობის ხარჯზე.**

## მედია

**ჩვენთვის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა მიუღებელია.**

• არასამთავრობო ორგანიზაცია „ჟურნალისტები საზღვრებს გარეშეს“ 2015 წლის რეიტინგის თანახმად, საქართველო ერთ-ერთი ლიდერია აღმოსავლეთ ევროპაში.

• ბოლო ოთხი წლის განმავლობაში Freedom House აქვეყნებს ძალიან პოზიტიურ ანგარიშებს საქართველოს შესახებ.

2012 წლის შემდეგ ჩვენ შევქმენით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური ციფრული სამაუწყებლო რეჟიმი.

• საზოგადოებრივი მაუწყებლის საბჭო ნამდვილად დამოუკიდებელია და მის მუშაობაში მონაწილეობს ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის, არასამთავრობო და სადამკვირვებლო ორგანიზაციები.

• საკაბელო ტელევიზიები ვალდებული არიან, უზრუნველყონ მედიაპლურალიზმი და, must carry და must offer პრინციპების შესაბამისად, არ შეზღუდონ ალტერნატიული მოსაზრებების მატარებლები.

## კონსოლიდაცია

აპრილში აღვნიშნავთ საქართველოსა და ევროსაბჭოს შორის თანამშრომლობის 17 წლის იუბილეს, ხოლო მაისში – საქართველოს დამოუკიდებლობის 25 წლისთავს. 25 წელი მთელი თაობაა. **ეს თაობა მიილტვის ევროპისკენ, რათა უფრო სრულყოფილი გახდეს დამოუკიდებლობა, რაც უმნიშვნელოვანესია თითოეული ქართველისთვის.**

დემოკრატიული კონსოლიდაციისა და ევროპული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში ჩვენ კონკრეტულ ცივილიზაციას ვირჩევთ. ეს არის ჩვენი არჩევანი.

* * *

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ევროპის საბჭოს გენერალური ასამბლეა არის პარტიული ფორუმი, რომელიც ისევე ეხება პოლიტიკას, როგორც სტრატეგიებს. მიუხედავად ამისა, ყველას, როგორც ჩვენს მომხრეებს, ისე მოწინააღმდეგეებს, წელს ერთი თხოვნით მოგმართავთ: მიიღეთ გადაწყვეტილება, რომლითაც იამაყებთ. რასაკვირველია, იყავით კრიტიკულად განწყობილი, მაგრამ ხელშეწყობაც არ დაგვაკლდეთ.

დაგვეხმარეთ შენობის აღმართვაში იმ საფუძველზე, რომელიც ჩვენ ერთად ჩავყარეთ. დაგვეხმარეთ მაქსიმალურ თვითრეალიზაციაში ჩვენს ქვეყანაში, რომელიც, ნაწილობრივი ოკუპაციის მიუხედავად, სისხლით ხორცამდე ევროპულია.

საქართველომ გაამართლა მოლოდინები. ჩვენ ვართ მაგალითი იმისა, რომ დემოკრატიის ხელშეწყობა, ინსტიტუტების მშენებლობა, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, დახმარების მიმღები ქვეყნის განვითარების უზრუნველყოფისკენ გამიზნული სახელშეკრულებო პირობები და რეფორმები მართლაც შესაძლებელია და შედეგები მოაქვს.

ვიმედოვნებთ, რომ დემოკრატიული კონსოლიდაციის გზაზე ჩვენ შეგვიძლია უფრო სწრაფად ვიაროთ. ერთად, ყველა დაბრკოლებისა და იმ ძალის მიუხედავად, რომელიც ევროპის დანაწევრებას ცდილობს, დავდგეთ ისტორიული სიმართლის მხარეს. დავდგეთ ერთად იმის დასაცავად, რასაც ევროპა განასახიერებს. ჩვენ ვართ ევროპელები, რაც არის იმ ღირსების არსი, რომელიც ყველა ქართველს უდევს გულში. ევროპელობა არის მოქალაქის ღირსება, რომელსაც ყველა ქართველი იმსახურებს, ხოლო ღირსება არის იდენტობის საყრდენი.

## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# დაპირისპირებას გამოვრიცხავ – ეს არჩევნები მშვიდად ჩაივლის



***გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი დიმა ლორთქიფანიძე:***

**– ბატონო დიმა, არჩევნების მოახლოებასთან ერთად კვლავ გააქტიურდა მოთხოვნა საარჩევნო სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით. რატომ იწყება ამ საკითხზე მსჯელობა მაინცდამაინც არჩევნების წინ?**

– ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში გარკვეული წვლილი მეც შევიტანე. მიუხედავად იმისა, რომ ამ პარტიის შემადგენლობაში არ აღვმოჩნდი და ალბათ, სწორადაც მოვიქეცი, ეს ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებად მიმაჩნია, რასაც ზედნაშენის სახით, აუცილებლად, უნდა მოჰყოლოდა შემდგომი მოქმედებები – დემოკრატიის, საჯაროობის განვითარება, რეფორმები მართლმსაჯულების მიმართულებით, დაპირებული სამართლიანი სამართლებრივი გარემოს აღდგენა და ა.შ. დღეს, საზოგადოება ფრუსტრირებულია, რომლის აბსოლუტური უმრავლესობა – 63% არჩევნებში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს. როგორ ვუმკურნალოთ ყოველივეს? – საარჩევნო გარემოს ცვლილებით. საზოგადოების ყური ამ ფრაზას მიეჩვია და ესეც უკვე აღარ მუშაობს. ჩემი აზრით, პოლიტიკური გაერთიანებები, ბლოკები თუ კოალიციები მხოლოდ ერთადერთი მიზნის მისაღწევად უნდა იქმნებოდეს – შეიცვალოს საარჩევნო სისტემა და ერთხელდასამუდამოდ შევთანხმდეთ, ვინ არის პოლიტიკურ სივრცეში ძირითადი მოთამაშე. როგორ შეიძლება ოდესღაც რეგისტრირებული პარტია როცა ვიღაცას მოუნდება მაშინ გააცოცხლოს იმ პირობებშიც კი, როდესაც პარტიას, მისი ოჯახის წევრების გარდა, სხვა ადამიანური რესურსი არ ამყარებს. ამ დროს, უცებ ამ პარტიას უჩნდება ფული, არჩევნებში მონაწილეობის ამბიცია, აღმოჩნდება, რომ იგი საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე პოზიციონირებს და აცხადებს, არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდაო და ა.შ. ამას წერტილი უნდა დაესვას.



**– კონკრეტულად, რა ცვლილებების მომხრე ხართ საარჩევნო სისტემაში?**

– „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობისთვის“ პარტიათა მექანიკური ჯამი, ეკლექტური შენაერთი არავითარ პრიორიტეტს არ წარმოადგენს. ეკლექტური გაერთიანებები, საზოგადოების თვალში, არ მუშაობს და ეფექტურად ვერ ჩაითვლება. ჩვენი ამოცანა ის კი არ იქნება რომ კოალიციურ რეჟიმში წარვსდგეთ, ან ბლოკი შევქმნათ, არამედ პარტიაში რაც შეიძლება მეტი საინტერესო ადამიანი მოვიზიდოთ და სწორედ, ადამიანთა კრებული გახდეს მიმზიდველი და არა ზოგადად, სხვადასხვა პარტიების მექანიკური გაერთიანება, რომლებიც ცალცალკე აღებული, ხშირ შემთხვევაში, საზოგადოების თვალში არავითარ ღირებულებას არ ატარებენ.

**– თუმცა, საუბრობენ, რომ შესაძლოა თქვენი პარტია „ეროვნულ ფორუმთან“ ან „პატრიოტთა ალიანსთან“ გაერთიანდეს. ეს რეალობაა?**

– ეს მოარული ხმებია და ასეც დარჩება. ჩვენ მოლაპარაკებებს არავისთან ვაწარმოებთ არც კულუარულად, არც სააშკარაოდ. რაც შეეხება ჩვენს მიმართ სხვადასხვა პარტიებისა და დღევანდელი სახელისუფლებო ლიდერების დამოკიდებულებას, ყალიბდება სიმპტომატური სურათი. როცა პრემიერ კვირიკაშვილს ჰკითხეს ვისთან არ ითანამშრომლებდა, მან ძალიან მკაფიოდ უპასუხა – „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობასთანო“. რატომღაც, მსგავსი განცხადება გუბაზ სანიკიძემაც გააკეთა, რაც ცოტა გამიკვირდა. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ეს განცხადებები დასავლელი პარტნიორების წინაშე მაამებლური პოლიტიკის გავლენით ხორციელდება. როგორც ჩანს, იმისთვის რომ დასავლეთს ერთგულ ჯარისკაცებად მოაჩვენონ თავი, ხმამაღლა უნდა თქვან ბურჯანაძის პარტიასთან არ ვითანამშრომლებთო. ეს, დასავლეთთან ინტეგრირების კუთხით, ერთგვარი პაროლი გახდა. ეს ჩვენ ღირსებას არ გვაკლებს, პირიქით, გვმატებს და საზოგადოებას კიდევ უფრო ნათლად აჩვენებს, რომ ჩვენი, ეროვნულ იდეოლოგიაზე მყოფი პარტიის მთავარი ამოცანა სწორედ საზოგადოების დაკვეთის შესრულებაა, რაც, ხშირ შემთხვევაში, სახელისუფლებო პარტიებისთვის ე.წ. დასავლური ღირებულებებისა და საერთოდ, დასავლეთის მიმართ ერთგულების ფიცზე გადის.

ჩვენ ვნახეთ როგორ შეძლო რუსეთმა პრევენციული დარტყმების განხორციელება იმისთვის, რომ სირიის კანონიერი ხელისუფლებიის სასარგებლოდ, ომის ბედი გადაეწყვიტა. რა თქმა უნდა, ამას ხიდაშელიც მშვენივრად აცნობიერებს, ალასანიაც, „ნაცმოძრაობაც“, „თავისუფალი დემოკრატებიც“, „რესპუბლიკელებიც“, მაგრამ მათი ამოცანა თვითმყობადი პოლიტიკის წარმოება არ არის, არამედ დავალებების შესრულება და საქართველოში როგორც ოკუპირებული ტერიტორიების მქონე სახელმწიფოში, მუდმივი დაძაბულობის კერის არსებობა. ის რომ ამას საზოგადოება ეწირება, მოსახლეობა უკიდურეს ეკონომიკურ სიდუხჭირეშია, ყურადღებას არ აქცევენ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინაშე გამოსვლისას ჩემი ყურადღება კვირიკაშვილის განცხადებამ მიიპყრო. მან თქვა – თავისუფლების ხარისხი შეჭირვების ხარისხის შემცირებაზე გადისო. კარგია, რომ პრემიერ-მინისტრი ხმამაღლა აღიარებს საქართველოს მოსახლეობის უკიდურესად შეჭირვებულობას. ასეთი დონის შეჭირვება სირცხვილიცაა – 900 ათასი სოციალურად დაუცველი გვყავს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მათხოვრები გვხვდება, სანაგვე ურნებში მოშიებული ადამიანები საკვებს ეძებენ. ეს ყველაფერი, 21-ე საუკუნეში, ქვიშის კარიერის გენერლებად გვაქცევს, რაც საშინელებაა. როდესაც 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ ისეთი სტრატეგიული პარტნიორი გვყავს როგორიც აშშ-ია, მათ შეუძლიათ ისეთი დასაქმების პროგრამები შემოგვთავაზონ, რომ 6 თვით მაინც შესაძლებლობა გვქონდეს ამერიკაში ლეგალური ჩასვლით და დასაქმების გზით სარჩო მოვიპოვოთ, ჩვენმა შვილებმა თავისუფლად შეძლონ პრისტონის, ვილანოვასა თუ სხვა ცნობილ უნივერსიტეტებში განათლების მიღება. ხომ შესაძლებელია ეს პროექტები ხორციელდებოდეს არა განსაკუთრებით პრივილეგირებული კასტის შვილებისთვის და სამოქალაქო საზოგადოების იმ დაახლოებული პირებისთვის რომლებიც უშუალოდ პოლიტიკის გამტარებლები არიან, არამედ მთელი ერისთვის?! თუკი სტრატეგიაზეა საუბარი, აი, ასეთი ქმედება იქნებოდა დამაჯერებელი. მათ კი საქართველო პოლიგონად, საკუთარი მზაკვრული იდეების განსახორციელებლად სჭირდებათ.

**– ახლა ახსენეთ, მავანმა დასავლეთს ერთგულება შეჰფიცა და ქვეყნის ბედი არც აინტერესებსო. მართლაც, რიგი პარტიები ევროკავშირის, ნატოს ძახილს პრივილეგიად მიიჩნევენ და ამისთვის პარლამენტში შეყვანასაც გთხოვენ.**

– დიახ. რეალურად, ეს 30 ვერცხლად გაყიდული პოლიტიკაა იმიტომ, რომ ცალკე აღებულ უმაღლეს სახელისუფლებო კასტაში მოქცეულ პიროვნებას რომ ჰკითხო – არის თუ არ იგი მორწმუნე, აღმოჩნდება, რომ სუფრაზე ქართველია, მრავალი ბავშვის ნათლიაა, შვილებს ნათლავს, ეკლესიაში სანთელს ანთებს, მაგრამ მეორე მხრივ, ანტიდისკრიმინაციული კანონის მოქმედების ეგიდით, ბავშვებში განათლების დონის ამაღლების მიზნით, პირდაპირ განგისაზღვრავს ჰომოსექსუალიზმის ნორმად აღიარებას, ახდენს მის სოციალიზაციას, ცნობიერების ამაღლებას



იმ კუთხით, რომ ეს კარგია – გეიდ ან ლესბოსელად ყოფნა ნორმაა. ეს უნდა ასწავლონ შვიდიდან ცამეტი წლის ასაკის ბავშვებს წინასწარ დაწერილი საგანმანათლებლო პროგრამებით. როდესაც უმაღლეს ხელისუფლებაში მყოფი პირი, მორწმუნე ქართველი ქრისტიანი აცხადებ, რომ ეს ნორმაა და დემოკრატიისთვის აუცილებელი პირობაა, ამით მართლმამდიდებლობას მთლიანად ხაზს უსმევ. ეს ჩვეულებრივი რელიგია არაა, ეს ქართველთათვის ცხოვრების წესია და არავის უნდა რცხვენოდეს იმის აღიარება, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანია. წინააღმდეგ შემთხვევაში იცით, რა გამოვა? – რომ ამ ქვეყანაში სახალხო დამცველი არასოდეს უნდა იყოს მართლმადიდებელი ქრისტიანი, ანუ, მართლ-



მადიდებლობა გამომრიცხავი გარემოებაა ქვეყნის სახალხო დამცველად ყოფნისთვის.

**– ბატონო დიმა, ქართული პოლიტიკის ველზე მიდის მსჯელობა ვინ არის ნომერ პირველი ოპოზიციური ძალა? თქვენი პარტია საერთოდ არ აქტიურობს. ზოგმა შეიძლება ისიც კი იფიქროს, რომ არჩევნებში მონაწილეობას არ იღებთ. რით ახსნით ყოველივეს?**

– პირდაპირ გეტყვით, ქალბატონი ნინო ბურჯანაძის გვერდით დგომა განპირობებულია რამდენიმე ნიშნით, მათ შორის, უმთავრესი გახლავთ ის, რომ იგი უძლიერესი პოლიტიკოსია, ქართულ პოლიტიკაში ურთულესი გზა გაიარა, საკუთარი შეცდომებიც აღიარა და მომავლის ხედვა უნიკალურად სწორად აქვს წარმოდგენილი. მას შეეძლო უდარდელად, ფეხი ფეხზე გადადებულს ეცხოვრა, მაგრამ ამის ნაცვლად, რთული, ეკლიანი გზა აირჩია. ჩვენს პარტიაში ის ხალხია ვინც უდიდეს პატივისცემას იმსახურებს: გიგლა ბარამიძე, რომელსაც ძალიან სერიოზული დიპლომატიური გამოცდილება აქვს, ირაკლი ბათიაშვილი, რომელიც თავად გახლდათ უსამართლობის მსხვერპლი, ასევე, რეგიონებში: მარნეულში – კაკო შუბითიძე, ყვარელში – ისაკო ცქიფურიშვილი, ახმეტაში – ირაკლი უჯირაული და ა.შ. თქვენი გაზეთი რეგიონებშიც ძალიან პოპულარულია და ბუნებრივია, ამ სახელებისა და გვარების ჩამოთვლა საინტერესო ტესტი იქნება. აბსოლუტურად ვიზიარებ შენიშვნას პასიურობასთან დაკავშირებით. თუმცა, ამომრჩეველს მინდა ვუთხრა, რომ ეს პასიურობა ტაქტიკის თემაა. აღდგომის შემდეგ, აქტიურ მოქმედებას დავიწყებთ.

**– ზოგადად, წინასაარჩევნოდ რა პოლიტიკურ გაერთიანებებს ელოდებით. რამდენად მშვიდობიანად ჩაივლის საარჩევნო კამპანია, ბევრი სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეზე საუბრობს.**

– სამოქალაქო დაპირისპირებას გამოვრიცხავ, კმარა, გვეყო. ღრმად ვარ დარწმუნებული, საღი აზრი გაიმარჯვებს. „ქართულ ოცნებაში" თავადაც კარგად ხვდებიან, რომ საარჩევნო სისტემის ცვლილების გარეშე, მიშა მაჭავარიანისა და ხათუნა გოგორიშვილის მიერ დაწერილი კოდექსით სიარული, მათ ძალიან დიდ ჩრდილს აყენებს. ასე, საზოგადოების მხარდაჭერას ვერ მიიღებენ, გამორიცხულია. თუ რევოლუციური ნაბიჯები არ გადადგეს, ისე არაფერი გამოვა. ბევრს ჰგონია რაც უფრო ხმამაღლა დაიყვირებს და ექსპრესიული იქნება, ხალხი მით უფრო დაუჭერს მხარს. ასე არაა, ხალხი გაიზარდა, დაბრძენდა. საზოგადოებას ვერ მოატყუებ. ერთადერთი რაც საზოგადოებამ შეიძლება გააკეთოს, არჩევნებზე მოსვლაზე უარის თქმაა. „საერთო გაზეთიდან" მინდა საზოგადოებას მოვუწოდო, სწორედ იმ 63%-ს მივმართავ – არჩევნებზე აუცილებლად მოდით, სახლში დარჩენა – ესაა თქვენი და თქვენი მომავლის წინააღმდეგ მიმართული სტრატეგიული კამპანია.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# იცეკვე, ლაზარე!

წელს განსაკუთრებულად მხიარული ზაფხული გვექნებაო, - გვამცნო კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ, საქართველოს სხვა და სხვა ქალაქებში კონცერტები და გასართობი ღონისძიებებიაო დაგეგმილიო. ნანახი ჰქონია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს ქართული ფილმი - „ლაზარე", სცოდნია, რომ შიმშილის, ტკივილის, წყურვილის წამალია ცეკვა.

ეს ფესტივალები და კონცერტები ასე უპრაგონოდ, ასე სპონტანურად არ მოგვსვლია თავშიო, თქვენ რომ გგონიათო, ამაზე დიდხანს ვიფიქრეთო - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრებმა და ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამო... უფრო მეტიცო, წინა წელს საპილოტე ვერსია განვახორციელეთო...

ნუ თუ წინა წელს საპილოტე ვერსია განახორციელეთ, მაშინ ჰო... და რაო, წინა წელს განხორციელებულმა საპილოტე ვერსიამ რა თანხა შემოგვიტანა ბიუჯეტშიო, ვკითხეთ სტატისტიკის სამსახურს? თუ არ გვაქვს ეგეთი? რაში გვჭირდება პრინციპში, ამოდენა მინისტრი კაცი ხომ არ მოგვატყუებს. უცნაური ისაა, რომ ამ კონცერტ-ფესტივლებს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი არ ეყო, ამიტომ სარეზერვო ფონდს გადაწვდნენ... იცით რატომ არ გვქონდაო ჩვენი სამინისტროს ბიუჯეტში ეს თანხა გათვალისწინებულიო? იმიტომ რომ, მსგავსი სიდიდის პროექტების დაგეგმვას არ ჰყოფნისო ერთი და ორი თვეო - კაი, კაცო, მართლა? აკი, წინა წელი საპილოტე იყოო? აკი, ჯერ კიდევ წინა ზაფხულს ვიცოდითი, რომ მომავალ წელს უნდა გაგვეხარდა პროექტიო? მაშინ როგორ მოხდა, რომ ბიუჯეტის თანხა არ გეყოთ და სარეზერვო ფონდს გადასწვდით? კანონის თანახმად, სარეზერვო ფონდის მიზანი განა გაუთვალისწინებელი და საგანგებო ხარჯების დაფინანსება არ არის? ნუ ახლა, ეროს რამაზოტის ჩამოყვანა თუ გაუთვალისწინებელი, მაგრამ საგანგებო მდგომარეობაა, გვითხარით, არ დაგვიმალოთ, ჩვენ მრავალჭირნახულ გამონატარები ერი ვართ და ერთი ეროსის გაუთვალისწინებელი სტუმრობა ვერ შეგვაშინებს...

ისაო, ეს ხომ არ გგონიათ თქვენ უბრალო კონცერტებიო? - არა, ბატონო, უბრალო კი არა, ძალიანაც ბრალიანად ძვირი მიჯდება ეს კონცერტები. ეს არც კულტური ღონისძიებებიაო მხოლოდო - ეს უფრო ეკონომიკური პროექტიაო... რატომ? იმიტომ, რომ ბევრ კოკა-კოლას გაყიდით მოედანზე? თუ იმიტომ, რომ ბევრი მარტინი შეისმება შარდენზე? კი ბატონო, ტურისტულმა კომპანიებმა მართლაც გააკეთეს სპეც. შეთავაზებები ტურისტებისთვის, ვინც ახლა, ამ პერიოდში, წამოვა საქართველოში, მას რომელიმე კონკრეტული კონცერტის ბილეთს ჩუქნიან, შესაბამისად, ადამიანები, რომლებიც ისედაც დაინტერესებულნი იყვნენ საქართველოს ნახვით, ერთი ან ექვსი თვით ადრე ჩამოვლენ. მათი უმეტესობა ოჯახური ტიპის სასტუროებში გაათევს ღამეს, რადგან ჩვენი სასტუმროები მხოლოდ ფასით პასუხობენ იმ ვარსკვლავებს, რომლებიც მინიჭებული აქვთ, რამდენიმე ერთეულ ხინკალს შეჭამენ და წავლენ.

მე მაქვს კითხვა: - რამდენ მცირე მეწარმეს ჰყავს დღეს ბუღალტერი? რამდენი მცირე მეწარმე აგზავნის ნულოვან დეკლარაციას? - როგორ და საიდან აპირებთ ფულის ამოღებას? ოჯახური ტიპის სასტუმროს გაკონტროლება შეგიძლიათ? თუ პატარა კაფე-ბარის? - შენც ხომ იცი, რომ ვერ ამოიღებ ამ ფულს... შენც ხომ იცი, რომ ეს ფული, თუ რამე ფული შემოვა, ისევ იმ ხალხთან წავა, რომლებიც არც აქამდე უჩიოდნენ გლამურულად ცხოვრებისათვის საჭირო უსახსრობას? რომელი უნგრელი ჩამოდის ჩემი პომიდორის საყილად, რომელი ფრანგი იყიდის გლეხისგან ვაშლს? თუ ვინმეს გასაქირავებელი ბინა აქვს, ან რესტორანი კარგ ადგილას, იმას ისედაც ჰყავს კლიენტი, გაუქირავებელი ბინა და შეუჭმელი ხინკალი არ მინახავს მე არსად.

რა თქმა უნდა, ტურისტი კარგია, ბევრი ტურისტი კიდევ უკეთესი, მაგრამ რა ფასად? იმ ფასად, რომელსაც ბოლომდე არც მიმხელ, იმიტომ რომ არც ბილეთების ფულს მითვლი, არც კერძო ინვესტორებისგან შემოსულ „დახმარებას" და არც რეკლამებისგან აღებულ თანხას? და მაინც, მისი საწყისი 29 მილიონიც კი შემაშინებლად დიდი რომაა, იმ ფასად? სარეზრევო ფონდიდან რომ წაიღე, იმ ფასად? შენ ის ქვეყანა არ ხარ, წყალდიდობის დროს ვეტმფრენების არქონის გამო ადამიანები რომ დაგეღუპა? შარშან საპილოტო წელმა თუ ასე კარგად ჩაიარა, მაშ მითხარი, რამდენი დახარჯე შარშან და რა თანხის ამოღება მოახერხე ბიუჯეტში დასაბრუნებლად?



ჩვენ არ ვართ შურიანი ხალხი, ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელის პრეზიდენტიც ათასებს უხდიდა მასაჟისტს, რომლის მეორე პრეზიდენტს სექსიც კი მდიდრული აქვს და ჩვენ არც შენი გამდიდრება შეგვშურდება, ამიტომ, მოდი, რა, კაცურად გვითხარი, რომ ხელფასი არ გყოფნის, რომ 2010 წლის 5 აგვისტოს დაფუძებული კომპანია „ისთერნ პრომოუშენის" მეწილე იყავი მინისტრობამდე, მინისტრობა როგორც კი დაგვიპირე, წილი ფორმალურად გადააფორმე და მას შემდეგ რაც მინისტრი ხარ, კომპანიას, რომლის მეწილეც ფაქტობრივად ისევ ხარ, 2 წლის მანძილზე 4 კონცერტში 2 მილიონი ლარი მიეცი... ახლა არჩევნები ახლოვდება, რომლის შემდეგაც არ იცი, მოვლენები როგორ განვითარდება, ისევ იქნები თუ არა მინისტრი, ამიტომ წელს შენი ბოლო შანსია, მოდი, რა, ამ ერთხელაც მოგცეთ ეს 29 მილიონი, რა მოგვივა... ეს ხომ საპენსიო ფონდიდან არ აგიღია, ეს ხომ განათლების სამინისტროსთვის არ წაგირთმევია, ეს ფული ხომ სარეზერვო ფონდიდან აიღე... - გეთქვა ასე კაცურად, იქნება და გაგვეგო, მაგრამ რაში გაინტერესებს, გაგიგებთ თუ ვერა, რომ ვერ გაგიგეთ, რაა რო?

ეს მაშტაბური ღონისძიებები ტრადიციად იქცევაო - ვაი, თქვენს პატრონს, რა ტრადიციაც მოგვდგამდა, იმისთვის ვერ მოგვივლია, ის გაგვიჩანაგებია... თუ იმ ტრადიციას გულისხმობ, რასაც ჯიბის გასქელება ჰქვია, ეს არ არის შენი მოგონილი, მაგ ტრადიციას დიდი ხანია მივდევთ. ლობირება, ფორმალურად სხვაზე გადაფორმებული წილები, საკუთარი კომპანიებისათვის დაფინანსებული პროექტები, გათეთრებული ფული, გაშავებული სინდისი - ამას დიდი ხანია ვუყურებთ, ახალი გვითხარი რამე, ახალი!

აუჰ, თბილისშია უკვე ეროს რამაზოტი, გვეშველა. ელჩი ჰყოლია ეროსას ანტონიო ბარტოლი, რომელმაც კომენტარი გააკეთა: „როგორც ელჩს, შემიძლია ვთქვა, რომ ყველაზე კარგად ქვეყანას სპორტსმენები, მუსიკოსები და სხვა ხელოვანი ადამიანები წარმოაჩენენ. ეროსის ცხოვრების ისტორია ძალიან საინტერესოა, პერიფერიაში დაიბადა, გახდა მსოფლიო ვარსკვლავი და მილიონობით ალბომი აქვს გაყიდული" - მართალს ბრძანებთ, ბატონო ბარტოლი, თქვენს ქვეყანას წარმოაჩენს რამაზოტი, საკმაოდ კარგადაც, მაგრამ ჩვენს უბედურ ქვეყანას რატომ წარმოაჩენენ ყოველთვის უცხო ქვეყნის მომღერლები? ჩვენი საცოდავი ქვეყნის წყალწაღებული პროდიუსერები რატომ ვერ ახერხებენ ჩვენი მუსიკოსების და მომღერლების გაყიდვას? სხვა ქვეყანამ თუ მოახერხა ბუნიათიშვილის ალბომების გაყიდვა - ჩვენ რა ჭირი გვჭირს? ჩვენს ვაი მინისტრებს რატომ არ შეუძლიათ ისეთ პროექტებში ჩადონ ფული, რომელიც სხვა ქვეყნებს გააცნობს ჩვენს კულტურას? სულ ჩურჩხელას, ღვინოს და ხინკალს რატომ ტენიან ცხვირ-პირში ტურისტებს?

ყველა მკითხველს, რომელსაც ჩემი სტატია ვნების კვირისთვის ზედმეტად აგრესიული, ზედმეტად მხიარული ან საერთოდ ზედმეტი მოეჩვენებათ, გულწრფელად ვუბოდიშებ და თავს იმით ვიიმედებ, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიერ ვნების კვირაში დაგეგმილი ღონისძიებები ჩვენი მართლმადიდებლური ქვეყნისთვის შესაფერისი იქნება.

**თამო კეშელავა**
555 46 08 04

# უნივერსიტეტი შიზოფრენიულ მდგომარეობაში იმყოფება!

## რა სკანდალურ განცხადებას აკეთებს უნივერსიტეტის პროფესორი?

**„ივანე ჯავახიშვილის დაარსებული უნივერსიტეტი ვინმეს შპს ხომ არ ჰგონია? ერთი კაცი მაინც ხომ უნდა გვყავდეს, ვისაც ნაცი, ქოცი თუ ყველა დანარჩენი პატივს სცემს? ეს არჩევნები ჩვენს ავადმყოფურ მდგომარეობას კარგად ასახავს- უნივერსიტეტი შიზოფრენიულ მდგომარეობაში იმყოფება! აქაურობა რაღაც აბსურდის თეატრს ჰგავს, სადაც საშინელებათა ჟანრის წარმოდგენა მიმდინარეობს.“**

20 აპრილს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნები გაიმართა. არჩევნების შედეგები ზოგისთვის მოულოდნელი, ზოგისთვის კი სრულიად ლოგიკური აღმოჩნდა. საარჩევნო კომისიის თავჯდომარის ვასილ გონაშვილის ინფორმაციით, 1311 ამომრჩევლიდან კენჭისყრაში მონაწილეობა 967 ამომრჩეველმა მიიღო. ამომრჩეველთა 54,3%-მა (526 ხმა) რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე დარეჯან თვალთვაძის კანდიდატურას დაუჭირა მხარი, ლევან გორდეზიანმა ხმათა 24,4% (236 ხმა) მიიღო, ცირა ბარამიძემ 11% (107 ხმა), გიორგი ანდრიაძემ 4%(39



ხმა). საარჩევნო კომისიამ 59 ბიულეტენი ბათილად ცნო. „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში თსუ პროფესორი, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარებაზე და არჩევნების მოსალოდნელ შედეგებზე საუბრობდა. მეცნიერი დარწმუნებულია, რომ უნივერსიტეტში ბოლო დროს განვითარებული პროცესები შორს მიმავალ გეგმებს ემსახურება, რაშიც საზოგადოება უახლოეს ხანებში დარწმუნდება.

სამწუხაროდ, ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღეს მისი სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი სრულიად შიზოფრენიულ მდგომარეობაში შეხვდა. როგორც იცით, 20 აპრილს უნივერსიტეტმა რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დარეჯან თვალთვაძე აირჩია. „საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონი“ თანახმად, როცა რექტორი რაღაც მიზეზების გამო მიდის, საარჩევნო კოლეგია იქმნება და არჩევნები ინიშნება. დავიწყოთ იმით, რომ კანონის კაზუსია, როცა მოვალეობის შემსრულებელს 1311 თანამშრომელი ირჩევს და ძირითად რექტორს- 14 კაციანი აკადემიური საბჭო. სრულიად ვეთანხმები გამოყენებითი მათემატიკის მეცნიერ-თანამშრომელს, რომელმაც ღიად გამოხატა თავისი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ არჩევნები ყალბია. დიახ, ნაციონალური მოძრაობის ინტერესებზე მორგებული კანონმდებლობა, რომლითაც ეს არჩევნები ჩატარდა, ძირფესვიანად შესაცვლელია. ის არც ინსტიტუციურ განვითარებას უწყობს ხელს, არც კვალიფიციური კადრების მოზიდვას და არც საჯაროობას, მაგრამ ახალი კანონი ბოკერიებმა და თევზაძეებმა კი არა, უნივერსიტეტის კვალიფიციურმა სპეციალისტებმა უნდა დაწერონ. როგორც იცით, არჩევნებში თსუ შემოერთებული ინსტიტუტების მეცნიერ თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ, ამიტომ სრულიად გაუგებარია, რატომ წაართვეს ეს უფლება ვეკუას დაფუძნებულ და პირველივე დღიდან თსუ-ს შემადგენლობაში მყოფ გამოყენებითი მათემატიკისა და მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტებს? ბოლოს და ბოლოს დიდი ივანე ჯავახიშვილის დაარსებული უნივერსიტეტი ვინმეს შპს ხომ არ ჰგონია? ერთი კაცი მაინც ხომ უნდა გვყავდეს, ვისაც ნაცი, ქოცი, თუ ყველა დანარჩენი პატივს სცემს? ამიტომ ვამბობ, რომ ეს არჩევნები ჩვენს ავადმყოფურ მდგომარეობას კარგად ასახავს- უნივერსიტეტი შიზოფრენიულ მდგომარეობაში იმყოფება! აქაურობა რაღაც აბსურდის თეატრს ჰგავს, სადაც რაღაც საშინელებათა ჟანრის წარმოდგენა მიმდინარეობს.

— **იქნებ აგვიხსნათ, რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დარეჯან თვალთვაძის არჩევის წინააღმდეგი რატომ ხართ?**

— იმ 10 წლის განმავლობაში, რაც თვალთვაძე ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი იყო, საათები კლანური პრინციპით, ახლობლობით და დაქალ-ძმაკაცობით ნაწილდებოდა. „ დარეჯან ძალო“, როგორც მას უნივერსიტეტში ეძახიან, თავისი დაქალებისთვის არარსებულ საგანს იგონებდა, ხოლო სხვას, აკაკი შანიძეც რომ ყოფილიყო, ლექციაზე შესვლის შანსი არ ჰქონდა. ჩვენ იმდენი გენერალი და პროფესორი გვყავს, რომ ამდენი ალბათ ამერიკასა და ევროკავშირის ქვეყნებში არ იქნება, თუმცა სტატუსი ყოველთვის მდგომარეობას არ გამოხატავს. არ ვიცი, ვინ ჩამოარიგა პროფესორის წოდებები ასე განურჩევლად, თუმცა ვიცი, რომ ეს დანაშაულია, რომელზეც ვიღაცამ პასუხი უნდა აგოს. შეგიძლიათ „იუთუბიზე“ შეხვიდეთ, ნახოთ თვალთვაძის წაკითხული ლექციები და დარწმუნდებით, რომ რაც ხდება, მარტო უნივერსიტეტის კი არა, საქართველოს სირცხვილია. როგორ შეიძლება, რომ ასეთი დონის მეცნიერმა თავს უფლება მისცეს ივანე ჯავახიშვილის დაარსებულ უნივერსიტეტს უხელმძღვანელოს? თუ გავითვალისწინებთ, რომ თვალთვაძე ნებისმიერი რექტორის პირობებში, კვიტაშვილი იქნებოდა, ხუბუა თუ პაპავა, ახერხებდა, პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყოფილიყო, გასაკვირი არაფერია. ახლა მას და მის უკან მდგარ ძალას ვერაფერი შეაჩერებს, რადგან ამ ქალბატონს ლეგიტიმაციის ხარისხი და რექტორობის დაუოკებელი სურვილი აქვს და ყველაფერს გააკეთებს, რომ მიზანს მიაღწიოს.

— **იქნებ დაგვიკონკრეტოთ, თვალთვაძის უკან მდგომ რომელ ძალას გულისხმობთ?**

—რომ ნახოთ, ნაციონალური მოძრაობის მართული თვითმმართველობის სტუდენტები რექტორის სავარძელში თვალთვაძის ხილვით რა ბედნიერები არიან, ეს კითხვა აღარ გაგიჩნდებოდათ. როგორც ჩვენს წინა ინტერვიუში გითხარით, უნივერსიტეტში უმძიმესი ვითარებაა, რადგან ყველა დეპარტამენტი ნაციონალებითაა სავსე. ფაქტობრივად, ხუბუა და მისი თანაშემწეები არსად წასულან. ყველა ინფორმაციაზე წვდომა აქვთ და ყველაფერი მათი დირექტივებით იმართება. აქამდე უნივერსიტეტის ღირსეულ პროფესურას აწუხებდა კითხვა- როგორ გახდა ქალბატონი თვალთვაძე იმ ფაკულტეტის დეკანი, სადაც მასზე დიდი მეცნიერები და საერთაშორისო ცნობადობის მქონე ავტორიტეტები არიან. ახლა ამას დაემატა კითხვა, როგორ მოახერხა „დარეჯან ძალომ“ პაპავას ადგილი დაეკავებინა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომელი ძალების ინტერესებში შედის მისი გარექტორება, ყველაფერი ნათელია.

— **რამდენიმე დღისწინ ექსპერტმა თორნიკე შარაშენიძემ სოციალურ ქსელებში დაწერა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საბჭოთა კავშირის ფორპოსტია და მართალი იყო ბენდუქიძე, როცა მისი გაყიდვა უნდოდა.**

— ვფიქრობ, ექსპერტად წოდებულ შარაშენიძეს ის სტატუსი შემთხვევით არ დაუწერია და ის რაღაც კონკრეტულ მიზანს ისახავს. ალბათ, შარაშენიძის სიტყვებით „ნიადაგი მოსინჯეს“, როგორი იქნებოდა უნივერსიტეტის გაყიდვაზე საზოგადოების რეაქცია. შარაშენიძის და მისი თანამოაზრეების გასაგონად ვიტყვი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერის სინდისია ანუ იმ კატეგორიაში შედის, რომელიც ბენდუქიძისავე თქმით, არ იყიდება. უნივერსიტეტის გაყიდვის მსურველებმა იციან თუ არა, რომ სახელმწიფო ანუ STATE UNIVERSITY ყველა ქვეყანას აქვს. უძველესი იენის უნივერსიტეტი, კემბრიჯი, სორბონა, ამერიკული სტენფორდი, ლონდონის სამეფო აკადემია, ჯორჯთაუნი, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი.. რომელი ერთი დავასახელო.. სხვათა შორის, ყველა კლასიკურ კაპიტალისტურ ქვეყანაში უნივერსიტეტებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოლიდური დაფინანსება ეძლე-



ვათ, რისთვისაც თავდაუზოგავად იბრძოდა ლადო პაპავა. არსებობს საერთაშორისო ორგანიზაცია ვებომეტრიქსი, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებს რეიტინგებს ანიჭებს. სწორედ ამ რეიტინგების თანახმად, პაპავას რექტორობის პერიოდში თსუ-მ მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგებში 2006-დან 830-ე ადგილზე გადაინაცვლა. ევროპულ უნივერსიტეტებში 714-დან 349-ე ადგილზე ავიდა და კავკასიის რეგიონში ლიდერია. ამ მონაცემებით თსუ-მ გაუსწრო წინა წლების ლიდერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს. ჩვენ დავთმეთ რექტორი, რომელმაც უნივერსიტეტს ასეთი რეიტინგი მოუტანა და შესაძლოა, მართლაც უნივერსიტეტის გაყიდვის საფრთხის წინაშე დავდგეთ. იმ ძალებს, რომლებზეც ზემოთ მოგახსენებდით, უზარმაზარი ბიზნეს ინტერესები და თსუ-ს 11კორპუსიანი ინფრასტრუქტურის ხელში ჩაგდების დაუოკებელი სურვილი აქვთ. როგორც ჩანს, სხვა უნივერსიტეტების მიტაცებული კორპუსები არ ჰყოფნით და ახლა ქვეყნის მთავარ უნივერსიტეტს მიადგნენ. ბუნებრივია, ასეთი ინტერესების მქონე ადამიანებს არ აწყობდათ რექტორი, რომელმაც მაღლივის ახლოს გაზგასამართი სადგურის მშენებლობა გააჩერებინა. მოუსყიდავი და პრინციპული რექტორი მოიცილეს და ახლა ვინ შეუშლით ხელს, თვალთვაძე? მინდა ვთხოვო ჩემს კოლეგებს, უნივერსიტეტის სამეცნიერო სტატუსის მქონე საზოგადოებას, იქნებ ყველაფერი, რაც ამ სამი თვის განმავლობაში მოხდა, გაანალიზონ და სწორი დასკვნები გამოიტანონ. თუ უნივერსიტეტის გადარჩენა და მისი ხვალინდელი დღე აწუხებთ, თხოვნით მიმართონ ბატონ ლადოს, რომ უნივერსიტეტში დაბრუნდეს. მე არ ვიცი, რას უპასუხებს პაპავა, მაგრამ ყველა, ვისთანაც ამ თემაზე მისაუბრია, ამბობს, რომ ის არ უნდა წასულიყო. იქნებ, მოვახერხოთ და ერთიანი ძალით დავაბრუნოთ ეს ადამიანი, რადგან რაც მოხდა, უნივერსიტეტისთვის ძალიან დიდი რეგრესია, რომელსაც დროის კანონზომიერება არ გვაპატიებს. ბატონ ლადოს უამრავი საქმე დარჩა გასაკეთებელი, რომელთა ბოლომდე მიყვანა მხოლოდ მხოლოდ მისი კომპეტენციის ადამიანს შეუძლია. ამ გარემოში, მასზე უკეთესი რომ გვყავდეს, მივესალმებოდი მის წასვლას, მაგრამ უარესის მოსვლას არ უნდა შევეგუოთ.

— **კულუარული ინფორმაციით, შესაძლოა საუნივერსიტეტო კრიზისს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თანამდებობა შეეწიროს. თამარ სანიკიძის შემცვლელის კანდიდატურასაც**



**ასახელებენ.. თქვენი აზრით, ასეთი საკადრო ცვლილება უნივერსიტეტში შექმნილ ვითარებაზე როგორ აისახება?**

— ისეთი განცდა მაქვს, რომ როინ მეტრეველის დროიდან მოყოლებული, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განადგურების პოლიტიკას ახორციელებს. არადა, სამინისტროს თანამშრომელთა უმეტესობა და ბევრი სხვა ამ უნივერსიტეტმა აღზარდა. იურისტი არ ვარ, მაგრამ წამიკითხავს სამოქალაქო კოდექსზე ლადო ჭანტურიას კომენტარები და ჩემთვის ის უაღრესად პატივსაცემი პიროვნებაა, თუმცა ამ მოცემულობაში, ამ კანონმდებლობაში და ნაციონალებით გამოტენილ განათლების სამინისტროში რადიკალური რეფორმები თუ არ განახორციელა, ისეთივე წარუმატებელი და უსახური მინისტრი იქნება, როგორიც თამარ სანიკიძეა. ვერც ლადო ჭანტურიას, ვერც გია დვალის და ვერც ზაალ კოკაიას ჩამოყვანა ვერაფერს შეცვლის, თუ მთელი რიგი საკითხების მიმართ მიდგომა არ შეიცვალა. გავიხსენოთ გერმანიის კანცლერი ერჰარდი. გერმანია იმიტომ გახდა ნომერ პირველი ევროპაში, რომ უარი თქვა მარშალის ფონდზე, ვალზე კრედიტზე და მონობაზე. ჩერჩილის სიტყვებია -არ არსებობს მეგობარი სახელმწიფოები, არსებობს მხოლოდ ინტერესები. ჩვენ ყველა უბედურება იმის გამო გვჭირს, რომ ჩვენი თავი არ გვეკუთვნის. ამან მოიტანა ის, რომ ერი მენტალურად გაუბედურებული, შეურაცხყოფილი და დათრგუნულია. ჭაბუას თქმის არ იყოს, საძოვარზე მიშვებული და გათითოკაცებული გახადეს ქართველობა და ეროვნული უსუსურობის შეგრძნება ჩაუნერგეს ადამიანებს. რატომ უნდა აგვიშენოს ხიდი იტალიელმა, რკინიგზა ჩინელმა და რატომ უნდა დაგვიგოს ასფალტი თურქმა, როცა ჩვენ მათზე ნაკლები არ შეგვიძლია? არ დაგვავიწყდეს, რომ ქართველმა ავიაინჟინერმა გიორგი ქართველიშვილმა ამერიკის ავიაციის ისტორია შექმნა. პირველი ამერიკული სამხედრო თვითმფრინავი სწორედ ქართველიშვილის შექმნილია. ქართველი დიმიტრი უზნაძეს ეკუთვნის მსოფლიო მნიშვნელობის თეორია, რომელიც აქვე, თბილისში დაიწერა. რომელი ერთი ჩამოვთვალო.. საუბარს ისევ უნივერსიტეტის თემით დავასრულებ და კიდევ ერთხელ, თხოვნით მივმართავ უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოებას. უნივერსიტეტს გადარჩენა ჭირდება და ახლა მცდარი ნაბიჯების გადადგმას შთამომავლობა არ გვაპატიებს.

**24 აპრილს საქართველოს პრემიერ მინისტრს გიორგიკვირიკაშვილსა და „აუდიტორია 115“ წევრებს შორის მორიგი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის დასრულების შემდეგ „აუდიტორია 115“-ის წევრმა ლევან ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ განათლებისა მინისტრსა და „აუდიტორია 115“ შორის არსებულ დავაში პრემიერ მინისტრმა სტუდენტების მხარე დაიჭირა. „მინისტრი გვთავაზობდა, რომ თვითმმართველობისთვის დაგვერქვა კლუბი. ამ კლუბს ჰყოლოდა საბჭო, საბჭოს ჰყოლოდა სპიკერი და ისევ იერარქია შექმნილიყო, რომელსაც ვიღაცეები გამოიყენებდნენ სათავისოდ, რაც ჩვენთვის მიუღებელია— განაცხადა ლევან ლორთქიფანიძემ. „აუდიტორია 115“ წარმომადგენელმა თსუ რექტორის მოვალეობის შემსრულებელს დარეჯან თვალთვაძეს მოუწოდა, მაგალითი ივანე ჯავახიშვილისგან აეღო, რომელმაც რექტორის პოსტზე უარი თქვა, რომ ადგილი მსოფლიოში ცნობილი პეტრე მელიქიშვილისთვის დაეთმო. ელოდნენ თუ არა სტუდენტები რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დარეჯან თვალთვაძის ხილვას, რას აპირებენ იმ შემთხვევაში თუ ქალბატონი დარეჯანი მათ მოწოდებას არ გაითვალისწინებს, როგორ დასრულდა განალებისა და მეცნიერების მინისტრს შორის არსებული დავა და რა გეგმები აქვთ სამომავლოდ? „საერთო გაზეთი“ „აუდიტორია 115“ წარმომადგენელს ლევან ლორთქიფანიძეს ესაუბრა:**

— გულწრფელად გეტყვით, რომ ნამდვილად არ ველოდით, თუ უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე გახდებოდა, მაგრამ უნივერსიტეტმა ასე გადაწყვიტა. ქალბატონ დარეჯანს ნამდვილად შესწევს უნარი, რომ კარგად მოამზადოს უნივერსიტეტი რექტორის და ახალი კანცლერის არჩევისთვის. ამის შემდეგ კი იმედი გვაქვს, რომ ის მანკიერი პრაქტიკა, როცა მოვალეობის შემსრულებლები მათ ხელთ არსებულ რესურსს რექტორად არჩევისთვის იყენებდნენ, აღარ გაგრძელდება. ასე თუ არ მოხდა, საუნივერსიტეტო საზოგადოებას ძალიან მძაფრი რეაქცია ექნება და პროტესტი აუცილებლად გაგრძელდება. გარდა იმისა, რომ ეს მანკიერი პრაქტიკა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს, ისიც მნიშვნელოვანია, რომ



უნივერსიტეტი რიგითი მეცნიერების სამართავი დაწესებულება არ გახლავთ. ქალბატონი დარეჯანი არ არის იმ დონის მეცნიერი, არც საზოგადოებაში იმ დონის სამოქალაქო პატივისცემა გააჩნია და არც ისეთი საერთაშორისო ცნობადობა აქვს, რომ უნივერსიტეტს უხელმძღვანელოს.

— **უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ნაწილს მიაჩნია, რომ დარეჯან თვალთვაძის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად არჩევის შემდეგ, უნივერსიტეტი რეგრესის გზას დაადგა და სასწავლებელში კარგი აღარაფერი მოხდება. არჩევნების შედეგის გათვალისწინებით, გაქვთ თუ არა განცდა, რომ სტუდენტების პროტესტი რაღაც სხვა მიზნებისთვის იქნა გამოყენებული?**

— მესმის ამ პროფესორების. უნივერსიტეტში არსებული კლანები ახერხებენ, რომ ნებისმიერი სახის პროტესტით ისარგებლონ, მაგრამ ჩვენ ბრძოლა არ დაგვიმთავრებია. ჩვენ ვითხოვთ კანონის და არჩევის წესის ცვლილებას, აკადემიური საბჭოს გაფართოვებას და ა.შ. ჩვენ არ გვაქვს ილუზია, რომ ხვალ და ზეგ ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ ვიცით, რომ ბრძოლა შედეგს გამოიღებს, უბრალოდ, ბევრი ენერგიის და ბევრი შრომის ჩადება დაჭირდება. კარგი იქნება, თუ პესიმიზმის ნაცვლად, პროფესორები ბრძოლაში გვერდით დაგვიდგებიან და მოგვეხმარებიან, რომ უნივერსიტეტში დემოკრატიული სიტუაცია შევქმნათ.

— **ტექნიკურ უნივერსიტეტში განვითარებულ პროცესებზე რა აზრის ხართ?**

— ჩვენ შევხვდით იმ ადამიანებს და მხარს ვუჭერთ მათ მოთხოვნებს, რადგან მათაც სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და თვითმმართველობის ჰეგემონიის დასრულება უნდათ. ამბობენ, რომ იქ რაღაც შიდა დავა და კონკურენციაა, ამიტომ ნამდვილად არ ვიცი, იმ ადამიანებს რა ქვენა მიზნები აქვთ, მაგრამ მოშიმშილე პროფესორების ზოგადი მოთხოვნები სრულიად მისაღებია. იცით რა არის შემაშფოთებელი? ბატონო ფრანგიშვილი 2007 წლის მერე უნივერსიტეტის რექტორია და მისი არგუმენტი სრულიად სამარცხვინოა —მეორედ რომ ამირჩიეს, მაშინ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი ერქვა და მესამედ არჩევის დროს, საჯარო სამართლის იურიდიული პირი იყო, კიდევ ერთხელ კენჭისყრის უფლება მაქვს და გაჩუმდითო. სამწუხაროა, რომ ზოგიერთ ადამიანს კანონის ღირებულება არ ესმის და საკუთარი ძალაუფლების გახანგრძლივების გამო, მზად არის ნებისმიერი ნორმა ტირანული მიზნებისთვის გაიგოს. ასეთი ადამიანები სრულიად მიუღებელია ჩვენთვის. რამე კარგს რომ აკეთებდნენ და ტექნიკური უნივერსიტეტი ვითარდებოდეს, ხმას არავინ ამოიღებდა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტია. სწავლების ხარისხი შემაშფოთებლად დაბალია, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ხან გიული ალასანია ხსნის უნივერსიტეტს და ხან კახა შენგელია და იმის ნაცვლად, რომ ამაზე პასუხისმგებლობა აიღონ, ფიქრობენ რაღაც მაქინაციებით როგორ გაიხანგრძლივონ თავიანთი ძალაუფლება.

— **მოდით, თსუ-ს დავუბრუნდეთ. პრემიერთან შეხვედრის შემდეგ, ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით, რომ თქვენსა და მინისტრს შორის არსებულ დავაში პრემიერმა თქვენი მხარე დაიჭირა. იქნებ აგვიხსნათ მხარდაჭერა რაში გამოიხატა?**

— ახლაც გავიმეორებ, რომ პრემიერ მინისტრმა ცალსახად ჩვენი მხარე დაიჭირა. ქალბატონი მინისტრი არ არის დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა, რომ პრემიერ მინისტრის გარეშე და მის საწინააღმდეგოდ გადაწყვეტილებების მიღება შეეძლოს. იმის გამო, რომ სტუდენტებთან დიალოგი ვერ აწარმოვა, ალბათ მან გარკვეული ტიპის შენიშვნებიც მიიღო. ვფიქრობ, ეს კონფლიქტი ჩვენს სასარგებლოდ დასრულდა. ამის შემდეგ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მიჰყვება იმ მითითებებს, რომელსაც პრემიერ მინისტრისგან მიიღებს ან არ მიიღებს უცნაურად ჩამოყალიბებულ, ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს.

— **ქვეყნის ორ მთავარ უნივერსიტეტში განვითარებული პროცესების ფონზე, ექსპერტებისა და მეცნიერების უმეტესობა პასუხისმგებლობას განათლების სამინისტროს აკისრებს. თქვენ რას ფიქრობთ ამ თემაზე?**

— პრემიერ მინისტრთან შეხვედრის შემდეგ, მინისტრმა სრულიად დემორალიზებული ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. ვფიქრობ, მისი პასუხისმგებლობა დამდგარია. ვფიქრობ, ის უკვე შეზღუდული იქნება თავის მოქმედებებში და შეცდომების დაშვების შესაძლებლობა აღარ ექნება.

ნელი თორდია
571 35 36 88

## ანზორ ბაბუხადიას იდეას, ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო დონეზე ეწოდოს არა ჯორჯია, არამედ საქართველო, შეიძლება სულ მალე ხორცი შეესხას



ამერიკული გამოცემა «Bloomberg Wiew»-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში მიმოხილულია მსოფლიოს სახელმწიფოების ოფიციალური სახელწოდების შეცვლის ფაქტები, კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობის ამასწინანდელ გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმად, „ჩეხეთის რესპუბლიკა“ იცვლება დასახელებით „ჩეხეთი“ (ავტორი - ლეონიდ ბერშიდსკი).

როგორც პუბლიკაციაშია აღნიშნული, ჩეხეთის მთავრობამ გადაწყვიტა ქვეყნის სახელწოდება საზოგადოებრივი დებატების გარეშე შეეცვალა, ანუ ხელისუფლება თავის მოქალაქეებს არც შეეკითხა - სურთ თუ არა, მოსწონთ თუ არა და ისე მოაგვარა საქმე.

„შესაძლოა, მთავრობა სწორად მოიქცა, რომ ეს საკითხი ხანგრძლივი საზოგადოებრივი დებატების გარეშე გადაწყვიტა. ალბათ, მსოფლიო მალე მიეჩვევა ახალ შემოკლებულ სახელწოდებას (რომელიც ისტორიულად 1634 წლიდანაა ცნობილი) და აღარ შეეშლება რუსეთის სამხრეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე ჩეჩნეთის რესპუბლიკაში“, - ნათქვამია სტატიაში.

ავტორის აზრით, ქვეყნების სახელწოდების შეცვლა რამდენიმე მიზეზი განაპირობებს: არის შემთხვევები, როცა ეროვნულ-ისტორიული იდენტიფიცირება ხდება და არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ეროვნულ-ისტორიული იდენტიფიკაცია ქრება. ასეთი მაგალითები ხშირია აფრიკასა და აზიაში. შესაძლოა ჩეხეთის მოქმედებას რამდენიმე სახელმწიფომ მიბაძოს, ვთქვათ, საქართველომ. „საქართველო, რომლის ინგლისურენოვანი სახელწოდება „ჯორჯიაა“, მუდმივად ეშლებათ ამერიკის შტატ ჯორჯიაში, რომელთანაც ამ კავკასიურ ქვეყანას არავითარი კავშირი აქვს. საქართველოს ინგლისური დასახელება ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში გაჩნდა, რომელიც რუსულენოვანი „გრუზია“-დან დამახინჯებულად იქნა გადატანილი. თვითონ ქართველები საკუთარ ქვეყანას „საქართველოს“ უწოდებენ. „საქართველო“ ძალიან მშვენიერი სახელწოდებაა, რომელიც ინგლისურად მოლაპარაკე ადამიანები, ვფიქრობ, იოლად აითვისებენ. საქართველო უკვე რამდენჯერმე შეეცადა საერთაშორისო არენაზე ხმარებიდან რუსულენოვანი „გრუზია“ ამოღებულიყო და ბოლოს მიაღწია იმას, რომ იაპონელებმა მისი ინგლისური სახელწოდებით - „ჯორჯიად“ მოხსენიება დაიწყეს. თუმცა, ალბათ, მაინც სჯობს, რომ (თბილისმა ეროვნულ-ისტორიული იდენტიფიცირება მოახდინოს) და „ჯორჯია“ „საქართველოდ“ შეცვალოს“, - აღნიშნავს ავტორი.

# საქართველოს საზღვრების ბნელი, ანუ კრიმინალური ხვრელები

ვაგრძელებთ ინტერვიუს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილ მოადგილესთან, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ გელა ხუციშვილთან, რომელმაც სხვა გამოცდილ პროფესიონალებთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაცია „სახელმწიფო სასაზღვრო პოლიტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“ დააფუძნა. რესპოდენტის განცხადებით, 1997 წელს, როდესაც საქართველო ევროპის სასაზღვრო ქარტიას შეუერთდა, მისი უწყება იყო ინიციატორი, ხსენებული დეპარტამენტი პოლიციურ სისტემაზე გადასულიყო, ანუ საზღვრის დაცვის პოლიციად ჩამოყალიბებულიყო. ამ ყველაფერს ორმაგი დატვირთვა ჰქონია, პირველი ის, რომ სამხედრო კომპონენტის შემოღების შემთხვევაში, მეგობარ სახელმწიფოებს შესაძლებლობა ექნებოდათ ტექნიკური აღჭურვილობა და იარაღი გადმოეცათ ჩვენი მესაზღვრეებისთვის, რაც მანამდე აკრძალული იყო. მეორე - ჩვენ გადავდიოთ ევროპის სახელმწიფოთა სტრუქტურის მსგავს ფორმირებაზე. „მაგრამ ნახეთ როგორ განვითარდა მოვლენები, ის რაც ცოტა ხნის წინ საბერძნეთი-მაკედონიის საზღვარზე მოხდა, ყოველგვარი დემოკრატიის და ჰუმანურობის პრინციპების უგულვებელყოფაა. ლტოლვილებს ტყვია დაუშინეს, მართალია რეზინის, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ეს საფრთხე ჩვენც გველოდება, რასაც სათანადო პასუხს ვერ გასცემს ჩვენი ტექნიკური საშუალებები და დაქსაქსული ძალები“, აცხადებს პოლკოვნიკი გელა ხუციშვილი.



**- ბატონო გელა, სანამ მოსალოდნელ საფრთხეებზე ვისაუბრებთ, იქნებ გვითხრათ სად გადის რუსეთ-საქართველოს საზღვარი აფხაზეთის მიმართულებით, მდინარე ფსოუზე?**

- რუსეთთან საზღვრის მონაკვეთი 700 კმ-ზე მეტია. 1991 წლის 21 დეკემბერს, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, ამ მიმართულებით ჩვენსა და რუსეთს შორის საზღვარი მდინარე ფსოუზე დაფიქსირდა. სხვათა შორის, ესეც ერთგვარი ცინიზმი იყო, სტალინის დაბადების დღეს რომ დაშალეს საბჭოთა კავშირი. მერე იყო სეპარატისტული მოძრაობები და ახლა ზოგიერთი ქართველი ჟურნალისტი თავიანთი არაკვალიფიციურობის გამო, საზღვრად მოიხსენიებენ ენგურს და იქ არსებულ გამყოფ ზოლს. ერთი სიტყვით, გადმოგვიწიეს საზღვარი, არადა ეს არის ჩვეულებრივი სადემარკაციო ზოლი, რომელიც კონფლიქტის მხარეთა დაშორიშორების შემდეგ იქმნება და მასზე არსებობს თავისი წესები. ერთია, რომ აფხაზეთი თავს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებს, მაგრამ შენ ხომ იცი, რომ იქ კონფლიქტის ზონაა, სადემარკაციო ხაზი გადის და რა წესები უნდა გქონდეს დაწესებული. მე სრულებითაც არ მინდა, რომ ვინმემ დრომოჭმულ დინოზავრად ჩამთვალოს, თუმცა ჩემი მოსაზრის გამოთქმას არ მოვერიდები, მითუმეტეს, რომ უშუალო შეხება მქონდა ამ სფეროსთან. რაც წლები გადის, უფრო ვრწმუნდები, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები აქ ჩვეულებრივ დასაქმების წყაროს ხედავენ ჩვენი უბედურების ხარჯზე და მეტი არაფერი. ყოველ შემთხვევაში, მათ მიერ მოგვარებული რომელიმე კონფლიქტი მე ჯერ არ მინახავს. არის ნიუანსები, რომელთა დასაბუთებსაც თუ ვერ შეძლებ, არც უნდა ისაუბრო, თორემ როგორ ხელოვნურად ხდება კონფლიქტის ესკალაცია, რის შემდეგაც ამ ორგანიზაციების წარმომადგენელთა ხელფასები და სამივლინებო ხარჯები ასტრონომიულად იზრდება, თაღლითობაა და მეტი არაფერი. არსებობს ცნება ტრანსსასაზღვრო დანაშაული, ყველაზე მეტად ამის გვეშინოდა და ახლა სწორედ მისი ნიშნები იკვეთება. ჩვენ არასამთავრობო ორგანიზაცია იმიტომ შევქმენით, რომ დაგვიგროვდა უზარმაზარი ცოდნა და ინფორმაცია, ორგანიზაციაში ისეთი ოფიცრებიც არიან გაწევრებული, რომლებსაც წლების მანძილზე ებარათ სასაზღვრო დაზვერვის ფუნქციები აღმოსავლეთ, სამხრეთაღმოსავლეთ საზღვრის მონაკვეთებზე. მართალია, მათ შესაბამის დოკუმენტებთან წვდომის უფლება დღეს აღარ აქვთ, მაგრამ ყველაფერი ხომ ახსოვთ. განვლილმა პერიოდმა მათ საშუალება მისცა, რომ პროცესები გაეანალიზებინათ და მივედით დასკვნამდე, რომ მდგომარეობა არ არის მთლად მშვიდი და სახარბიელო. მოვიდა ახალი თაობა, დღეს სასაზღვრო პოლიცია უმეტესად კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებით არის დაკომპლექტებული, ხოლო საკონტროლო-გამტარ პუნქტებს საპატრულო პოლიცია განაგებს, დაქსაქსულ ძალებში ამას ვგულისხმობდი. მე ამ ახალგაზრდების წესიერებასა და პატიოსნებაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ გამოცდილება ისეთი რამაა, რასაც ვერცერთ უმაღლეს სასწავლებელში ვერ შეიძენ. ჩვენმა ორგანიზაციამ პირველ რიგში საფრთხეები განსაზღვრა, ანუ საფრთხეები ზღვაზე, საკონტროლო-გამტარ პუნქტებში ხმელეთზე. როდესაც ვამბობთ, სატრანზიტო ფუნქციის მატარებელი ქვეყანა ვართო, რატომ არ გვინდა მაშინვე დავაყენოთ დღის წესრიგში, რომ პირველი, რაც ამ შემთხვევაში მოძრაობასა და მოქმედებას იწყებს, კრიმინალია. სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა ორგანიზებას დრო, ფინანსები და სხვ. ჭირდება, რაზეც კრიმინალი მყისიერად რეაგირებს. ტრანსასაზღვრო ორგანიზებული დანაშაული ეწოდება დანაშაულს, რომელიც ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე იწყება და მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე სრულდება, შეიძლება განგრძობადიც იყოს და ტრანზიტად გამოიყენოს რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორია. ხსენებული დანაშაული გულისხმობს არალეგალურ მიგრაციას; ყველაზე საშიში და მრავალწახნაგოვანი დანაშაულია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა, იარაღის კონტრაბანდა, ორმაგი დანიშნულების ნივთიერებათა ექსპორტ-იმპორტი, საუბარია იმ ნივთიერებებზე, რომლებიც გამოიყენება სახალხო მეურნეობაშიც და ტერორისტული ორგანოების მიერაც, მაგალითად რადიაციული და სხვა კომპონენტები. ტრანსსასაზღვრო დანაშაულში იგულისხმება ტერორიზმიც, რომელიც ადრე თითქოს არალეგალურ მიგრაციაში ითვლებოდა, მაგრამ ახლა განყენებულია, რადგან ძალიან თავხედური მოქმედებებით წავიდა. არალეგალური მიგრაცია თავის მხრივ რამდენიმე ნაწილად იყოფა: სატრანსპლანტაციო ორგანოების ტრანსპორტირება; იაფი მუშახელი; პროსტიტუციის ესკალაცია და ა.შ. დადგენილია, რომ თითოეული არალეგალი (არის, როგორც ინდივიდუალური, ისე ორგანიზებული სახით შემოსვლები), რომელიც სახელმწიფოში შემოდის, ადგილზე 7.000 ევროს ტოვებს, ეს ყველა სახელმწიფოში ასეა. მას, როგორც წესი, ნაღდი ფული არ აქვს და ამ „გადასახადს“ ხშირად გარკვეული სამუშაოს შესრულებით ანაზღაურებს, არცთუ იშვიათად ნარკოტიკის შემოტანა-რეალიზებითაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს არის არარეგისტრირებული მუშახელი, რომელიც ისედაც უმუშევრობის სფეროში მყოფ ქვეყანას ზედმეტ ტვირთად აწვება. ეს პრობლემა სერიოზულად დგას. მართალია, ჩვენთან ჯერ არ არის ისეთი ეკონომიკური მდგომარეობა, რომ არალეგალები აქ დარჩნენ, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს სატრანზიტო ხაზად იყენებენ, რითაც მავანნი სერიოზულ ფულს შოულობენ. ბოლო ხანს, ერთ-ერთ ტელეგადაცემაში საქართველოდან ბავშვების გაყვანაზე საუბრობდნენ, რაც ახალი ამბავი არ არის, პირველად ეს თემა 90-იანი წლების დასაწყისში გახმაურდა, 90-იანი წლების ბოლოსაც იყო საუბარი. ახლა კვლავ გააქტიურდა, ოღონდ მეთოდები შეცვლილია, ადრე თუ უპატრონოდ დარჩენილი ბავშვების გაყვანაზე „მუშაობდნენ“, ახლა ხელოვნური ჩასახვა და ამ გზით გაყვანა ხდება.



ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის ყოფილმა პროკურორმა კარლა დელ პონტემ თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ 2008 წელს წიგნი („ნადირობა. მე და სამხედრო დამნაშავეები“) გამოსცა, სადაც ყვება კოსოვოელი ალბანელები როგორ აჭრიდნენ ცოცხალ ადამიანებს, სერბ სამხედრო ტყვეებს ორგანოებს და ყიდდნენ. ამ წიგნში მოხსენიებულია ნახევრადაღიარებული კოსოვოს მოქმედი პრეზიდენტი ჰაშიმ ტაჩი. ქალბატონი დელ პონტე მას ბრალს უყენებს, რომ ადამიანის ორგანოებით ვაჭრობდა (ინტერნეტსივრცეში გავრცე-



ლებული ინფორმაციით, ჰაშიმ ტაჩის იუგოსლავიის სასამართლომ 1997 წელს, ტერორისტული საქმიანობის ბრალდებით აწლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა. იგი 1999 წლის დასაწყისიდან ერთ-ერთი მთავარი საველე მეთაური გახდა, ხოლო კოსოვოს პრეზიდენტის თანამდებობას 2016 წლის აპრილის დასაწყისიდან იკავებს – მ.ს.), დღეს ჰაშიმ ტაჩი ოფიციალური მილიარდერია. ერთი ადამიანი თურმე ნახევარ მილიონ ევროდ ფასობს, ცხადია, ყველა ორგანოს თავისი ფასი აქვს. კოსოვოს ტერიტორიაზე ბანაკები ჰქონდათ შექმნილი, სადაც დატყვევებულ ხალხს ათავსებდნენ, იქ მარტო სერბები კი არა, მთელი საქრისტიანოს წარმომადგენლები ყავდათ და მათ ორგანოებს ნელ-ნელა ყიდდნენ. მცირე სამხედრო ინციდენტებსაც აწყობდნენ, შეტაკებები ხდებოდა სერბებთან, რა დროსაც ცხადია იღუპებოდნენ ჯარისკაცები, რომლებსაც ასევე ტრანსპლანტაციისთვის იყენებდნენ. გაიხსენეთ რამდენი ასეთი სტიქიური შეტაკება მოხდა საქართველოში 2004 და 2008 წლებში, ამის მიხევით განსაზღვრეთ, რამხელა ფულია მავანთა ჯიბეში შესული.



ტრანსსასაზღვრო დანაშაულის პარალელურად სხვა პროცესებიც განვითარდა, არსებობს საქართველოს საზღვარზე ლტოლვილების ორგანიზებულად, მასობრივად გადმოსვლის საშიშროება, ხომ ხედავთ, ევროპა აღარ ღებულობს ამ ხალხს. თურქეთმა პასუხისმგებლობა აიღო, რომ მათ თავის ტერიტორიაზე მოუყრის თავს, ამ ქვეყანასთან კი ჩვენ ძალიან დიდი სასაზღვრო სივრცე გვაკავშირებს, რომელიც არცთუ ისე დიდი სიმჭიდროვითაა დაცული, შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად დაუცველია. სხვათა შორის, ერთ-ერთი ჟურნალისტი დაინტერესდა, ადრე როგორ ხდებოდა ამ საზღვრის დაცვა, მაგრამ მან საზოგადოებამდე სწორად ვერ მიიტანა ჩემი პასუხი. კომუნისტების პერიოდში საქართველო-თურქეთის საზღვარს საბჭოთა კავშირის სასაზღვრო ჯარი იცავდა, მერე რუსეთის სასაზღვრო ჯარების ჯგუფი ჩადგა, 1994 წელს დადებული ხელშეკრულების თანახმად, მათ უნდა გაეკონტროლებინათ ესენგეს (დსთ) გარე საზღვარი, რომელიც 1998 წელს ჩაგვაბარეს. იმ პერიოდში სარფიდან ვალემდე მონაკვეთზე 10.000 რუსი მესაზღვრე იყო განთავსებული, ეს მაშინ, როცა საქართველოს სასაზღვრო ჯარს დარჩენილ სხვა ტერიტორიაზე სულ 3500 მესაზღვრე ყავდა. მართალია, ამ მონაკვეთებზე ნაკლები საშიშროება იყო, მაგრამ არც სარფი-ვალეს მონაკვეთზე გველოდა საშიშროება, რადგან თურქეთთან ნორმალური ურთიერთობა გვქონდა. დღეს მდგომარეობა შეცვლილია, მე არ მინდა სამხედრო საიდუმლო გავცე და დავასახელო იქ რა და რამდენი ერთეულები გვყავს, მაგრამ ფაქტია, თუ ხვალ საზღვარზე ლტოლვილთა მოძალება და მასობრივი გადმოსვლის მცდელობა დაიწყება, თურქეთმა თვითონ თუ არ გააჩერა, მეეჭვება ჩვენი ძალებით ეს შევძლოთ. კითხვა გამიჩნდა, რომელიც კომპეტენტურ ორგანოებს დავუსვი, თუმცა პასუხი ვერ მივიღე და თქვენი გაზეთის საშუალებითაც მინდა დავსვა. ჩვენ ვნახეთ როგორ განვითარდა მოვლენები ლიბიაში, სირიაში, ეგვიპტეში, სირიის ქალაქი ალეპო მთლიანად დაინგრა, იყო ქალაქები, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ ქრისტიანი სომხები, საკმაოდ შეძლებული ხალხი, რომლებიც კონფლიქტის ესკალაციის სხვადასხვა ეტაპზე პერმანენტულად გადიოდნენ იქიდან. მაინტერესებს სად წავიდა ეს ხალხი, შემოვიდა თუ არა ჩვენს ტერიტორიაზე და განსახლდა. ამის მონაცემები არ არსებობს, შეიძლება არსებობს კიდეც, მაგრამ გასაიდუმლებულია, ვერაფერს გეტყვით. ფაქტი ერთია, როდესაც ქვეყნის შემოგარენში ასეთი პროცესები იწყება, მით უმეტეს, რომ ყარაბაღის კონფლიქტიც განახლდა, არალეგალური მიგრაციის განსაკუთრებული კონტროლია საჭირო. მიწა ყიდვა-გაყიდვის საგნადაა ქცეული, მიწა საქონლად აქციეს, არადა გვასწავლიდნენ, რომ საქონელია ის საგანი, რომელიც ადამიანის შრომით იქმნება და შემდგომ ყიდვა-გაყიდვის ობიექტი ხდება. მიწა ადამიანის შრომით არ შექმნილა, ის ღვთის ბოძებულია და არავის აქვს უფლება შეეხოს.

**- 1987 წელს სვანეთში დიდთოვლობისას დაზარალებული მოსახლეობა საქართველოს მაშინდელმა ხელმძღვანელმა ჯუმბერ პატიაშვილმა ქვემო ქართლში საზღვრისპირა რაიონებში ჩაასახლა. უფრო ადრე სტალინმა ჩაასახლა ამ რეგიონშიც და სამცხე-ჯავახეთშიც იმერლები და რაჭველები, რითაც მეტნაკლებად გამოსწორდა დემოგრაფიული მდგომარეობა საზღვრისპირა რეგიონებში. ე.ი. მთავარი ხელისუფლების ნება ყოფილა.**

- მოდით, სხვებსაც ნუ დავუკარგავთ დამსახურებას, 80-იან წლებში ავთანდილ მარგიანიც მუშაობდა ამ საკითხზე, რომელიც იმ პერიოდში გარდაბნის რაიკომის მდივანი იყო. ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ ზოგიერთ საკითხს, ჯერ ერთი, საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელები არ არიან ერთიანი ერი. ეს სხვა საუბრის თემაა, მაგრამ მოკლედ მაინც გეტყვით, ჩვენ ყველაზე დიდ შეცდომას ვუშვებთ, როცა მათ ეროვნულ უმცირესობად ვთვლით, აზერბაიჯანელი ერი 1921 წელს ჩამოყალიბდა, რომელიც სხვადასხვა ეროვნებათა კონგლომერატი იყო. ეს ადამიანები საუკუნებია საქართველოს მიწაზე ცხოვრობენ და ვერც კი წარმოიდგენთ როგორ უყვართ ეს მიწა, ნეტავ ქართველს შეაყვარა ისე საქართველო, როგორც მათ უყვართ. ამ ადამიანების ინტეგრირება უნდა მომხდარიყო ჩვენში. არ გაინტერესებთ სად გაქრა ის ათეულ ათასობით ყივჩაღი, რომელიც დავით აღმაშენებელმა ჩამოასახლა საქართველოში? არსად, ენამ გალეწა ყველაფერი, მან მოახდინა ამ ხალხის ასიმილაცია. როდესაც აზერბაიჯანელები ქართულად ამეტყველდებიან, სულ სხვა სურათი გვექნება. მე ძალიან დიდი პატივისცემით ვექცევი იმ ადამიანებს, ვინც წარსულში შეიძლება სხვა ეთნოსის წარმომადგენელი იყო, მაგრამ თავს ქართველად აცხადებს. შეიძლება ადამიანი იმისთვის გაკენწლო, რომ ის ქართულად ფიქრობს, აზროვნებს და სუნთქავს? ეს მან აირჩია და გახდა ამ კულტურის თანამოაზრე, შენ კი ამ დროს ხელს კრავ და იცილებ. ჩვენ არაერთხელ ვართ შევსებული, განსაკუთრებით საქართველოს მთა, იქ მოხუცებმა კარგად იციან ვინ ვისი კუთვნილებაა და საიდანაა გამოსული, რადგან წესად იყო, რომ შეხიზნულ ან ჩასიძებულ კაცს სამი თვის მერე ამ სოფლის გვარი უნდა მიეღო „სარეველა" რომ არ გამრავლებულიყო. რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებულ ე.წ. თურქ-მესხებს, მათ გვარებსა და მონაცემებს რომ გადახედოთ, მათი გარკვეული ნაწილი არაქართველია.




დავუბრუნდეთ, არალეგალური მიგრაციის თემას. საზღვრის დაცვის დეპარტამენტში ძალიან კარგი სტრუქტურული დანაყოფი შეიქმნა, რაც სამწუხაროდ, ჩვენს დროს არ იყო. ეს არის ოპერატიულ-სამძებრო მთავარი სამმართველო, რომლის კომპეტენციებშიც შედის, როგორც საზღვრის მიღმა, მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთანამშრომლობა, ისე საზღვრის მთელ პერიმეტრზე და ქვეყნის შიგნით ოპერატიული საქმიანობის განხორციელება არალეგალური მიგრაციისა და სხვა სასაზღვრო დანაშაულობების აღკვეთის მიზნით. მე არ ვიცი რატომ ვერ ხერხდება ამ უფლებამოსილების განხორციელება, ალბათ ან შესაძლებლობას არ აძლევენ, ან რაღაც არ ყოფნით, თორემ ამ სამსახურს შეუძლია პროცესებში ძალიან სერიოზულად ჩაერთოს და კონკრეტული ინფორმაციის საფუძველზე მოხდეს იმ ადამიანების დაკავება, ვისაც საქართველოში უნებართვოდ შემოსვლის მცდელობები აქვს. თქვენ ბოშები ახსენეთ, რომლებიც რამდენიმე წლის წინ აზერბაიჯანიდან მასიურად გადმოსულან, მარტო ისინი კი არა, სხვა ეთნოსის წარმომადგენლებიც შემოდიან. სამწუხაროდ, ჩვენი კანონი, მათ მოქალაქეობის მიღებას უმარტივებს. როდესაც საკითხი კავკასიური რასის ხალხის შემოსვლას ეხება, ეს ძნელად შესამჩნევია, მაგრამ ძალიან დამაფიქრებელია, მათი ასიმილირება შემდგომში რა შედეგს მოგვიტანს. უნდა ვაღიაროთ, რომ ფაქტობრივად, ცივილიზაციათა ომი მიდის, როდესაც ევროპაში ასე განუკითხავად მოხდა ლტოლვილების მასობრივი შეყვანა, თანაც საფილტრაციო ბანაკების გარეშე.

მოხარული ვიქნები თუ თქვენი გაზეთი დააწესებს რუბრიკას სახელწოდებით „მრგვალი მაგიდა", სადაც აუცილებლად მიწვეული იქნება სახელმწიფო სადელიმიტაციო კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენლები ჯანსაღ ოპონირებას გავუწევთ. საზღვრის დაცვის სუბიექტების ფართო სპექტრი არსებობს - საბაჟო, ფინანსთა, თავდაცვის, საგარეო საქმეთა, ეკონიმიკის და ჯანდაცვის სამინისტროები, ამ უწყებების წარმომადგენელთა მონაწილეობით უნდა მოეწყოს საზოგადოებასთან კონტაქტი მედიასაშუალებების მეშვეობით, რადგან არაფერია უფრო მნიშვნელოვანი, დასაფიქრებელი და საზრუნავი, ვიდრე სახელმწიფოს ტერიტორია, რომელსაც თანდათან ვკარგავთ. არსებობს ცნებები დუბელაცია და ცესია, დუბელაცია ნიშნავს, როცა ერთი სახელმწიფო ძალით იპყრობს მეორის ტერიტორიას, ნებისმიერ დროს შეიძლება საერთაშორისო ძალისხმევით, იგივე ძალის გამოყენებით, ან სახელმწიფოთა შეთანხმებით ეს ტერიტორია კანონიერ მფლობელს დაუბრუნდეს. ცესია კი იმას ნიშნავს, როდესაც სახელმწიფო ნებაყოფილობით გასცემს, გაცვლის, გაასხვისებს თავის ტერიტორიას, რომელიც დაბრუნებას აღარ ექვემდებარება. ამიტომ სერიოზული დაფიქრება გვმართებს იგივე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით. ძალიან მტკივნეული თემაა გარეჯის სამონასტრო კომპლექსი და მისი მიმდებარე ტერიტორია, გარეჯის გადარჩენის, ამ პრობლემის მოგვარების ქვაკუთხედი სასაზღვრო დასახლებათა სისტემის ამუშავებაა. ვეტერანთა დეპარტამენტის ყოფილ თავმჯდომარესთან ამ საკითხზე ჩვენი ურთიერთობა როგორც დამთავრდა, უკვე გითხარით. ამ თანამდებობაზე კობა კობალაძის დანიშვნამ იმედი გაგვიჩინა, მინდა მას შევხვდე და კვლავ წამოვწიო სასაზღვრო დასახლებების საკითხი. არასამთავრობო ორგანიზაციები ამ თემას ინიცირებას ვერ გაუკეთებენ, სახელმწიფოს კონფიდენციალური დემოგრაფიული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს, რაც ვეტერანთა დეპარტამენტმა უნდა განახორციელოს. ამით ძალიან დიდი პრობლემას გადავჭრით. კობალაძის იმედი იმიტომ გვაქვს, რომ მებრძოლი კაცია, იცის დენთის სუნი, სამშობლოსთვის სისხლი დაუღვრია, თანაც კარგ ოჯახშია აღზრდილი. ძალიან კარგია, რომ მას მიანდეს ასეთი დიდი და სერიოზული საქმე, უპატრონოს იმ ხალხს, ვისაც სამშობლოს წინაშე ვალი აქვს მოხდილი. ვეტერანების, გამოცდილი ძალოვნების კონტიგენტით შეიძლება მოეწყოს სასაზღვრო დასახლებები, რაც ჩვენს საზღვრებს საიმედოდ გაამაგრებს.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# მცხეთა-მთიანეთი - მწვანე მიმართულების რეგიონი

### დუშეთის მუნიციპალიტეტი

- სოფელ ბაგებში მისასვლელი მთავარი გზის მოასფალტება - 590589 ლარი.
- დუშეთის ბაზრის რეაბილიტაცია - პროექტის ღირებულება 139300 ლარი.
- ერეკლე მეორისა და შიო არაგვისპირელის ქუჩების მოასფალტება. დასრულებულია. გამოყოფილია 821552, 31 ლარი.
- მუსიკალური სკოლის რეაბილიტაცია. დასრულებულია. პროექტის ღირებულება 410143 ლარს შეადგენს.
- სკვერისა და საჭიდაო მოედნის მშენებლობა - 54704 ლარი.
- დასრულებულია ჩარგლის ხიდის მშენებლობა - სამუშაოების ღირებულებამ 56. 999 ლარი შეადგინა.

### თიანეთის მუნიციპალიტეტი

- გაზიფიცირდა დაბა თიანეთის მუნიციპალიტეტის 11 სოფელი 2013-2014 წწ.
- გაიხსნა 2 საბავშვო ბაღი, სოფ. არტანსა და სოფ. დულუზაურებში.
- დასრულდა დაბა თიანეთის სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია 2015 წ.
- მიმდინარეობს ერწოს დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია.
- სოფელ ზარიძეების საჯარო სკოლას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2014 წ.
- რეაბილიტირდა თიანეთისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების დამაკავშირებელი გზა 2015 წ.
- დაბა თიანეთში განახლდა და კეთილმოეწყო ვაჟა-ფშაველას სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი. 2013-2014 წ.
- დასრულდა მირზა გელოვანის მემორიალური სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია
- გაიხსნა მუნიციპალური ნაგავსაყრელი დ. თიანეთში 2015 წ.
- აშენდა 300-ადგილიანი ღია საკონცერტო დარბაზი 2013-2014 წ.
- აშენდა 500 ადგილიანი საჭიდაო არენა 2013-2014 წ.
- გაიხსნა სახანძრო-სამაშველო სამსახურის სერვის-ცენტრი სოფ. ხევსურთსოფელში 2015 წ.

### ყაზბეგის მუნიციპალიტეტი

- მიმდინარეობს პირველი ეტაპის მშენებლობა. ხელშეკრულების ღირებულება 835070 ლარი.
- ყაზბეგის მუნიციპალიტეტში სოფ. ყანობის გზის სარეაბილიტაციო გამაგრებითი სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ღირებულება 57660 ლარი.
- სოფელ სიონში სასმელი წყალის სისტემის რეაბილიტაცია და შიდა ქსელის რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება: 191000 ლარი.
- სოფელ ტყარშეტში საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა. დასრულებულია. პროექტის ღირებულება: 106017 ლარი.
- სოფელ ხურთისის გზის მშენებლობა 2015 წ. 141,465 ლ.

### გვესაუბრება სახელმწიფო რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის მხარეში, გუბერნატორი, ბატონი გოჩა ზეიკიძე.



**— ბატონო გოჩა, სანამ მცხეთა-მთიანეთის რეგიონის გუბერნატორის პოსტზე დაინიშნებოდით, რა პოზიციაზე იყავით, სად მუშაობდით, სად მოღვაწეობდით?**

— ორი წლის განმავლობაში გუბერნატორის მიადგილე გახლდით აქ, მცხეთა-მთიანეთის მხარეში.

ამ პოსტზე დანიშვნის შემდეგ ერთგვარი ანალიზი გავაკეთე, დავსახე კონკრეტული გეგმები და მოქმედების მიმართულებები — რეგიონი საით უნდა წავიდეს.

მცხეთა-მთიანეთი თვითონ, ბუნებრივად გეუბნება, რა მიმართულებით უნდა განვითარდეს.

ერთ-ერთი წმინდა ადგილი საქართველოში არის მცხეთა, სულიერი სიწმინდის თვალსაზრისით, ეკოლოგიის თვალსაზრისით, ხალხით, მათი ადათით, ცხოვრების წესით და ეს უნდა გამოვიყენოთ. ეს უნდა დავსახოთ პრიორიტეტად.

გუბერნატორად დანიშვნისთანავე მოქმედების მთავარ გეგმად და მიმართულებად რეგიონში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება მივიჩნიე. კლიმატი, სხვა, ყველაფერი, ისე დაემთხვა, რომ წარმოიშვა იდეა, მიგვეცა რეგიონისთვის განსაკუთრებული ე. წ. „მწვანე მიმართულება".

მხოლოდ იდეის დონეზე რომ არ დარჩენილიყო ყველაფერი, მოვიწვიეთ მეცნიერები. აღფრთოვანდნენ ჩვენი ინიციატივით.

კვირაში ორ-სამჯერ ვხვდები მეცნიერთა სხვადასხვა ჯგუფებს და ვამუშავებთ პროექტებს რეგიონის მწვანე მიმართულებით განვითარებისთვის, რათა ბაზარზე ჩვენი პროდუქცია კონკურენტუნარიანი იყოს.

წარმოშობით ჭოპორტიდან გახლავართ. სოფლის მეურნეობის მინისტრობისას ბატონმა ბაკურ გულუამ მითხრა — ინგლისში მივდივარ და ჭოპორტის პამიდორი მინდა გავასინჯო ინგლისელებსო. 5-6 ყუთი პამიდორი ბატონმა ბაკურმა ინგლისში გამოფენაზე წარადგინა სოფლის მეურნეობის სხვა ქართულ პროდუქტთან ერთად.

მერე მიყვებოდა: გაოგნებული დავტოვე ინგლისელები — პირველად გაიგეს ნამდვილი პამიდვრის გემოო.

ახლანდელი სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, ბატონმა **გოჩა ცოფურაშვილმა** ახლახან ებრაელი მეცნიერები მოგვიყვანა სტუმრად. ეს ის ხალხია, რომლებმაც ისრაელის უდაბნოები ოაზისად აქციეს, თუმცა ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრეები მათთვის საოცრება აღმოჩნდა.

6-დან 10 სექტემბრამდე რეგიონში დიდი ბიზნეს-ფორუმის ჩატარებას ვგეგმავთ, სადაც წარმოვადგენთ ჩვენს რეგიონში განსაცორხიელებელი ბიზნეს-პროექტების, ასე ვთქვათ, მთლიან თაიგულს.

პირველ რიგში, გვინდა ჩვენი რეგიონის მიწები თანდათან გავათავისუფლოთ ქიმიური სასუქებისა და შხამქიმიკატებისგან!.

ქართველ მეცნიერებს აქვთ ალტერნატიული გამოგონებები. დიდი ხანია მუშაობენ ამ საკითხებზე. არის მიღწევები ვეტერინარიის, მემცენარეობის, ბუნებრივი სასუქების კუთხით.

ლილოს დასახლებასთან ახლოს სპეციალური ლაბორატორიები აქვთ მეცნიერებს და წლების განმავლობაში მუშაობენ, იკვლევენ, ატარებენ ცდებს, უშვებენ ახალ პროდუქციას მემცენარეობის, მეცხოველეობის მხრივ, გამოჰყავთ ახალი ჯიშები.

აქვთ ჭიაყელების მომრავლების მიმართულება. როგორც იცით, ჭიაყელას ექსკრემენტი არაჩვეულებრივი ბუნებრივი სასუქია.

ჩვენთან არის რამდენიმე ფერმერი, რომლებმაც უკვე დანერგეს თავიანთ საქმიანობაში ეს მიმართულება.

საძოვარი უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა, ნიადაგი ნაყოფიერი და ცხოველის საკვები ჯანსაღი.

მაგალითად, ჩვენს რეგიონში მოღვაწე ფერმერს **ზურაბ მარსაგიშვილს** აქვს თხების ფერმა უნიკალური ჯიშის თხებით. ის აპირებს დაინტერესებულ ადამიანებს უსასყიდლოდ გადასცეს თხები გასამრავლებლად შემდგომი ბიზნესისთვის.

ამ კაცმა ახლახან შემოიტანა ეკო-ბიოდანიშნულების 20 სახის ბალახის თესლი, რომელიც გაამდიდრებს საძოვრებს. ამ საძოვრებს მორიგეობით იყენებს ცხოველთა გამოსაკვებად.

ზოგი ჭირი მარგებელიაო, ხომ გაგიგონიათ — 20-30 წელიწადი ჩვენი მიწები მოხნული და დათესილი რომ არ ყოფილა, დაისვენა მიწებმა და ვვარაუდობთ, რომ უკეთეს მოსავალს მივიღებთ.

არის ასეთი კაცი — **როსტომ გაბისონია,** ძალიან პატივსაცემი ადამიანი, რომელსაც ევროპული ორგანიზაციების დახმარებით თემთა განვითარების ბაზა აქვს გახსნილი ჩვენთან, ასევე დასავლეთ საქართველოშიც.

ეს გახლავთ, ძირითადად, კოოპერატივების ხელშემწყობი ორგანიზაცია. ბევრმა, შეიძლება, არ იცის, რომ ეს ორგანიზაცია წლების განმავლობაში მუშაობს, ამზადებს სპეციალისტებს, ეხმარება კოოპერატივებს.

სულ მალე განახებთ მთაში ხილის დამამუშავებელ საწარმოს, რომელიც მართლაც განცვიფრებულს დაგტოვებთ, ანუ მთაში, სადღაც, მოწადინებულმა ადამიანმა, რომელსაც შრომა არ ეზარება, ჩამოაყალიბა კოოპერატივი და გარშემო სოფლებში, სადაც კი იყო ეკოლოგიურად სუფთა ხილი და კენკრა შეისყიდა, გააშრო მზის ენერგიაზე და თავის დროზე გაიტანს რეალიზაციისთვის ნებისმიერ ბაზარზე. ყოველივე ეს კი ხერხდება 20 000 ლარით, რასაც სახელმწიფო აძლევს საგრანტო პროგრამით ვახორციელებთ.

ეს საქმიანობა ჩემამდე იყო დაწყებული, ხალხი მუშაობს



„კიონინგ პილსნერის" წარმოების პროცესი



**ავთანდილ ნემსიწვერიძე**
ქალაქ მცხეთის მერი



**ზურაბ აბესაძე**
მცხეთის თემის გამგებელი



**ვაჟა ჩოხელი**
დუშეთის გამგებელი



**ლელა ქიტესაშვილი**
თიანეთის გამგებელი



**გივი ქირიკაშვილი**
ყაზბეგის გამგებელი



**ნუგზარ ტიკაშვილი**
ახალგორის გამგებელი

გადარჩენისთვის, საკუთარი ქვეყნისთვის, თანამედროვეობის შესაბამისად ქმნის ახალ პროდუქციას, ახლა მთავარია მხარდაჭერა ხელისუფლებისგან, რაც არ ჰქონიათ წლების განმავლობაში.

მე აქტიურად ვუდგავარ მხარში ადგილობრივ მეწარმეებს, 5 და 10 წელი, შეიძლება, ამ თანამდებობაზე არ ვიყო, მაგრამ ვინც მოვა ჩემს შემდეგ, გზა გაკვალული იქნება.

მუნიციპალიტეტები ფეხზე მყარად რომ დადგებიან, ვიღას დასჭირდება გუბერნატორი და ასეთი ტიპის მმართველობა?!

**— საქართველოს უნიკალური შესაძლებლობები აქვს. მე ხშირად ვარ რეგიონებში. ჩვენს ქვეყანას უდიდესი ბუნებრივი და ადამიანური რესურსი აქვს იმისთვის, რომ უძლიერესი ქვეყანა იყოს.**

— გეთანხმებით. ჩვენი ქვეყანა მართლაც გამორჩეულია და მან უნდა დაიმკვიდროს ეს სტატუსი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების კუთხითაც.

ჩვენ უნდა მოვუაროთ ჩვენს არაჩვეულებრივ მხარეს, თუნდაც იმითაც, რომ ეკოლოგიურად სუფთა, მწვანე ქვეყანაში აღვზარდოთ ჩვენი მომავალი თაობები.

აღარ მახსოვს, ვისი სიტყვებია: დიდი ადამიანები იდეებს განიხილავენ, საშუალო ადამიანები — საქმეებს, უფრო სუსტები — ერთმანეთს განიკითხავენო.

საქმეებიც განვიხილოთ, იდეებიც და ხელისუფლების ინიციატივა და მხარდაჭერაც „მთის კანონის“ მიღებით. ეს ერთ-ერთი მისასალმებელი იდეაა.

უკანა ფშავის პედაგოგს მეათე ბავშვი რომ შეეძინა და თანხით დაეხმარნენ, მაშინ მივხვდი, რომ ამ კანონმა ამოქმედება დაიწყო. ერთობ მოხარული დავრჩი.

იყო ადრე ასეთი ლოზუნგი: „მთას დაუბრუნდა მთიელი“ და ა.შ. კარგია ეს, მაგრამ რას ვახვედრებთ იქ?! არის გზა? წყალი? დენი?

მაგალითად, თიანეთი უკვე მიიღო „იფუამმა“ თავის ორგანიზაციაში საპატიო წევრად.

თიანეთისკენ ერთი გზა თბილისიდან ცხვარიჭამიის გავლით, გომბორის გავლით, და ახმეტიდან თიანეთისკენ, თიანეთიდან უკვე დაწყებულია და 8 კმ-ია დარჩენილი ჟინვალამდე, რომელიც კახეთს პირდაპირ რუსეთთან დააკავშირებს.

ყველა მსურველს და სკეპტიკოსს შეუძლია წავიდეს და ნახოს, რა კეთდება იქ.

ეს ნიშნავს, რომ თიანეთს უკვე სამი მხრიდან ეხსნება გზა, რომ არ გაუჭირდეს პროდუქციის გასაღება.

ამას გარდა, დეგეგმილი გვაქვს ერწო-ბულაჩაურის 22 კმ-იანი გზის რეაბილიტაცია. ვაპირებთ, იქვე, წინამძღვრიშვილის სახელობის ტექნიკუმის ფილიალი გავხსნათ შემოდგომაზე, რომელიც რეინჯერებს მოამზადებს.

მთაში 25 მლნ-იანი პროექტია დაგეგმილი როშკა-არხოტის გზის მშენებლობისთვის, რომელიც გაზრდის შატილისა და ხევსურეთის გადარჩენის შესაძლებლობას.

ეს უნდა იცოდეს ხალხმა, ამას უნდა აშუქებდეს ჩვენი მედიასაშუალებები.

მელიორაციის საკითხებიც წამოვწიეთ წინა პლანზე.

იცის ამის შესახებ ჩვენმა საზოგადოებამ? — ცხადია, არა, არადა, ამ საქმეში უკვე 12 მლნ-ია დახარჯული. 12 000 ჰა-ის გასარწყავებაზე არის საუბარი.



ქარხანა „ხილიანი“

6 000 ჰა უკვე მზად არის, რაც ნიშნავს, რომ 6 000 ოჯახი შეძლებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შეუფერხებლად შესრულებას. მაგრამ რა უნდა დათესოს იქ, რა უნდა მოიყვანოს, რომ შემდეგ კონკურენტუნარიანად გაყიდოს?! ამაშიც ვეხმარებით მოსახლეობას.

თიანეთში 3 000 ჰა-ის დაშრობის სამუშაოები მიდის. სოფელ წილკანშიც უდიდესი სამუშაოები მიმდინარეობს.

**— მოდით, მცხეთაზე ვისაუბროთ. მცხეთა, როგორც თქვენ აღნიშნეთ, გამორჩეული ქალაქია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საქრისტიანო სამყაროში.**

**ცნობილია, რომ მცხეთაში სვეტიცხოვლის მიდამოების შესყიდვა ებრაელ ბიზნესმენს ჰქონდა განზრახული, თუ სწორად მახსოვს, 49 ჰა-ის შესყიდვის შემდეგ აქ ე. წ. ახალი გეთსამანიის ბაღი უნდა გაშენებულიყო. რა იცით ამის შესახებ?**

— მცხეთა საპატრიარქოს და პატრიარქის შეხედულების გარეშე არ შეიძლება რომ განვითარდეს. აქ არის ჩვენი სახელმწიფოებრიობის და სარწმუნოების აკვანი. მცხეთაში ჩვენი გონებისთვის ამოუხსნელი ბევრი საკრალური ადგილია, მაგრამ, სამწუხაროდ, ვიღაცები აქაურობას ვაჭრული თვალით უყურებენ.

ამჟამად მცხეთაში მორატორიუმი არის გამოცხადებული და ქალაქის გენგეგმის დასრულებამდე მშენებლობები, რაც მიმდინარეობს, ადრე გაცემული ნებართვებით ხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ მცხეთის ჯვრის დაბლა ტერიტორიაზე არსებობს სტელა, რომელმაც, ფაზტობრივად, გადაარჩინა ის ტერიტორია გაყიდვისა და გასხვისებისგან.

12 წელიწადია პატრიარქი ითხოვდა ამ მიწის გადმოცემას.

14 გვ.



საირიგაციო არხის მშენებლობა

**ქალაქ მცხეთის მერია**

**● აგურის ქარხნის დასახლებაში სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის (საცურაო აუზით) სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს. სპორტული კომპლექსის მშენებლობა ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება და მას შპს „ელ-ჯორჯია“ ახორციელებს, მშენებლობა 2017 წელს დასრულდება. ღირებულება 4, 723, 572 ლარია.**

**● ნარეკვავის დასახლებაში საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს.**

**სამუშაოები ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება და მას შპს „ნოდო“ ახორციელებს. ღირებულება 617, 000 ლარია და ემატება 10 % სამუშაოების შესასრულებლად.**

**● აგურის ქარხნის დასახლებაში მიმდინარეობს კულტურის სახლის მეორე ეტაპის სამშენებლო სამუშაოები. სამუშაოები ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება.**

**პირველი ეტაპის სამუშაოები სს სამშენებლო კომპანია “იმერეთმა” განახორციელა და მისი ღირებულება 1, 296, 715, 88 ლარია, ხოლო მეორე ეტაპის სამუშაოებს შპს „ნოდო“ ახორციელებს და ღირებულება 242, 00 ლარია**

**● გზის ახალი საფარი ეტაპობრივად ქალაქში 5 ქუჩაზე დაიგო.**

**გზის დაგების სამუშაოები დასრულებულია. მომსახურების ღირებულება 436, 901 ლარია.**

**● ქალაქ მცხეთის მერიამ, შემოსული განცხადებების შესაბამისად, დახმარება გაუწია ეკონომიურად გაჭირვებულ ოჯახებს, რომელთა სახლის სახურავები იყო დაზიანებული. მათ უსასყიდლოდ გადაეცათ გადასახური მასალა, ხოლო სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახების სახლების გადახურვის სამუშაოებს მერიის დაფინანსებით შპს “ნოდო” ახორციელებს. გადახურვის სამუშაოების ღირებულებამ 20, 271 ლარი შეადგინა, ხოლო მასალის გადაცემის ღირებულებამ 29, 305 ლარი.**

**● სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები დასრულებულია. მოეწყო ბავშვთა გასართობი მოედანი, დაირგო სხვადასხვა ჯიშის ნერგები. სამუშაოების ღირებულება 232, 418 ლარი.**

# მცხეთა-მთიანეთი - მწვანე მიმართულების რეგიონი



„სნოს“ პროდუქციის წარმოება

13 გვ.

ნაცების დროს აქტიურად მიდიოდა ამ ტერიტორიის გაყიდვის თემაზე საუბრები. ერთ-ერთი ცნობილი ქალბატონი, ნაციონალების ჩინოვნიკი გამოუშვეს მაშინ პატრიარქთან მოსალაპარაკებლად. ის დაჰპირდა კათალიკოსს – ათი ამხელა მიწის ფართობს მივცემთ საპატრიარქოს სანაცვლოდ, გვითხარით, სადაც გინდათო.

პატრიარქმა უპასუხა: ტერიტორიაზე, რომელსაც გადმოგვცემთ, ჯვარი და სვეტიცხოველი იქნებაო?! ამით დამთავრდა საუბარი.

სამწუხარო ისაა, რომ თვითონ ჩვენი ვაი-ქართველები არ სცემდნენ პატივს ჩვენს წმინდა ადგილებს მაშინ, როცა იუნესკო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები უნიკალურ, დაცულ ძეგლებად აღიარებდნენ და აღიერებენ მცხეთას და მის წმინდა შემოგარენს.

სამი-ოთხი სასტუმრო და 8-ზოლიანი ხიდი უნდოდათ აეგოთ ნაციონალებს სვეტიცხოვლის გარშემო. მაპატიეთ და, მაინცდამაინც სვეტიცხოვლის სიახლოვეს უნდოდა სექსი სააკაშვილს.

სხვა ჩინოვნიკებიც არიან ჩარეულნი მცხეთის ტერიტორიის ყიდვა-გაყიდვის საქმეში.

გაოცებულია „იუნესკო“.

ყველა მხრიდან შეტევა მიმდინარეობს მცხეთაზე.

– **რეგიონს მნიშვნელოვანი ტურისტული დანიშნულება აქვს. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ამ კუთხითაც მნიშვნელოვანია.**

– ცხადია. მაგრამ რეგიონის სოფლებს, დასახლებებს, მე მხოლოდ ტურისტული ობიექტების თვალსაზრისით არ ვუყურებ! მთის სოფლები უნდა გადარჩეს!

მარტო დუშეთში 96 ძველი სახლის რეაბილიტაცია მოხდება. იქ შემორჩენილია ურბანული მემკვიდრეობის ელემენტები – ქართული, რუსული, ევროპული არქიტექტურის ნიმუშები.


გამწვანების აქცია

თუ დუშეთში ნამყოფი ხართ, მიაქცევდით ყურადღებას არქიტექტურის ნიმუშებს.

ცოტა ხანში დუშეთის ძველ უბანს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება და ის გახდება, როგორც თანამედროვე სიღნაღი.

უფრო უკეთესად ვაკეთებთ, უფრო გულდასმით.

– **თქვენ კერძო ინიციატივებსაც უჭერთ მხარს, წელანაც ახსენეთ ერთ-ერთი ფერმერი. კიდევ რა ტიპის ბიზნესს აწარმოებენ ადგილობრივები?**

– არ შემიძლია გვერდი ავუარო ბატონი კოტე ჯაოშვილის ქათმების ფერმას. ამ ადამიანს უნიკალური ჯიშის ქათმები ჰყავს მოშენებული. კვერცხი ინგლისიდან და მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან ჩამოიტანა.

აქვს საკუთარი ინკუბატორიც, სადაც აჩეკინებს უნიკალური ჯიშის ქათმებს.

მუხრანში, მოგეხსენებათ, ამ ტიპის ბიზნესი უკვე, ასე თუ ისე, წელშია გამართული.

– **პრეზიდენტი მარგველაშვილი დუშეთის მკვიდრია. იცნობთ მას?**

– დიდი ხანი არ არის, რაც გავიცანი. მას და მის მეუღლეს ძალიან მოსწონთ სოფლის ცხოვრება. აქვთ ბაღი, ბოსტანი, უვლიან მცენარეებს. ისინი შესანიშნავი მასპინძლები არიან.

– **ბატონო გოჩა, პროექტები, რომლებზეც ვისაუბრეთ და უნდა განხორციელდეს, მცხეთა-მთიანეთისთვის მართლაც მნიშვნელოვანი და აუცილებელია. ვიმედოვნებთ, პროექტების დაგვირგვინების შესახებ ჩვენი გაზეთის საშუალებით ვამცნობთ საზოგადოებას.**

– რა თქმა უნდა. ექსკლუზივი თქვენი იქნება. წარმატებებს ვუსურვებ თქვენს მკითხველებს. გმადლობთ, რომ დაინტერესდით ჩვენი საქმიანობით.

– **გმადლობ მასპინძლობისა და გულითადი საუბრისთვის.**

**ირანდა კალანდაძე**
593 561 118
მცხეთა-თბილისი


სასწავლებლის რეაბილიტაცია სოფ. წინამძღვრიანთკარში

**მცხეთის თემის მუნიციპალიტეტი**

**● მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, მოხრეშილია სასაფლაოსკენ მიმავალი გზის მონაკვეთი, მეორე სასაფლაოს მიმართულებით წყლის სისტემის დამთავრებისთანავე მოიხრეშება სოფლის გზის აღნიშნული მონაკვეთი. გაკეთდა სპორტული დარბაზის ჭერი და დაყენდა ნათურები, სოფ წითლობს მოუწესრიგდა წყლის მიწოდება და მოიხრეშა გზა. მიმდინარეობს სოფლის ბიბლიოთეკის რემონტი, წელსვე დაგეგმილია ძეგვის ბოგირის მოწყობა მდინარე ხეკორძულაზე, გარემონტდება ბურჯები, ზედ დაესხმება ახალი საფარი და უსაფრთხოების მიზნით გაუკეთდება მოაჯირები. სოფელ ძეგვში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი პროექტებისათვის ცენტრალური ბიუჯეტიდან 47 863 ათასი ლარია გამოყოფილი.**

**● მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია, 2014 წლის დეკემბრიდან ლამი-მისაქციელის სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს.**

**პროექტის ფარგლებში, იწმინდება მაგისტრალური არხი, კეთდება დაზიანებული მონაკვეთები და არხზე არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობები. დაზიანებული ბეტონის ფილები იცვლება ახლით, არხის ფერდები და ძირი ივსება ბეტონით, ეწყობა წყალგამშვები ჭები.**

**ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად მცხეთის მუნიციპალიტეტის 8 სოფლის წილკნის, ახალუბნის, წეროვნის, ერედის, ძალისის, მუხრანის, ქანდის, მისაქციელის სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი იქნება სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი. სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელების შედეგად, 2200 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული მოირწყვება, აღნიშნული ფართობით კი 2750 კომლი ისარგებლებს.**

**აღნიშნული სამუშაოები, რომლის პროექტის ღირებულებაა 3 224 999 ლარი, მიმდინარე წლის გაზაფხულზე დასრულდება.**

**● 2015 წელს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანს, კომლთა რაოდენობის მიხედვით, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩასატარებლად„ სოფლის მხადაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 110 416 ათასი ლარი გამოეყო, რომელიც წლის ბოლომდე ათვისებულ იუნდა იქნას.**

**სოფლის მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, წელს დაგეგმილია მუხრანში სასმელი წყლის სისტემის დაქსელვითი სამუშაოების განხორციელება, რომლისთვისაც რეგიონული განვითარების ფონდიდან 448 074 ათასი ლარი გამოიყო.**

# რატომ იგდებს აბუჩად დასაქმებულთა უფლებებს „საქართველოს ფოსტა“?

## ინტერვიუ “საქართველოს ფოსტის“ გაერთიანებული პროფკომიტეტის თავმჯდომარესთან, ქალბატონ მარინა რაზმაძესთან



**— შპს „საქართველოს ფოსტა“ დიდი ორგანიზაცია, სადაც თითქმის 3 ათასი ადამიანი შრომობს, აქედან 1 700 მუდმივი დასაქმებულია. ასეთ დიდ კომპანიაში განვითარებულმა მოვლენებმა არ შეიძლება არ მოახდინოს ზემოქმედება საზოგადოებაში არსებულ სოციალურ პროცესებზე. თქვენი, როგორც პროფკავშირული კომიტეტის ლიდერი რას იტყოდით, რა ხდება „საქართველოს ფოსტა“-ში?**

— დემოკრატიის დისკრედიტაცია, სოციალური უსამართლობა და პროფკავშირების დევნა. კომპანიის ადმინისტრაციის მხრიდან ამ ყოველივემ სისტემური ხასიათი მიიღო.

2013 წელს „საქართველოს-შრომის კოდექსში“შესულმა ცვლილებებმა ხომ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შორის სოციალურ დიალოგს პრიორიტეტი მიანიჭა. ახალი გენერალური დირექტორი არად აგდებს სახელმწიფოს ამ პოზიციას? — თუ რამდენად ესადაგება მისი პოზიცია, სახელმწიფოს დეკლარირებულ პოზიციას, ნათლად ჩანს მისი მხრიდან ჩვენი პროფორგანიზაციის სრულ იგნორირებაში. საქმე იქამდეა მისული, რომ გაერთიანებული პროფკომიტეტის მიერ ადმინისტრაციის მისამართით გაგზავნილ წერილებზე პასუხიც კი არ გვცემენ.

**— ცნობილი გახდა რომ ადმინისტრაციამ თქვენი პროფკომიტეტი კომპანიის შიდა კორპორატიული ელექტრონული ფოსტით სარგებლობის ქსელიდან გამორთო. რისთვის გააკეთეს მათ ეს?**

— ადმინისტრაციის მიზანია გაერთიანებულ პროფკომიტეტს შეუწყდეს შპს-ში დასაქმებულებთან კომუნიკაცია, მათთვის ინფორმაციის მიწოდების საშუალება. მათ 2013 წლის აპრილში დირექტორებისა და სამსახურის უფროსების მეშვეობით შეაკოწიწეს ე.წ „ყვითელი“ ორგანიზაცია - „ფოსტის განვითარების კავშირი“. როდესაც ვამბობ „ყვითელი“ ვგულისხმობ ისეთი კავშირის გაფორმებას ქაღალდზე რომელიც არაა დასაქმებულების ინიციატივი დაფუძნებული, რომელიც დაფუძვნებულია და მთლიანად იმყოფება ადმინისტრაციის მორჩილებაში. თავის წარმოშობიდან გამომდინარე ამ „ყვითელ“ კავშირს არ და ვერ ხელიწიფება იყოს დასაქმებულთა სოციალურ-შრომითი, ეკონომიკური და პროფესიული ინტერესების დამოუკიდებელი გამომხატველი. როდესაც ამ კავშირს ქმნიდა გენერალურმა დირექტორმა ლევან ჩიკვაიძემ პერსონალურად მიმართა თითოეულ დასაქმებულს და „ურჩია“ ამ კავშირში გაწევრიანება. მან არ დაფარა, რომ ეს კავშირი მისი „კურთხევით“ იყო მოვლენილი ამ ქვეყნად. მართლაც ამის შემდგომ ნახევარ თვეში ამ „ყვითელ“კავშირში სამსახურების უფროსთა ძალისხმევით თითქმის ათასი დასაქმებული აღმოჩნდა „გაწევრიანებული“.

**— თქვენმა პროფკომიტეტმა თუ შესთავაზა ახალი ადმინისტრაციას სოციალური დიალოგის დაწყება?**




— ცნობისთვის მსურს ავღნიშნო, რომ ჯერ კიდევ 2010 წლის 24 მარტს გაფორმებული კოლექტიური ხელშეკრულების 8.4. მუხლის მიხედვით ახალი ხელშეკრულების გაფორმებამდე ძალაში რჩება ძველი ხელშეკრულება. ჩვენ, 2013 წლის 3 ოქტომბერს მივმართეთ ადმინისტრაციას ინიციატივით შექმნილიყო ორმხრივი კომისია ახალი კოლექტიური ხელშეკრულების გასაფორმებლად. მხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენელთა ჩარევის შემდეგ ადმინისტრაცია დათანხმდა ორმხრივი კომისიის შექმნაზე და მის ხელმძღვანელად დანიშნა ბატონი ს. მჭედლიშვილი. ორმხრივმა კომისიამ გამართა 8 სხდომა და 2014 წლის 11 აგვისტოს ადმინისტრაციას წარუდგინა შეთანხმებული ახალი კოლექტიური ხელშეკრულების პროექტი, მაგრამ დირექტორმა ლევან ჩიკვაიძემ უარი განაცხადა მის ხელმოწერაზე. დირექტორ ლევან ჩიკვაიძის ეს ქმედება არ გვიკვირს, რადგან მოსვლისთანავე მან კომპანიაში დასაქმებული ათასობით ადამიანი კანონდარღვევით ერთთვიან ხელშეკრულებებზე გადაიყვანა. ეს დადასტურებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებითაც. 2012 წლის დეკემბრიდან გენერალურმა დირექტორმა ლევან ჩიკვაიძემ კანონდარღვევით 130 დასაქმებული უმუშევარი დატოვა. მათგან ბევრმა სასამართლოს მიმართა. როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი სასამართლო განხილვაში არის 56 სარჩელი, მათაგან 18-ის განხილვა დასრულდა და კანონიერ ძალაშიც შევიდა. ამ 18-დან „საქართველოს ფოსტას“ 7 სარჩელზე განაცდურის ასანაზღაურებლად და სახელმწიფო ბაჟის სახით უკვე გადახდილი აქვს 95 000 ლარი, ხოლო დანარჩენ 11-ზე კიდევ გადასახდ-ელი აქვს 270 000 ლარი. დავა მიმდინარეობს კიდევ 38 სარჩელზე და ეს ადასტურებს რომ დიდი თანხები იქნება გადასახდელი კომპანიის მიერ.

**— დასაქმებულთა სასამართლოს წესით კანონიერი უფლებებში აღდგენას რა პასუხი გასცა „საქართველოს ფოსტას“ ადმინისტრაციამ?**

— დაიმუქრნენ რომ მაინც გაანთავისუფლებდნენ სასამართლოს წესით აღდგენილ მუშაკებს. მართლაც უკვე გაანთავისუფლეს სასამართლოს მიერ აღდგენილი ბუღალტრის თანაშემწე ნუნუ ჯიბლაძე და ცდილობენ ასევე მოექცნენ ზაირა დემურაძეს.

მოსარჩელეებთან მორიგებას არც კი ცდილობენ. ადმინისტრაცია სასამართლოს ყველა გადაწყვეტილებას ზემდგომ ინსტანციებში ასაჩივრებს, რითაც იზრდება მოსარჩელეებზე გადასახდელი თანხისა და სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის თანხის მოცულობა. ეს კი აზარალებს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ შპს-ს. სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისად „საქართველოს ფოსტას“ მიერ მოსარჩელეებზე გადასახდელმა თანხამ უკვე 340 135 ლარს მიაღწია. რომელიც შემდეგში გაიზრდება რითიც შპს-ს ფინანსური მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდება.

**— „საქართველოს ფოსტა“ კვლავ მოხვდა პრობლემურ კომპანიათა რიცხვში. რით უპასუხა ამდენი კომპანიის ხელმძღვანელმა ლევან ჩიკვაიძემ ამ ყოველივეს?**

— მან ყოველგვარი მოლაპარაკების გარეშე, ერთპიროვნულად შეადგინა მოჩვენებითი „კოლექტიური ხელშეკრულება“ და ულტიმატუმის წესით მითხოვა მასზე ჩვენი ხელმოწერა. იგი დაგვემუქრა რომ თუ მის დიქტატს არ დავემორჩილებოდით შეგვიწყვეტდა პროფკავშირული საწევროების აკრეფას, წაგვართმევდა გამოყოფილ ფართს. ეს ვითომ „ხელშეკრულება“ კი საერთოდ არ ითვალისწინებს დასაქმებულის სოციალურ-შრომითი, ეკონომიკური და პროფესიული ინტერესებისა დაცვასა და გარანტიებს. 2015 წლის 3 ივლისს დირექტორმა ლევან ჩიკვაიძემ ამ ვითომ „ხელშეკრულების“ დედნების უკან დაბრუნება მოგვთხოვა. აი თურმე როგორ ესმის მას არჩევანის თავისუფლება. იგი აგრძელებს ჩვენი პროფკომიტეტის დევნას, მაგრამ არცერთი ჩვენთაგანი წუთითაც არ აპირებს უარი თქვას „საქართველოს ფოსტაში“ დასაქმებულთა სოციალურ-შრომითი, ეკონომიკური და პროფესიული ინტერესების დაცვაზე, მშრომელთა კანონიერ უფლებებზე. გაერთიანებული პროფკომიტეტი იყო, არის და იქნება აქტიური.

**— „საქართველოს ფოსტა“-ში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობაზე რა იცის სახელმწიფომ?**

— ჩვენმა პროფკომიტეტმა უკვე მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრსა და საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს. ჩვენთვის გაუგებარია სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტომ ჩვენი წერილი შპს „საქართველოს ფოსტას“ ადმინისტრაციას რატომ გადაუგზავნა, როდესაც უშუალოდ ამ სააგენტოსგან ველოდით რეაგირებას. ჯერ-ჯერობით არანაირი პასუხი არ მიგვიღია სხვა ადრესატებისგან. ეს ჩვენ ძალიან გვაღელვებს, რადგან კომპანია მძაფრი სოციალური კრიზისისკენ მიექანება. ვართ რა სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ადამიანები, ჩვენ - პროფკავშირის ორგანიზაციის წარმომადგენლები დაბეჯითებით მოვითხოვთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრისაგან საქმიან შეხვედრას, რათა უშუალოდ მისგან მოვისმინოთ რას აპირებს ამ მიმართულებით სახელმწიფო.




**დავით არაბიძე**

# რატომ გახდა საქართველოში ოპოზიციონერობა ფულის შოვნის საშუალება?

## ოპოზიცია თუ მიშა სააკაშვილის მედუდუკეთა ანსამბლი?



იქნებ განმარტოს მავანმა – არჩევნებამდე 5 თვით ადრე – რომელი ჭკუათმყოფელი ითხოვს „საარჩევნო გარემოს“ შეცვლას მაშინ, როდესაც სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის დამთავრებიდან დღემდე ლამისაა 4 წელი იწურება?! რატომ მაშინვე, ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე არ დადგა დღის წესრიგში მიშასდროინდელ „საარჩევნო კანონში“ ცვლილებების შეტანის აუცილებლობა, თანაც იმ ფონზე, რომ 2012 წლის არჩევნების შემდეგ ოცნებამ ნაცებს 45 დეპუტატის სავარძელი ფაქტიური გაყალბებებით უბოძა?

რაღა გუშინ გაახსენდათ ერთმანეთი იმ ძალებს, რომელთა პოლიტიკურ პარტიებსაც მათი სანათესაოსაძმაკაცო-სამეგობროს გარდა არავინ ცნობს?

ანდა „ოპოზიცია“-ო, რომ გაიძახით – ვინ არის ოპოზიციაში და ვისთან? იმათთან, ვინც სული ჩაუდგათ, ვინც გამოკვება და შემოსა?! (იგულისხმება სისტემა – ი.გ.).

მკვდრების გაცოცხლება მხოლოდ უფალს შეუძლია (ასე მეგონა აქამდე) მაგრამ, ღმერთო მაპატიე და, თურმე ჩვენთან „ქართული პოლიტიკის“ წყალობითაც შესაძლებელი ყოფილა დიდი ხნის წინ – დაუმარხავი მიც-



ვალებულების ჯგუფურად აღდგომა, ჰოდა, ნუღარ გვიკვირს ხოლმე ყოველი არჩევნების წინ ახალ-ახალ მიცვალებულებს რომ წამოაყენებენ ხოლმე...

პოლიტიკა ბინძური საქმეაო... დიახ! განსაკუთრებით კი – ქართული პოლიტიკაა ბინძური და, ამასწინათ სოციალურ ქსელში ერთი პატარა გოგონას – თამარ წიწვავას „ფბ პოსტი“ რომ წავიკითხე, ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი, ისეთი სიზუსტით ჰქონდა აღწერილი ქართული პოლიტიკური ლაბირინთები და დღევანდელი რეალობა:

„მარადიული დუმილი, მარადიული წყვდიადი... მარადიული უკანსვლა და მარადიული ჭაობი – აი, ქვეყანა, როგორშიც და რომელშიც მე ვცხოვრობ... აქ ობლის კვერის გამოცხობის შანსი, უბრალოდ, არ არსებობს... აქ მთავრობაში ყველაფერზე ერთი პასუხი აქვთ... აქ საზოგადოება უნებო და პირდაღებულია... აქ, ამ ქვეყანაში ვცხოვრობ მე, ყველასგან დავიწყებული, სევდაგაჟღენთილი და მაინც „ცოცხალი“... აქ არავინ უნდა გნახოს წაქცეული, ცუდი ტონია ეს ყველაფერი... არადა, ყველანი – წაქცეულები და ცოცხლად დამარხულები ვართ, კი ვგრძნობთ, მაგრამ არ ვიმჩნევთ!!! აქ არაფერი არ შეიცვლება არასოდეს, იმიტომ, რომ ეს ქვეყანა ჭაობია და ჭაობიდან ამოსვლაა შეუძლებელი!!! აქ ბევრ რამეზე გვტკივა გული, მაგრამ ჩვენი გულის ტკივილი სასაცილოა „მავანისთვის“... აქ ყველა სამინისტრო, ყველა უწყება სულ მუდამ პრობლემების მოგვარებას ებრძვის, მაგრამ პრობლემის წინაშე კომპეტენცია არ ჰყოფნით... აქ ყველაფერი ძალიან კარგად უნდა იყოს, მაგრამ ყველაფერი სულ მუდამ ცუდად არის... აქ წყალი სულ მღვრიეა და „თევზი“ სულ მუდამ კარგად ეგება ანკესს... აქ მოსამართლეებს მანტია „მორღვეული“ აცვიათ... აქ ციხეებში შიმშილობენ და არასამთავრობო ორგანიზაციები ამით ფულს შოულობენ... აქ ადვოკატებიც გვყავს, რომელთაც სინდის-ნამუსი არ გააჩნიათ... და კიდევ რამდენი რამ არის აქ?..

მაგრამ... არსად, მაინც ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში...“

ძვირფასებო! როგორც უკვე მოგახსენეთ, ამ წერილს პატარა გოგონა წერს და ბევრ ასაკით მასზე უფროს ადამიანს, მით უმეტეს, პოლიტიკოსებს, თავში აზრადაც არ მოსდით ის, რომ ამ ქვეყანაში იბადებიან, იზრდებიან და ბოლოს კვდებიან უბედური თაობები! უსიხარულო და „მავანის“ სიხარულისთვის დაბადებული „საარჩევნო ხმები“ და არა-ადამიანები!!!

წინ უნდა მივდიოდეთ და უკან ვბრუნდებით? უკან, 2007 წლის მაისივნისში, როცა „გაერთიანებული ოპოზიცია“ „საარჩევნო გარემოს“ შეცვლის მიზნით დროებით შეიკვრნენ „ფიც-ვერცხლით“ და როცა ვერცხლმა სძლია ფიცს?! მაშინაც რესპუბლიკელების ინიციატივით დაიწყო ყველაფერი, თუმცა ფლაგმანი პოლიტიკური პარტია „ეროვნული ფორუმი“ იყო! გამორჩეული, როგორც პარტიის მომხრეთა რეცხობრივი რაოდენობით, ისე ლიდერების „ეროვნული პოზიციით“, თუმცა მოგვიანებით ფიასკო იმიტომ განიცადეს, რომ ასევე ყალბი ოპოზიციონერის – ნინო ბურჯანაძის „ხედვებით“ მოიხიბლნენ და სპორტის სასახლის არენაზე ურთიერთსიყვარული გაწბილებული მომხრეების თვალწინ უსირცხვილოდ დააფიქსირეს!!! ის, რაც „ფორემს“ და რიგ პოლიტიკურ პარტიებს დაემართა – ისტორიული სამართლიანობა იყო! თუმცა მოგვიანებით ისინი, როგორც „პარტია“ ივანიშვილმა გაიხსენა და მიუხედავად ამისა, რომ „ძაღლად ჩააგდო“, ჭორიკანობამ, გაუტანლობამ და ბოღმამ (ფორუმულად) მაინც თავისი ქნა და ყველამ მოისმინა ის ჩანაწერი.

გუბაზს რომ ჰკითხო, ეს ჩანაწერი და მისი შინაარსი მხოლოდ მისი და ბიძინას საქმეა... არააააა,. არა და არა, გუბაზ ბატონო! ჩვენი საქმეც არის, იმიტომ, რომ ჩვენც მოვისმინეთ, რა ითქვა უმადურთა თავყრილობაზე მაშინ და, რადგან მოვისმინეთ, დასკვნებიც გავაკეთეთ იმ ყველაფერზე, რაც კი „ეროვნულმა ფორუმმა“ „გაერთიანებული ოპოზიციიდან“ დღემდე ავნო საქართველოს!!!

რატომ ავნეთ? იმიტომ, რომ 2007 წლის ნოემბრიდან მოყოლებული, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე იფიქრეთ თქვენც, რესპუბლიკელებმაც, კონსერვატორებმაც, მემარჯვენეებმაც და ყველამ, ვინც ქართულმა საზოგადოებამ ხელში ატატებული მიგიყვანათ პოლიტიკურ მწვერვალამდე, მაგრამ ფული, ბაბა, ფული გიყვართ ნამეტნავად და აი, არჩიეთ კაცობას ფული ხალხისა და სამშობლოს სანაცვლოდ!!

როგორ შეიძლება ოპოზიციონერი უწოდო მას, ვინც ყველა ხელისუფლებასთან გარიგებულია და წინასწარ გაწერილი სცენარით მოქმედებს? **მილიონერები თუ არა, ფინანსურად მოღონიერებულები რატომ გამოდიხართ ხოლმე ყოველი არჩევნების წინ და არჩევნების შემდეგაც? ანუ ხალხი თუ მარცხდება, ხელისუფლებებთან ბრძოლაში თქვენ ამ ხალხის ოპოზიციონერი ლიდერები, გამარჯვებულები და ფინანსურად მოყოჩაღებულები როგორ გამოდიხართ ხოლმე!!!** აი, ხელისუფლება ახლაც 100 000 ლარს რატომ გთავაზობთ. ერთკაციანო პარტიებო? განა რა ისეთი სარგებელი გაქვთ ქვეყნისთვის გაკეთებული, რომ ხალხის ფულით შევსებული ბიუჯეტიდან დაფინანსდეთ და ოფიციალური დაფინანსების მიღმა კიდევ რამდენზე ივაჭრებთ, არავინ რომ არ იცის?

რა წინასაარჩევნოდ აგიტყდებათ ხოლმე „საარჩევნო გარემოს შეცვლის“ ტიკები, გაგვაგებინეთ ერთი, რა?

ჯერ ერთი – ზურაბ ხარატიშვილის გვერდით დგომა მაინც არ „გიტყდებათ“, რომელმაც „ცესკო“-ში ათასი მამაძაღლობა ჩაიდინა, თავმჯდომარედ რომ მიაბრძანეს მიშას დროს?

რისი და ვისი ოპოზიციონერია პაატა დავითაია ანდა ბაჩუკი ქარდავა, რომლებიც მიშა სააკაშვილის მედუდუკეთა ანსამბლის წევრები არიან დღემდე და გვერდით მაინც ამოიყენეთ?! ყველა დროის აფერისტი, ვაჭარი კაციტაძის გვერდით დგომა რა აუცილებლობით არის ნაკარნახევი, კარგით, რაა???

მართლა ხომ არ ბნელა, ამის ღმერთი არ იყოს, ჰა?!

ააა, ე. ი. 100 000 ლარი გეცოტავათ და უფრო უნდა გაზარდოტ კუში, თუ გვინდა, რომ ქვეყანაში არ იყოს ფერები მუქი?

აგერ, ჭია მერი გაიძახის – სცენარი უკვე დაწერილია, ამ ხელისუფლებას აღარაფერი ეშველებაო! გივია თარგამაძე საერთაშორისოებს იშველიებს და ტუჩქვემოდან იმუქრება! სააკაშვილი მონატრებულ საქართველოს ხედავს სიზმარში! გვარამია „ტიტის ხეზე“ დაკიდებით ემუქრება ბიძინას! ნინია კაკაბაძე „რუსთავი-2“-ის დასაცავად ხალხს



მოუხმობს! ახალი „ოპოზიციური ერთობა“ ქუჩის აქციებით იმუქრება – საარჩევნო გარემო შეცვალეთო, მაგრამ არავის ებადება კითხვა–საგარეჯოში იგივე საარჩევნო გარემო არ იყო, რომლის შეცვლასაც ახლა ლამობთ? – თუ იგივე იყო, მაშ, რატიმ მიიღეთ მონაწილეობა? და თუ მიიღეთ და გააყალბეს, მაშინვე რატომ არ დაიწყეთ მასშტაბური საპროტესტო აქციები მომხრეებთან ერთად (საარჩევნო კანონში ცვლილებების შეტანის მოხოვნით) გამარჯვებამდე?!

მიცვალებულები რომ დაიყენე, ჩემო ირმა, გვერდით, მიცვალებულებთან ერთად ბრძოლა ვინ თქვა? მიცვალებული უნდა დამარხო, ვიდრე აყროლდება, თორემ დაუმარხავმა მკვდარმა შეიძლება შენვე დაგაავადოს და დაიმახსოვრე ეს ჩემგან!

გუშინდელი გარდაცვლილი მტრის ჭირისუფალთან ერთად სამძიმარს როგორ კადრულობთ, ხალხო?!

**ჰუკაააა!** რომ გაიძახი, ქუჩის აქციებს დავიწყებთო, ვინ გამოგყვებათ, აბა, მითხარი?!

ანდა, რომ იმუქრებით, ვის ემუქრებით – ხელისუფლებას, ხომ? მერედა, ამ აქციებით ვინ იზარალებს? ისევ ხალხი და ქვეყანა ხომ?

ჰოდა, ამის ღმერთი არ იყოს, შეეშვით რა, ამ ქვეყანასაც და ამ ხალხსაც იმიტომ, რომ მათ სასიკეთოდ არასოდეს არაფერი გაგიკეთებიათ! ერთი აგური არ დაგიდიათ და „რასტვორში ლაფატკა“ არ ამოგიღიათ, რაიმე რომ აგეშენებინათ! „ბლა, ბლა, ბლა“, ტლიკინი და ფულის შოვნაა ამ უსაქმური პარტიების ხანგრძლივი არსებობის საიდუმლო, ბატონებო და რაც მალე შეიგნებს ამას საზოგადოება, მით უკეთესი ქვეყნისთვის!

არსად მინახავს, ადამიანი არ მუშაობდეს, არაფერს არ ქმნიდეს და ოჯახი კი მსუყედ ჰყავდეს გამოკვებილი! არსად მსმენია, ქვეყანაში ამდენი ოპოზიციური პარტია არსებობდეს და უკლებლივ ყველა ხელისუფლებასთან იყოს გერიგებული!\ამიტომაცაა თითქოს, წინ უნდა წავიდეთ, მაგრამ უკან კი ვბრუნდებით – თითქოს უკუნი სინათლემ უნდა გაჭრას, მაგრამ პირიქითაა, ბნელი ისადგურებს...

**ირინე გოგოსაშვილი**
555 25 43 35

# „ჩინგიზ ხანი“ პოლიტიკაში მოდის?

2012 წლამდეც და შემდეგაც, ნეპოტიზმი და კორუფცია ქართული პოლიტიკის მუდმივი თანამგზავრია და არავის უკვირს და საზოგადოება მიეჩვია იმ აზრს, რომ ნათესავ-მეგობრობის ნიშნით მმართველ წრეებში, ისევე, როგორც ოპოზიციურ სპექტრში, ამ დამკვიდრებულ ტრადიციას წარმატებით აგრძელებენ.

აჭარაში, ამ მხრივ, ყველაფერი ტრადიციულად გრძელდება და არცაა გასაკვირი, რომ კლანური მმართველობის მასშტაბები „გათავისუფლებულ“ აჭარაში



არა თუ შემცირდა, არამედ უფრო მოწადინებული და მასშტაბური გახდა. თუმცა, ამას დღეს უკვე სხვა სახელი შეერქვა და ბედის ირონიით, სააკაშვილის ბიზნესმენები თუ ჩინოვნიკები, კოჰაბიტაციურად თანაცხოვრობენ.

აჭარაში, მამა-შვილი ვარშალომიძის ზეობის ეპოქაში, ანუ „თავისუფალი აჭარის“ ახალი მმართველების მოსვლის შემდეგ, ძირითადად იმ ადამიანებს ეძლეოდათ ინდულგენციები, ვინც არა მხოლოდ ფინანსური თვალსაზრისით იყვნენ აღმატებულნი, არამედ, ვინც ასლან აბაშიძის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იმყოფებოდა, ვინც „კმარას“ გამორჩეულად აქტიური წევრი იყო და დროშა სხვაზე მაღლა ეჭირა... და ვინც, როგორც ასლან აბაშიძის დროს, ისე შემდგომ, „ერთგულად ემსახურებოდა“ იმ საქმეს, სადაც ბევრი ფული იშოვებოდა.

მიხეილ სააკაშვილისა და მისი ოლიგარქების ბიზნესინტერესები აჭარაში დღესაც სრულიად დაცული და ხელშეუხებელია. ამ თვალსაზრისით, აჭარა დღემდე იმართება გურამ და ლევან ვარშალომიძეების მიერ აღზევებული ბიზნესმენებით, მაგრამ ამას აღარავინ კითხულობს, რადგან ოღონდ ფული იყოს და არად დაგიდევენ არც კანონს, არც სამართალს და არც ქვეყნის ინტერესებს. აჭარაში ყველა მომგებიან და მსხვილ ბიზნესს ადგილობრივი კლანები აკონტროლებენ. ყველასათვის ცნობილია, რომ ელიტური კორუფციის მასშტაბები, რაც დღეს აჭარაშია, საქართველოს სხვა კუთხეში არ შეგხვდებათ.

ალბათ, მოვა დრო, როცა არა მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობის შენარჩუნების საფასურად დასაქმებულ ბიზნესმენებს რომელიმე ხელისუფლება მაინც მოჰკითხავს პასუხს, ამას მომავალიც გვიჩვენებს, დღესდღეობით კი აჭარაში უმსხვილეს ბიზნესს ლევან და გურამ ვარშალომიძეების ერთ-ერთი ფავორიტი – თენგიზ ბაკურიძე ეწევა. აჭარის სავაჭრო პალატის თავმჯდომარედ იგი ასლან აბაშიძის დროსაც მუშაობდა, მას საკუთარი გემით შაქრისა და ფქვილის მსხვილი პარტიები შემოჰქონდა და იმიტომ, რომ მაშინ ქვეყანაში ამ პროდუქტების მწვავე დეფიციტი იდგა, საბაჟო გადასახადს მხოლოდ 20%-ით უდგენდნენ იმ მოსაზრებით, რომ ბიზნესმენიც მოტივირებული ყოფილიყო, რათა ქვეყანაში შიმშილს არ დაესადგურა. სწორედ იმ დროიდან იწყება თენგიზ ბაკურიძის „საბიზნესო“ ყულაბა, დიდძალი თანხების აკუმულირება და რომელი რეგვენი გაუშვებდა ხელს ამ ფულის ყულაბას?.. როგორც კი „ასლანი გაიქცა და აჭარა თავისუფალი“ შეიქმნა, იმ ბიზნესმენებისგან განსხვავებით, რომელსაც დიდძალი ფული შეაწერა „ნაცმოძრაობამ“, თენგიზ ბაკურიძე რატომღაც ხელშეუხებელი აღმოჩნდა. მეტიც, 2006-2008 წლებში, ლევან ვარშალომიძე მას გვერდიდან არ იშორებდა და უცხოეთში ყველა ვოიაჟისას თან დაჰყავდა. მოარული ხმები, რომ ლევან და გურამ ვარშალომიძეების კაპრიზებს უცხოეთში ასლან აბაშიძის მიერ ჩინგიზ-ხანად მონათლული თენგიზ ბაკურიძე აკმაყოფილებდა, იგი აგრეთვე იმ ღონისძიებების დაფინანსებაზეც არ ამბობდა უარს, რომელიც მაშინ აჭარაში მრავლად იყო და როგორც ფავორიტ ბიზნესმენს, ბაკურიძეს ყველაფრის უფლება ჰქონდა. ლევან ვარშალომიძის მთავრობამ მას ბათუმის ცენტრში ჯერ კინოთეატრი „თბილისი“ უბოძა, ხოლო შემდეგ, ცირკი. თენგიზ ბაკურიძემ კინოთეატრიცა და ცირკიც საუკეთესოდ გაარემონტა, მაგრამ სამაგიეროდ, მიიღო ბათუმის ცენტრში ორჯონიკიძის ქუჩაზე უკანონოდ ჩამორთმეული მიწის ფართი, სადაც მაშინვე მრავალსართულიანი კორპუსი ააგო და გაყიდა! ხოლო ცირკის საფასურად კომუნისტებისდროინდელი „საყოფაცხოვრებო სახლის“ („დომ ბიტა“ – ავტ.) ყოფილი შენობა მისცეს და აქაც, მრავალსართულიანი სახლის აშენება და გაყიდვა მოახერხა. თენგიზ ბაკურიძე დღეს ერთ-ერთი მსხვილი ბიზნესმენია, რომელიც თანხებს სამშენებლო ბიზნესით მოიპოვებს. ასევე იგი კვლავ აკონტროლებს აჭარაში შაქრის ბიზნესს, რადგან სხვა უფრო ჭკვიანი, უფრო კარგად ფულის გადამხდელი და შინაური, აქამდე ვერავინ მოიძებნა.

საინტერესო ისტორია აქვს ორჯონიკიძის ქუჩაზე იმ მიწის ნაკვეთს, რომელიც ვარშალომიძეებმა და სააკაშვილმა თენგიზ ბაკურიძეს გადასცეს. მიწა, რომელზეც მოგვიანებით კორპუსი აშენდა, ეკუთვნის ედუარდ კაკაბაძეს. იგი, იმავე სააკაშვილის ხელისუფლებამ დააპატიმრა. მოგვიანებით, იმიტომ, რომ მაშინდელმა საჯარო რეესტრმა მიწის დარეგისტრირებაზე 2010 წელს უარი უთხრა, ახლა უკვე 2012 წლის იანვარში დადებული ყადაღაც მოხსნეს და მაშინვე გაყიდეს. ბატონი ედუარდ კაკაბაძე იმთავითვე აფრთხილებდა როგორც საზოგადოებას, ასევე ხელისუფლებას, რომ თავი შეეკავებინათ ამ მიწაზე აშენებულ კორპუსში ბინის ან კომერციული ფართის ყიდვისას და იმასაც ამბობდა, რომ აღნიშნული ფართის დაბრუნებაზე ბრძოლას არ მოეშვებოდა. მაგრამ მიწის ნაკვეთის თითქმის უფასოდ ხელში ჩამგდებმა თენგიზ ბაკურიძემ მშენებარე კორპუსის მშენებლობა არათუ შეაჩერა, არამედ დაასრულა კიდეც და მაშინვე გაყიდა ისე, რომ მიწის კანონიერ მფლობელთან შეხვედრაც არ ისურვა, თუმცაღა ედუარდ კაკაბაძეს ჩინებულად იცნობდა იმ კუთხით, რომ იგი წარსულში აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე იყო. 2012 წელს ედუარდ კაკაბაძე პატიმრობიდან გათავისუფლდა.



ხელშეუხებელი ბიზნესმენი, თენგიზ ბაკურიძე, ბათუმში რამდენიმე სასტუმროს მფლობელია, აგრეთვე ფლობს ქალაქსა და მის შემოგარენში მდებარე რამდენიმე დიდ მიწის ნაკვეთს. ამას ემატება ბათუმის საკოლმეურნეო ბაზარი, როგორც ბათუმელები ხუმრობენ, აჭარის რეალური მმართველი დღეს თენგიზ ბაკურიძეა, რადგან ხელისუფალთა გასაჩუმებლად უამრავ ფინანსურ საშუალებას ფლობს.

არავინ კითხულობს, როგორ და რატომ გადაეცა მას, ამოდენა ფულის პატრონს, რამდენიმე მსხვილი ქონება ერთ ლარად, თუმცაღა რა გასაკვირია, ფული ხომ ყოველთვის იმას „არა აქვს“, ვისაც ბევრი ფული აქვს?!.. ბათუმში „დომ ბიტას“ შენობა ყველაზე ცოტა, თავისი ტერიტორიით 6-7 მილიონიანი ქონება იყო, მაგრამ მამა-შვილი ვარშალომიძეების წყალობით, აღნიშნული ობიექტი ჯერ 600 ათას ლარად შეუფასეს, ხოლო შემდეგ მოიფიქრეს, რომ ბაკურიძისათვის 600 ათასი ლარი ბევრი იქნებოდა, ჰოდა, მაშინვე მიიღეს გადაწყვეტილება, საერთოდაც უფასოდ, სიმბოლურ ფასად – 1 ლარად გადაეცათ იმ ადამიანისათვის, ვინც მათ კაპრიზებს ულაპარაკოდ ასრულებდა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, 10 წლის განმავლობაში საკუთარი გემით თითქმის განუბაჟებლად ეზიდებოდა თურქეთიდან საქართველოში ფქვილს, შაქარს და ზეთს თენგიზ ბაკურიძე და ამიტომაც, დღემდე „ნაცების“ ყულაბადაა ცნობილი, მაგრამ აჭარლები იმაზე გიჟდებიან, რომ „ჩინგიზ-ხანს“ ახლა უკვე ორი „ღმერთი“ იფარავს და ამ ღმერთებს სახელად – „ქოცი“ და „ნაცი“ ჰქვიათ. ისე, ერთი კია, თუ მაინცდამაინც „ნაცმოძრაობის“ მოსაბრუნებელი გზები დაინახა, ანდა მამა-შვილმა ვარშალომიძეებმა უთხრეს – „რამდენიმე მილიონი მჭირიაო“, თენგიზა რის თენგიზაა, უმალ არ გახსნას მუთაქები და საყვარელ „ნაცმოძრაობას“ არ დაეხმაროს?!.. მისთვის ხომ ერთი და ორი მილიონი მჩესუმჩირის ფულია და მისცემს ყველას, ვინც მის კეთილდღეობას უზრუნველყოფს.

ისევე როგორც ლევან ვარშალომიძე, არჩილ ხაბაძე საუკეთესო ურთიერთობებშია მილიონერ ბაკურიძესთან და როდესაც აჭარის ეკონომიკის სამინისტრო ვარშალომიძეების პერიოდში ჩალის ფასად ყიდდა მილიონიან ობიექტებს, მაშინ სწორედ არჩილ ხაბაძის მამა გახლდათ ეკონომიკის მინისტრის მოადგილე და, ხვდებით ალბათ, რა ფესვებიც აქვთ მათ კავშირებს.

უფრო მეტიც, აჭარაში ვერავინ რომ ვერ წარმოიდგენდა, დღეს თენგიზ ბაკურიძემ იმიტომ, რომ დიდი ფულის პატრონია და ამ ფულის შენარჩუნების იმუნიტეტიც ესაჭიროება, გადაწყვიტა (ან გადააწყვეტინეს) – პოლიტიკაში შემოაბიჯოს. დიახ, „ნაცმოძრაობის“ ყულაბა – თენგიზ ბაკურიძე სამოგობრო წრეებში „საიდუმლოდ“ ამბობს, რომ „ქართული ოცნებიდან“ აქვს თურმე შემოთავაზება და შეიძლება ხელვაჩაურის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატად მოგვევლინოს. მაგრამ რამდენად შეეგუება ხალხი ამას, ის ხალხი, რომელიც „ნაცმოძრაობის“ და მისი „კასირების“ უზნეობას დიდი ხანია შორიდან აკვირდება. აი, ამ განრისხებული ხალხის სამომავლო ნაბიჯებს, ვერცერთი ხელისუფლება ვერ გათვლის... და იქნება ის, რაც ლოგიკური იქნება, ანუ ან ბარიკადები, ანდა კიდევ არჩევნებზე მტკიცე უარი... უნდა ეს დღევანდელ ხელისუფლებას? თუ უნდა, მიიღებს და თუ არ უნდა, მაშინ, საკუთარი საარჩევნო სიიდან სასწრაფოდ უნდა მოაშოროს ის პერსონები, რომლებსაც დიდი ფული კი აქვთ, მაგრამ, სამაგიეროდ, სახელი აქვთ გატეხილი. სახელის გატეხვას კი თავის გატეხვა ჯობიაო, ნათქვამია.



**ირინე გოგოსაშვილი**
555 25 43 35

# თამარ თორაძე: ამისთვის ვცოცხლობ, ამისთვის გავძელი ამდენი ხანი – მინდა მთელ საქართველოს გავაგებინო, ვინ არიან ის ჯალათები, რომლებმაც 23 წლის წინათ ხუთი ძმა და დედ-მამა მომიკლეს

**(დასასრული,
დასაწყისი იხ. „სგ“ #13-14)**

„მხედრიონი” იყო არა პოლიტიკური გაერთიანება, არამედ გაერთიანება საბრძოლო ნიშნით იგი, ერთგვარად, ევროპული „ორდენის“ ანალოგს წარმოადგენდა. იმ განსხვავებით, რომ ევროპაში „ორდენები” რელიგიურ საწყისზე იქმნებოდა. 90-იანი წლების დასაწყისში „მხედრიონი” უკვე შეიარაღებული გაერთიანება გახდა. მისი რიგები დღითიდღე იზრდებოდა. თავდაპირველად, მხედრიონელობა ვაკელებმა და ოქროს უბნელებმა ისურვეს. მათ არც დედაქალაქის სხვა უბნელები ჩამორჩნენ და თბილისში „მხედრიონის” ბუმი დაიწყო. თბილისელი ახალგაზრდობა მიხვდა, რომ ქუჩის ლიდერობის მისაღწევად დიდი დრო დასჭირდებოდა, რადგან კანონიერი ქურდობის ინსტიტუტი მკაცრ აკრძალვებს გულისხმობდა. ამის გამო ეს ინსტიტუტი მათთვის მიუწვდომელი იყო. ამ აკრძალვებისგან თავისუფალი „მხედრიონი” კი მათ შესანიშნავ პერსპექტივას უქმნიდა. ამიტომ “კაცობის” პრეტენზიის მქონე ბევრმა ახალგაზრდამ, სწორედ, ამ ორგანიზაციას მიაშურა. შედეგად, „მხედრიონისთვის” პოლიტიკაში მოსვლის ამბიციაზე მნიშვნელოვანი ქუჩის ლიდერობისთვის ზრუნვა აღმოჩნდა, რაც მისი აღზევების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად იქცა. „პატრიოტული“ იდეებით გულანთებულნი შავნაბადაზე ფიცს დებენ: „მამულო ჩემო, ვფიცავ, ჩავდგე „მხედრიონის“ რიგებში, აღვასრულო მცირე თუ დიდი დავალებანნი მისნი, რათა შევჭურვილ ვიქნე ხილულთა თუ უხილავ მტერთა ზედა. ვფიცავ, მტლედ დავედო სამშობლოს და, საჭიროების შემთხვევაში, შევეწირო ტყვეობიდან მისი გამოხსნის საქმეს. და თუ გადავედ მე ფიცსა ამას, შეჩვენებული მყოს ხალხმა“...ფიცი მწამს, სიტყვები დიდებული იყო, მაგრამ ბოლო ყველა ნორმალურ ადამიანს აკვირვებდა, რადგან მათ მიერ გაუგონარი ჩადენილი სისასტიკით ჩადენილი დანაშაულები დღესაც მძიმე მოსასმენია. ხალხის მიერ შეჩვენებლებიც არიან, თუმცა სატანასთან წილნაყარები, ჯერჯერობით, მშვიდად და მაძღრად გრძნობენ თავს. ბოროტების „ალტარი“ შავნაბადაზე მიხეილ სააკაშვილს და მის ბანდასაც ძალიან მოსწონდა, აკი, ხშირად სტუმრობდნენ „შავი საქმეების“ დასაგეგმად და წამების კადრების კოლექტიურად ნახვის ჟინით შეპყრობილები შავნაბადას. ამბობენ, სწორედ ნიკოლოზ რურუა ყოფილა პრეზიდენტყოფილის დიდი „გურუ“, რომელმაც კომპლექსიან, დაჩაგრულ მიშა ნეო„ბოროტების“იდეოლოგიას აზიარა და მისი სულიერი მამობა იტვირთა!

— **შენი უფროსი ძმა ზაზა, იმ საბედისწერო დღეს სახლში არ იყო, როგორ და როდის მოახერხეს მისი მოძებნა და ლიკვიდაცია?**

— ზაზამ არაფერი იცოდა, ის ფეხში და ხელში დაჭრილი მეუღლესთან იმყოფებოდა, მას ვერ გაუბედეს ეთქვათ, რამხელა უბედურება დაგვატყდა თავს. მეუღლემ დაარწმუნა, რომ მისი გადამალვა იყო დროებით საჭირო. შეუცვალეს ადგილი, თუმცა საინფორმაციო გადაცემიდან გაიგო, რაც მოხდა და კადრებიც ნახა და, რასაკვირველია, შოკში ჩავარდა, ვფიქრობ, მიუხედავად მიღებული ინფორმაციისა, სწორედ ვერ შეაფასა სიტუაცია, ვერ წარმოიდგინა, თუ მხეცებად ქცეული ადამიანები, ჩადენილი სისასტიკის მიუხედავად, ტურებივით სისხლმოწყურებულები, გადარჩენილი ორი ძმის მოსაკლავად კიდევ გააჩაღებდნენ ნადირობას. ზაზა მშობლების და ძმების ორმოცამდე დაბრუნდა ცოლის სახლში ღამე... დილას „ოპერატიულად“ მიაკითხეს ნიღბიანებმა და ფორმიანებმა ბეტეერით... სასიკვდილოდ სცემეს ზაზას ცოლის ძმაც, ლიფტს არტყმევინეს სახე, ზაზა კიდე უარესად სცემეს, მერე კი ტომარასავით მიათრევდნენ მეექვსე სართულიდან მანქანამდე. ამას მეზობლები ხედავდნენ, ბანდიტებს არც არავისი ეშინოდათ და არც ერიდებოდათ. არ ვიცი, ვინ იყვნენ, მაგრამ ფაქტია, იმდროინდელი კანონი და კანონის დამცველები იცავდნენ იმ საშინელ ქმედებებს!!! მახო ყარყარაშვილი ჩემი ძმის (კახას) სიმამრი იყო. მას მოჰქონდა ამბები: ზაზასი ისე ეშინიათ, ღამე არ სძინავთ და ვერის სახლში მიცვალებულებს ვინც ღამესუთენებდნენ, იმათ აწიოკებენო! მიცვალებულებს დავწვავთ, ჩაგვბარდეს ზაზაო! მერე კი გადმოგვცეს, ზაზა რომ წაიყვანეს, არ დაინტერესდეთ რა და ვინ, თორემ თქვენც მიგაყოლებთო! „მეკავშირეები“ იყვნენ ყოველთვის მახო ყარყარაშვილი და გიო-გია ხომასურიძე (გურულო), რომელსაც ბიძა ჰყავდა დიდი თანამდებობის პირი და ასევე ირაკლი ალასანიას ბიძა (მე და პაატას ასე გვეუბნებოდნენ.). გიო ხომასურიძე და ირაკლი ალასანია ღრმა ბავშობის მეგობრები იყვნენ და საერთო ადამიანი ჰყავდათ შუაში. მოკლედ, როცა გიო ხომასურიძის ინფორმაცია ჩვენამდე აღწევდა, იმედოს ყველა მეგობარი დარწმუნებული იყო მის უტყუარობაში. ლანჩავა, სანამ ზაზასაც „გააქრობდნენ“, არცთუ იშვიათად გვსტუმრობდა და გვეკითხებოდა: ზაზა სად არის? იარაღებს სად ინახავდნენ ძმები? მე და პაატა ვპასუხობდით: არაფერი არ ვიცით საერთოდ! იმის თქმა მსურს, რომ ვერ გავიგე, ვინ მიადგა ზაზას ცოლის კორპუსს – „მხედრიონი“, გვარდია, თუ „ბოროტები“! თუმცა. „ბოროტები“ უკვე მხედრიონელებად ითვლებიან ამ დროში, რადგან ყველა გამხედრიონელდა, მეზობელი, რომელიც მესამე სართულზე ცხოვრობდა, ზურა მენთეშაშვილი, მასაც მიაკითხეს (არ ვიცი, საიდან გაიგეს, ან რა მოხდა), სცემეს სასიკვდილოდ, რასაც ცოლ-შვილი შეესწრო, მოკვლასაც უპირებდნენო, მაგრამ არ მოკლეს და წაიღეს ყველა თორაძეების იარაღიო. ტირილით მოსული მაია მენთეშაშვილი (ზურას შვილი) ყვებოდაო, იმედოს მეგობრებმა დამახვედრეს ახალი ამბავი, როცა მივედი ჩემს ბინაში პანაშვიდების ერთ-ერთ დღეს. ღამე არ გვტოვებდნენ მე და პაატას ჩვენს ბინაში, რადგან ეშინოდათ, ჩვენც არ დავეხოცეთ.



**- მოხდა ტრაგედია, გამოძიება როგორ მიმდინარეობდა?**

— რომელი გამოძიება? არსებობდა მაშინ გამოძიება?

— **როგორ, არც პროკურატურიდან მოსულა არავინ და არც პოლიციიდან?**

— არა!

— **იცოდით, ვინ იყო მაშინ გელა ლანჩავა?**

— სამხედრო ფორმით იყო, არა, რა თანამდებობაზე იყო, არ ვიცოდი!

— **ის ქალაქის კომენდანტი იყო მაშინ! შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები?**

— ზაზა ვერც ცოცხალი ვნახეთ ვერც მკვდარი.

გავაგრძელეთ ჩვენს ბინაში ვერაზე ცხოვრება. 1994 წელის თებერვალში ჩემი ძმა პაატა მიყავდა კოლეჯში ვიღაც შოთას, მამაჩემის მანქანით (ფოლცვაგენით) როცა ახალ გზაზე გააჩერა კაკაოსფერმა თუ ყავისფერი, აღარ მახსოვს, 04 რაღაც ნომრებით (ეს შოთამ გვიამბო, გიო ხომასურიძის ბავშობის ოზურგეთელმა მეგობარმა, რომელიც „დამცველად“ მოგვიჩინა გიო ხომასურიძემ თავად. მარტო რომ არ ეარა პაატას... თუმცა ის ხელცარიელი დაყვებოდა) 4 შეიარაღებული ავტომატიანი ჩვეულებრივ ტანსაცმელში ჩაცმული კაცები, რომლებმაც მოითხოვეს მანქანიდან გადმოსულიყვნენ ორივე და საბუთები ეჩვენებინათ მათთვის. მერე კი ჩასვეს თავიანთ მანქანაში და გზას გაუყვნენ, იმ წამსვე საჭესთან მჯდომმა რაციით გადასცა ვიღაცას: 2 მყავს, როგორ მოვიქცე? ხმა გაისმა რაციაში: ფიგურა დაიტოვე და პეშკა გაუშვი! ზამთრის ქუდები, პაატას და შოთას სახეზე ჩამოაფარეს, მანამდე პაატასაც ჩამოუწევია ნახევრად სახეზე თავისი ქუდი... უკან ისხდნენ ორი ავტომატიანი, შუაში პაატა და შოთა, მანქანა გააჩერეს, გადმოსვეს შოთა და უთხრეს: გაიქეცი ისე, რომ უკან არ მოიხედოო! მანქანის გასაღებიც დაიტოვეს საბუთებით... შოთაც ტირილით გამოიქცა (სულაც არ აღელვებდა პაატას ბედი, თვითონ ხომ გადარჩა)?! ვერაზე ავარდნილა იმედოს მეგობრებთან ახალი ამბით... ამას უკვე ისინი მიყვებოდნენ. ვისაც შოთამ მიაკითხა. გავიდა რამდენიმე დღე სახლში ლოდინში, გიო ხომასურიძე ამბობდა და ყველა იგივეს იმეორებდა: დაველოდოთ, იქნებ ფული მოითხოვონ ან ზაურის (მამაჩემის) დოსიეები, ვიღაცე-






პაატა

ებზე რო აგროვებდა. მილიციასაც არ მივმართოთო, რომ არ მოკლან პაატა ფაქტის გაქრობის მიზნითო... მეხუთე დღე იყო ან მეოთხე, როცა მილიციის თანამშრომელი დავინახე სახლში მოსული. მე ის ვიცანი ძველი ამბებიდან... იმედოს მეგობრები და ის ცალკე ოთახში ჩუმად ლაპარაკობდნენ. როცა წავიდა და ვიკითხე, თუ ვინ იყო, მათ მითხრეს, რაც უფრო ცოტა გეცოდინება, მით უკეთესი, მაგრამ მთავარი ფაქტი ის არის, რომ გადმოგვცეს, შენც გემუქრება საფრთხე და უნდა გადაგმალოთო. ვინ გადმოგვცემს, გამაგებინეთ, ვინ არის ეს ვიღაც?! ძალიან ვბრაზდებოდი ამ ინკოგნიტო ვიღაცაზე! ნუ, რა მნიშვნელობა აქვსო, მითხრეს. გიო ხომასურიძემაც იგივე ინფორმაცია მოიტანაო! კარგად ისვრის იარაღს უფროსი გოგო და ეგეც მოსაშორებელია, სისხლი რომ არ აიღოსო!!! გადამმალეს. რადენიმე თვე გრძელდებოდა ეს მალვა... ვერის სახლში აღარ მიცხოვრია 1996 წლამდე, გათხოვებამდე.

წლები ისე გავიდა, შსს–დან ან პროკურატურიდან არავინ მოსულა შეკითხვით, თუ რა მოხდა 1992 წლის 3 მარტს, ან გატაცებულ პაატას რა ბედი ეწია... როგორც ვთქვი, გავთხოვდი, მეორე გოგო შემეძინა. უკვე 21 წლის ვიყავი. ვცდილობდი, თვალები და ყურები გამომეჭედა რამით, რომ სიმართლე არ მცოდნოდა, რა სიბინძურეც ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში და ქალაქში ყოფილი ეგრედ წოდებული „ბოროტების" ხელით. ისინი ყველა სფეროს გაკონტროლებას ცდილობდნენ. ფაქტიურად, აკონტროლებდნენ კიდეც. ამასობაში მოვიდა 2000 წელიც. კარზე მომადგა ვიღაც გამომძიებელი. ამდენი წლის მერე მეკითხება. თუ რა მოხდა 1992 წლის 3 მარტს და მეც ვყვები, რაც მოხდა იმ დღეს, შემდეგ მოვიდა უშიშროების თანამშრომელი და მიბარებს თავისთან... მე ვაცხადებ უარს, რადგან გამოძიების მასალები მოვითხოვე და უპასუხოდ დავრჩი. სამმართველოს თანამშრომლებს უარი განვუცხადე. რაიმე შეკითხვები დაესვათ და საერთოდ ავუკრძალე ჩემთან სტუმრობა. ისინი მეორე დღეს ოფიციალური უწყებით მეწვიენ და გამაფრთხილეს, უფლება გვაქვს ძალით წაგიყვანოთ, თუ ნებით არ წამოხვალო. წავედი, სხვა რა გზა მქონდა. სამმართველოში კეკუა და კიდევ რამდენიმე თანამშრომელი „გამესაუბრნენ", მეუბნებოდნენ, ჟორიკა რურუა დავაკავეთ, რომელმაც მონაწილეობა მიიღო შენი ოჯახის მკვლელობაშიო. კეკუა იმასაც მიხსნიდა, რომ, თურმე, ჩემი ძმებიც არ იყვნენ ანგელოზები და ავტომატებით დარბოდნენ. მე მივხვდი, კეკუა, საჭიროების შემთხვევაში, სათავისოდ გამოიყენებდა ჩემი ოჯახის ტრაგედიას. ამიტომაც ისე წამოვედი იქიდანაც, რომ სიმართლე არ მითქვამს... სახლში ამომაკითხეს უკვე ჩვენი რაიონის თანამშრომლებმა, სახეზე ვიცანი, ერთ-ერთი ის იყო! პაატას გატაცების მერე რომ ჩუმად ელაპარაკებოდა იმედოს მეგობარს და მე რომ არ მითხრეს, რაზე ისაუბრეს... (გაფრთხილებაც რომ გადმომცეს – გაქრი, დაიმალეო...) ზიზღით ამევსო გული! მხოლოდ ერთს ვფიქრობდი! დროზე გამეღწია იმ საშინელი ქვეყნიდან! და ესეც გავაკეთე, გამოვიქეცი.

— **მიუხედავად ყველაფრისა თქვენ ამდენი წლები დუმდით, რატომ?**

— ვდუმდი ნამდვილად! არასოდეს მითქვამს საუკეთესო მეგობრისთვის ან მეუღლესთვის ის, რაც ვიცოდი... ვერიდებოდი ამ დეტელებზე საუბარსაც კი, რადგან არავისი მჯეროდა და ყოველთვის ეს კითხვა მებადებოდა! ნუთუ არ ახსოვს ჟორიკა რურუას ჩემი სახე?! ჩემი თვალები?! როცა დაწია ჩემსკენ მომართული იარაღი და გააგრძელა მკვდარ სხეულზე სროლა?! ნუთუ არასოდეს შეაწუხებს იმის შიში, რომ მოწმე დატოვა?! ან იმ მეორეს (წვერებიანს) დინჯად რომ მიაბიჯებდა?!. შეიძლება ადვილია ვიღაცებისთვის ამის მოსმენა ან წაკითხვა!!! მერწმუნეთ, არ არის ადვილი ამ ყველაფრის შემსწრემ ცხოვრება გააგრძელო და რამე კანონის იმედი გქონდეს, იმ ქვეყანაში და საერთოდ დედამიწაზე, სადაც კანონს იყიდი თუ ბევრი ფული გაქვს! იმასაც არ დავივიწყებ, რომ ეს ადამიანები ერთ დროს გაჭირვებული ოჯახის შვილები იყვნენ! „ვლასტზე" და „მაფიოზობაზე" ოცნებობდნენ!.. როგორც ამბობენ, კეკუაც რამდენიმე წელში რურუებმა გაისტუმრეს ჯერ ციხის „კლეტკებში" და მერე „თავის ჩამოხრჩობით". ჩამოკიდეს, რა თქმა უნდა! თუმცა არც კეკუა იყო უფრთო ანგელოზი, ოდესღაც, ალბათ, თავად ეხმარებოდა იმ შავ სამყაროს გამყარებაში.

— **იმ დროს, როდესაც თქვენს ოჯახში ტრაგედია დატრიალდა, შს მინისტრი იყო რომან გვენცაძე. როგორ ფიქრობთ, მომხდარი ხომ არ უკავშირდება გვენცაძის დროინდელ შსს-ში არსებულ დაპირისპირებას „მხედრიონთან"?**

— რა გითხრათ, პოლოტიკაში არ ვერევი არც ერთ ქვეყანაში, რადგან მაგაზე ჩახლართული და ბინძური თემა ჩემთვის არ არსებობს.. ასე რომ, ვერც იმაზე გიპასუხებთ, თუ რამე კავშირში იყო შს მინისტრი გვენცაძე,.. დღეს აღარ მეშინია სიმართლის თქმის, როგორც მანამდე გითხარით, ახლაც გავიმეორებ! სულ ერთია ჩემთვის, რა მოხდება, სიკვდილის არ მეშინია და არც არასდროს მშინებია და თუ სიცოცხლეს ვინარჩუნებდი, იმის მიზეზიც მქონდა და მაგიტომ შარშან, დაახლოებით ამ დროს, ვიღაც ერთი და იგივე ტიპის სახეს ვხედავდი, მოტოციკლეტით დამყვებოდა.. მერე გადავწყვიტე „FBI"-სთვის მიმემართა და მივმართე. მაშინ იგივე კითხვა დამისვეს მათაც „რატომ გამოვეცი წიგნი?" ჩემი პასუხი ასეთი იყო და ასეთად რჩება: ვერ წავიღებდი მიწაში ამხელა უსამართლობას! ამხელა სიმართლეს ვერ ჩავმარხავდი სამუდამოდ! მათ ბოდიში მომიხადეს შეკითხვის დასმისთვის.

— **ბესელა რაზმაძის და ბადრი ხვადაგიანის შესახებ რა იცით?**

— ბესელა რაზმაძის ბედი არ ვიცი დღეს როგორია, ვის სტუკაჩობს დღესდღეობით, ვის სამსახურშია. რას გაიგებთ, ეგეთი ადამიანები ხან ციხეში „ნასეტკობენ", ხან ციხის გარეთ და თუ საჭირო გახდა, საზღვრების გარეთაც აგზავნიან. ბოლოს, 2007 წელი იყო ან 2006, ამერიკაში რომ შევხვდით, ალასანია კარგი ადამიანიაო, მიმტკიცებდა... მერე რომ გავიგე, ალასანია შეიძლება კარგ თანამდებობაზე დაენიშნათ საცოდავ საქართველოში! მეცოდება საქართველო, მაპატიეთ! არ ეღირსა წესიერი მმართველი ძალა!.. გული მეტკინა და დავიფიცე, რომ არასოდეს გავიხედებოდი იქით... არც ჩამოსვულვარ, რადგან, რაც დრო გადიოდა, მით უფრო გულის ამრევი ხდებოდა მაქაურობა. ბადრი ხვადაგიანი, რომელიც თორაძეების მკვლელებს ეხმარებოდა.,. ლაშას, ჩემი ძმის ბავშობის ძმაკაცი, მთაწმინდის რაიონის გამგებელი თუ მოადგილე იყო წლების განმავლობაში. აბა, როგორ არ დაგწყდება გული?! „ადამიანი", რომელმაც მერე მე გამქურდა, სახლიდან ნივთები მომპარა და მიბარებული თანხით გერმანიიდან BMW ჩამოიყვანა და მე მატყუებდა, მომიპარეს შენმა მტრებმა და მაწამეს, რას აკეთებთ შენ და თორაძეების და, რას გეგმავთ ჩვენს საწინააღმდეგოდო. ამ დროს რურუას და მის ბანდას ემეგობრებოდა.

— **აი, გამოიცა წიგნი. გამგები გაიგებს, ალბათ იქნებიან ისეთი ადამიანებიც ვინც თქვენს წიგნს**



ზაზა და კახა მშობლებთან

**უარყოფითად შეაფასებენ. რას აპირებთ? რა გეგმები გაქვთ?**

— წიგნში მე ჩემი ოჯახის უარყოფით მხარეებზეც ვსაუბრობ და დადებითზეც, ჩემი ოჯახი ჩემთვის ყველაფერი იყო და არანორმალურად მიყვარდა და ის სიყვარული მაძლიერებს დღესაც. იმ დაწყევლილ დღეს ბავშვობა და ოჯახის წევრები ერთად ამომგლიჯეს გულიდან და დღემდე თითქოს არაფერი მომხდარა, ისევ აგრძელებენ ცხოვრებას ჩემი ოჯახის ამომწყვეტები და ვინ იცის, რამდენ ოჯახს გაუმწარეს კიდევ ცხოვრება, ასეულობით მილიონი კი უშოვნიათ, მაგრამ დადგება მათი განკითხვის დღეც, ღმერთთან ფული ველარ უშველით! მე მჭირდება გავიგო სიმართლე, ვისი დავალებით მოხდა ჩემი ოჯახის განადგურება, შემსრულებლები ისედაც ვიცი ვინ არიან.

ადამიანებმა, რომელებმაც თუნდაც მრავალი წლის წინ შეძლეს ასეთი სისასტიკის ჩადენა, ვერასოდეს გამოსწორდებიან. უფრო დახვეწილად და ლამაზად შეძლებენ მოსპონ ,ვინც არ მოეწონებათ. ყველას ოჯახს გაწირავენ, ვისიც მოესურვებათ. დღეს თუ მეგობარია და კარგად ექცევა, ეგ იმას არ ნიშნავს, რომ ის კარგი ადამიანია, თუ დასჭირდათ, ნებისმიერ ადამიანს გაწირავენ. ბევრმა სარწმუნო ინფორმაციამ მოაღწია ჩემამდე მიშა სააკაშვილს რურუები თავის დაკრულზე როგორ აცეკვებდნენ. როგორ აიძულეს ხალხი, დაეთმოთ ბიზნესი, დაეჩმორებიათ, ეწამებიათ ციხეებში, თუ ციხეების გარეთ. იმის მაგივრად, ძველ ცოდვებზე ეგოთ პასუხი, ყველა გარეწარი, არაკაცობით გამდიდრებული კრიმინალი გაამეფა და გაბლატავა!

— **ვინ გამოიძიებს ახლა ამ საქმეს? როგორ გგონიათ, თქვენს მიერ მოყოლილი ისტორია მტკიცებულებად გამოდგება?**

— მამაჩემმა ჩემს ძმებს უთხრა დახოცვამდე წინა დღეებში: ან ეხლავე უნდა დავტოვოთ ქვეყანა და წავიდეთ, ან დავრჩეთ და კუბოები ზიდონ ჩვენიო. არ ვიცი, ეს ინფორმაცია საიდან ჰქონდა, ყური მოვკარი, როცა ამბობდ,ა შავ სიაში ვართო. ვის ჰქონდა ეს შავი სია შედგენილი? ცხოვრებას დავთმობდი, ამის გაგება რომ შემეძლოს! ვიღაცას არ აწყობდა მამაჩემი პირადად, ამას თვითონ ამბობდა მამა: იციან, ბევრზე ვიცი ბევრი რამ და შეეცდებიან გაგვანადგურონო. ამას ჩემი ძმების და „ბოროტების"დაპირისპირებაც დაემატა, რამაც საფუძველი ჩაუყარა ჩემი ოჯახის მტრების გაერთიანებას და შესაბამის პოლიტიკურ ვითარებას, რაც წარმატებით გამოიყენეს ჩემი ოჯახის დასაქცევად! იმედს არ ვკარგავ, რომ ჩემი ოჯახის ტრაგედიით დაინტერესდება პროკურატურა, ჩემი ძმების მკვლელებს, ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, არაერთი უმძიმესი დანაშაული აქვთ ჩადენილი, ვიღაც არსებობს უკვე ისეთი, ვინც აიძულებს სამართალდამცველებს, დაიწყონ გამოძიება, შემდეგ საგამოძიებო ჯგუფი შეიქმნება და თითქმის ყველა მათ მიერ ჩადენილი ბოროტება საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება.

— **ვინ არის ის „ვიღაც"?**

— ის ვიღაც, სულ რამდენიმე თვეში დაურღვევს მყუდროებას, როგორც ჩემი ოჯახის მკვლელებს, ასევე მათ მფარველებს, თუმცა, პროკურატურაში საჩივარი მყარი მტკიცებულებებით, სხვა გვარ–სახელზე შევა, ამის შემდგომ შევიტან მეც საჩივარს. მეტს ვერაფერს გეტყვით. რაც შეეხება დაცვას –. მიცავს ღმერთი და ჩემი სიმართლე. რურუას და ზარალას გავლენებზე მეღიმება, რადგან ოდესღაც ყველაფერი მთავრდება, ხანდახან ბევრად ცუდად, ვიდრე ცოდვებით დამძიმებულ ადამიანს წარმოუდგენია. მხოლოდ ღმერთმა იცის, ვის რა ელოდება, მე დასაკარგი რაც მქონდა, დავკარგე. მათ დასაკარგი ძალიან ბევრი აქვთ და კიდევ „კოკა წყალს ყოველთვის ვერ მოიტანს". ასე რომ...

— **დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. მხნეობას და გამძლეობას გისურვებთ.**

— თქვენც და „საერთო გაზეთსაც" ძალიან დიდი მადლობა, რომ ამდენი ხნის დაგროვილი სათქმელის თქმის საშუალება მომეცით.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

**რედაქციისაგან: „საერთო გაზეთმა" გაითვალისწინა ქალბატონი თამარ თორაძის თხოვნა და საშუალება მისცა მას დაესახელებინა ყველა ის ადამიანი, რომლებიც, ქალბატონი თამარის აზრით, ამა თუ იმ სახით, დაკავშირებულნი არიან მისი ოჯახის ტრაგედიასთან.**

**რედაქცია მზადყოფნას გამოთქვამს, თავისი გაზეთის ფურცლები დაუთმოს ინტერვიუში დასახელებულ ადამიანებს, მათ ახლობლებს ან სხვა პირებს და მათი მოსაზრებები უცვლელი სახით გამოაქვეყნოს.**



კახა, ზაზა და ლაშა

# ძლიერი რეგიონები


დასუფთავების აქცია

### სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ინიციატივით ათივე მუნიციპალიტეტში დასუფთავების აქცია ჩატარდა

სამეგრელო-ზემო სვანეთის ათივე მუნიციპალიტეტში, რეგიონის გუბერნატორის ლევან შონიას ინიციატივით დასუფთავების აქცია მოეწყო. დასუფთავდა ქუჩები, მდინარეების და ზღვის სანაპირო ზოლები. ანაკლიაში შტორმის დროს დაბინძურებული სანაპიროს დასუფთავების აქციაში სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად, Gem Fest-ის მოხალისეები და შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები ჩაერთვნენ.

გუბერნატორმა სტუდენტებს აქციაში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ „მსგავსი აქციები პერმანენტულად უნდა ჩატარდეს, საჯარო მოხელეებთან ერთად დღეს აქ სტუდენტები, ადგილობრივი მოსახლეობა გამოვიდა რაც ნამდვილად მისასალმებელია და სამაგალითო. ჩვენ ყველა უნდა ვზრუნავდეთ საკუთარ ქუჩაზე, ქალაქზე, რეგიონზე, ქვეყანაზე. ყველა მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახური დღედაღამ მუშაობს, მათი შრომა დაუფასებელია, ჩვენ მათ უნდა მივბაძოთ სუფთა გარემოს შესაქმნელად“ განაცხადა გუბერნატორმა.

დასუფთავების აქციის დასრულების შემდეგ გუბერნატორმა სტუდენტებს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ილია დარჩიაშვილთან ერთად ანაკლიაში დაგეგმილი პროექტები გააცნო „ადგილზე, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით ძალიან მალე ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა დაიწყება, თქვენ გექნებათ შესაძლებლობა, რომ არ გახვიდეთ რეგიონიდან და აქ დასაქმდეთ, ძალიან მალე ასევე აქ დაიწყება ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობა, სადაც ასევე თქვენ ადგილობრივები დასაქმდებით“ - განაცხადა გუბერნატორმა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ ილია დარჩიაშვილმა სტუდენტებს სამოქალაქო აქტივობისთვის მადლობა გადაუხადა.

გუბერნატორი ლევან შონია დასუფთავების აქციის ჩატარედის ინიციატივით სამხარეო ადმინისტრაციის შენობაში 18 აპრილს გამართულ შეხვედაზე გამოვიდა. სახელმწიფო რწმუნებულმა მაშინ გამგებლებს, მერებს და საკრებულოს თავმჯდომარეებს მათ საკუთარ მუნიციპალიტეტებში „დასუფთავების აქციების“ ორგანიზება სთხოვა.

### ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიფულში ნაპირსამაგრი სამუშაოების 1 მილიონიანი პროექტი მიმდინარეობს

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიფულში 15 ოჯახის გადასახლების საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილია. პრობლემურ მონაკვეთზე, სადაც წლების განმავლობაში მდინარე ხობისწყალი მოსახლეობას სახლებში უვარდებოდა და საკარმიდამო მიწა მიჰქონდა, მასშტაბური ნაპირსამაგრი სამუსაოები მიმდინარეობს, რომლის ღირებულებაც 1 მილიონ ლარამდეა.

სამშენებლო სამუსაოების მიმდინარეობა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა. გუბერნატორის განცხადებით „პრობლემა, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას მდინარე ხობი უქმნიდა მასშტაბური სამუსაოების დასრულების შემდეგ წარსულს ჩაბარდება.

ნაპირსამაგრი სამუშაოები მშენებელი კომპანიის დირექტორის განცხადებით, 3 თვეში სახელშეკრულებო ვადაზე ადრე დასრულდება. ამჟამად ობიექტზე 20-მდე ადგილობრივია დასაქმებული.


ხობი

### პირველად ამიერკავკასიაში – კოლხური ბზის სანერგე აფხაზეთ-სამეგრელოს პირობით საზღვართან

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში, აფხაზეთ-სამეგრელოს ადმინისტრაციული საზღვრის სიახლოვეს, მაისში დასრულდება კოლხური ბზის სანერგე მეურნეობის მშენებლობა, რომელიც ამიერკავკასიაში პირველი იქნება.

სანერგე მეურნეობას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით არასამთავრობო ორგანიზაცია „აგორა“ აშენებს.

აფხაზეთის სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსების და გარემოს დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის ვალერი ბასარიას განცხადებით, კოლხური ბზა გადაშენების პირასაა. რუხში გამოყვანილი კოლხური ბზის ნერგები მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს არსებულ მძიმე მდგომარეობას. ამ მხრივ, ერთნაირი ვითარებაა სამეგრელოში და აფხაზეთშიც. საზღვრისპირა სოფელი რუხი აფხაზეთთან სიახლოვის გამო შეირჩა, რათა ამ რეგიონმაც შეძლოს მეურნეობით სარგებლობა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „აგორას“ აღმასრულებელი დირექტორის, თენგიზ სვანიძის განცხადებით, რუხში გამოყვანილი კოლხური ბზის ნერგების ნაწილი აფხაზურ მხარეს უსასყიდლოდ გადაეცემა.

„დაავადებამ არ იცის საზღვარი, არც პირობითი და არც გამყოფი. ყველა აცნობიერებს, რომ ბზა გადასარჩენია. ამ სათბურში მოხვდება ჯანმრთელი, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ბზის კალმები, გაიზრდება, გაძლიერდება და გადაირგვება ნახევარი აფხაზეთში, სადაც უკვე გვყავს პარტნიორი შერჩეული. დანარჩენი კი ჩვენს მხარეს დარჩება“, – განაცხადა სვანიძემ.

რუხის სანერგე მეურნეობაში მოყვანილი 100 ათასი ნერგი იქნება ამიერკავკასიის სარეზერვო ფონდი, რომელიც უძველეს მცენარეს გადაშენებისგან დაიცავს.

კოლხური ბზის სანერგე სოფელ რუხში 480 კვადრატული მეტრის ფართობზე მოეწყობა, მეურნეობა სექტემბრიდან ამუშავდება.

### მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები ვანის მუნიციპალიტეტში

ქ. ვანის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელმა ვლადიმერ ხელაძემ ქალაქის სხვადასხვა უბანში მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა.

ჯორჯიაშვილის ქუჩაზე გზის რეაბილიტაციისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 39 197 ლარი გამოიყო, სამუშაოებს კომპანია შპს „გლობალ ბილდინგი“ ახორციელებს.

წელს ქალაქის ცენტრალურ სასაფლაოსთან მისასვლელი გზის წლობით გადაუჭრელი პრობლემაც მოგვარდა და კეკელიძის ქუჩაზე ასფალტის საფარის მოწყობა დასასრულს უახლოვდება, მიმდინარე სამუშაოების დასაფინანსებლად, რომელსაც შპს „ფირმა იმედი ახორციელებს“, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 148 838 ლარია გამოყოფილი.


ვანი

ყიფიანის ქუჩაზე, გივი ყიფიანის სახელობის ტყე-პარკთან მისასვლელ გზაზე ეწყობა კიუეტები, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 21 833 ლარი გამოიყო.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 26 მაისის ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაციისთვის 196 853 ლარია გამოყოფილი, სამუშაოები უკვე დაწყებულია, ეწყობა სანიაღვრე არხები.

ქ. ვანში დასრულდა #1 საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები, ამჟამად მიმდინარეობს შენობის ინვენტარით აღჭურვა. სამუშაოები გასული წლის მიწურულს დაიწყო, შენობა 200 ბავშვზეა გათვლილი და შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. შენობის რეაბილიტაციისთვის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 381 ათასი ლარი დაიხარჯა.

ათწლეულების განმავლობაში ვანში არ არსებობდა საავადმყოფო. ეს პრობლემა უახლოეს ხანში მოგვარდება და ადგილობრივი მოსახლეობა ახალი, თანამედროვე სტანდარტების დაცვით გარემონტებული და საჭირო გამოკვლევებისთვის აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი საავადმყოფოს მომსახურებით ისარგებლებს.

### ლაგოდეხი: ბოლოკიანის, კართუბანის, ნაწისქვილარის შიდა გზების რეაბილიტაცია

ოთხ თვეში დასრულდება სოფლების – ბოლოკიანის, კართუბანის, ნაწისქვილარის შიდა გზების რეაბილიტაცია. პროექტს მუნიციპალური განვითრების ფონდი ახორციელებს და მისი ღირებულება დაახლოებით 2 მილონი ლარია. ფონდის წარმომადგენლებმა დაგეგმილი პროექტი სოფლის მოსახლეობასთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად განიხილეს. ბოლოკიანის, კართუბანის, ნაწისქვილარის გზას სარეაბილიტაციო სამუშაოები არასდროს ჩატარებია. ადგილობრივების თქმით, ამ პროექტით თითქმის ნახევარსაუკუნოვანი პრობლემა გადაიჭრება და 2000-მდე მოსახლის გადაადგილება უსაფრთხო გახდება

### რუსთავში ძალოსნობის დარბაზი გაიხსნა

ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაციის ინიციატივით, საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციისა და რუსთავის მერიის ხელშეწყობით, კიდევ ერთი თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი დარბაზი გაიხსნა, რომელიც რეგიონში ჯანსაღი ცხოვრების დანერგვას შეუწყობს ხელს.

დარბაზის გახსნის ღონისძიებას ესწრებოდნენ ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორი და იმავდროულად საქართველოს ძალოს-

# ძლიერი საქართველოსთვის



რუსთავი

ნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი პაატა ხიზანაშვილი, ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი კახი კახიაშვილი, რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე დავით მაღლაკელიძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ ახლად გახსნილ სპორტულ დარბაზში ვარჯიში ყველა მსურველს უფასოდ შეეძლება. უახლოეს მომავალში ქვემო ქართლის რეგიონს კიდევ ექვსი სპორტული დარბაზი შეემატება.

## ქვემო ქართლში ტურიზმის განვითარების მიზნით საკოორდინაციო ჯგუფი შეიქმნა

ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში მხარის გუბერნატორის პაატა ხიზანაშვილის ინიციატივით, რეგიონში ტურისტული პოტენციალის განვითარებასა და გერმანული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას გერმანიის საელჩოს, სამხრეთ კავკასიაში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირის, საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის, კონრად ადენაუერის ფონდის, კულტურის სამინისტროს, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, მუნიციპალური განვითარების ფონდისა და ქვემო ქართლის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

,,შეიქმნა საკოორდინაციო ჯგუფი. შეხვედრაზე განვიხილეთ ქვემო ქართლის ტურისტული პოტენციალი, სოფელ ასურეთის განვითარების გეგმის ფარგლებში დაწყებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ასევე სოფელ თრიალეთში გერმანული ტაძრის სახურავის რესტავრაციის საკითხი“, – განაცხადა ქვემო ქართლის გუბერნატორმა პაატა ხიზანაშვილმა.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ასურეთში განვითარების გეგმის ფარგლებში, ინფრასტრუქტურული სამუშაოები მაისის ბოლოს დაიწყება და 2017 წლისთვის დასრულდება

## ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების რეაბილიტაცია გრძელდება

შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ ნაოხრებში, სადაც 430-მეტრიან მონაკვეთზე არმირებული ბეტონი იგება, ეწყობა ღია და დახურული სანიაღვრე არხები, გვერდულები კი სპეციალური მოსაპირკეთებელი ინერტული მასალით ივსება. სამუშაოები ცენტრალური ბიუჯეტიდან 128 ათასი ლარით ფინანსდება.

ასფალტ-ბეტონის საფარის დასაგებად გზის საფუძვლის მოსამზადებელი სამუშაოები დაწყებულია ახალციხე-წყრუთი-ანის, წყრუთი-ჭვინთა-ელიაწმინდისა და სოფელ მუსხის საავტომობილო გზებზეც.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ახალციხის მუნიციპალიტეტში 2 043 200 ლარის 8 საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტია დაგეგმილი და ჯამში 10 კილომეტრი სიგრძის გზა მოწესრიგდება. გზების რეაბილიტაცია მაღალმთიან სოფლებში ხორციელდება, სადაც განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში და უამინდობისას მოსახლეობას გადაადგილება უჭირს. სამუშაოების დასრულების შემდეგ მათ ადმინისტრაციულ ცენტრთან დაკავშირება კეთილმოწყობილი გზით შეეძლებათ.

სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს მხარის გუბერნატორი აკაკი მაჭუტაძე და ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა მელიქიძე ადგილზე გაეცნენ.



ქედა

## 250-კაციანი ებრაელთა ტურისტული ჯგუფი ქედაში

რამდენიმე დღეა აჭარის რეგიონში იმყოფება ებრაელთა ტურისტული ჯგუფი, რომელიც ეცნობა ქედის მუნიციპალიტეტის ბუნებრივ და კულტურულ ძეგლებს. მათ დაათვალიერეს მახუნცეთის ჩანჩქერი, თამარის ხიდი, ეთნოგრაფიული და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, დაესწრნენ ქედის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლების კონცერტს.

,,ელესას“ და ,,იაგუნდის“ შესრულებულ ძირძველ ქართულ ჰანგებს და ,,ბეთლემის“ ტრადიციულ საცეკვაო ილეთებს სტუმართა მხურვალე ოვაციები და ცრემლებიც მოჰყვა.

## აჭყესში ჰიდროაგრეგატი სრულად განახლდა

ქედის მუნიციპალიტეტში 1924-1937 წლებში აშენებულ ჰიდროელექტროსადგურს სარეაბილიტაციო სამუშაოები პირველად ჩაუტარდა. პროექტის ფარგლებში, სრულად შეიცვალა ტურბინა და გენერატორი, დამონტაჟდა თანამედროვე მართვის და მონიტორინგის სისტემები, აგრეთვე, თანამედროვე ციფრული სარელეო დაცვის სიტემა, განხორციელდა ჰიდროაგრეგატის დეტალებისა და კვანძების რეკონსტრუქცია, რომელთა შედეგად ჰესის სიმძლავრე 16 მგვტ-დან 18,4 მგვტ-



ქედა

მდე გაიზარდა. რეაბილიტირებული ჰესი დღეს აჭარის არ მთავრობის წარმომადგენლებმა სს ,,ენერგოპროჯორჯიას“ ხელმძღვანელობასა და მუნიციპალიტეტის პირველ პირებთან ერთად დაათვალიერეს.

## ქედაში კიდევ ერთი ახალი სპორტის სახეობა – მშვილდოსნობა განვითარდება

ქედის სასპორტო სკოლაში ახალი სპორტის სახეობის – მშვილდოსნობის სექცია ამუშავდა. საქართველოს ნაკრებმა ქედის არჩილ ფარტენაძის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე საჩვენებელი ვარჯიში გამართა, რომელსაც მშვილდოსნობის საქართველოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ხათუნა ნარიმანიძე და აჭარის ფედერაციის პრეზიდენტი ბადრი ვარშანიძე ქედის გამგებელთან დავით დუმბაძესთან ერთად დაესწრნენ. ქედა მაღალმთიანეთში პირველი მუნიციპალიტეტია, სადაც მშვილდოსნობის განვითარებას ჩაეყარა საფუძველი.

## კურორტ „ბეშუმში“ შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები იწყება

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბესიკ ბაუჩაძემ და ტენდერში გამარჯვებული კომპანიის შპს ,,ლიტომის წარმომადგენლობა საქართველოში“ დირექტორმა გოჩა აბაშიძემ.

კურორტ ,,ბეშუმში“ შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წლის 10 მაისს დაიწყება და 28 ივლისამდე გაგრძელდება. ადგილობრივი ბიუჯეტიდან 892 791 ლარი დაიხარჯება.

## შუახევის მუნიციპალიტეტის პირველობა ქართულ ჭიდაობაში

შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ სასპორტო სკოლის ორგანიზებით სასკოლო გუნდებს შორის გაიმართა შუახევის მუნიციპალიტეტის პირველობა ქართულ ჭიდაობაში შვიდ წონით კატეგორიაში.

გამარჯვებულებს სიგელები, მედლები და ფასიანი საჩუქრები მუნიციპალიტეტის გამგებელმა ტარიელ ებრალიძემ გადასცა.



ქვემო ქართლი



შუახევი

# მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

## ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?



ვიღაც თვლის, რომ დროებამ მოიტანა, ვიღაც – უფლის ნებად მიიჩნევს; ვიღაცას, ბოლო ჟამის მოსვლასა და იბერიის გაბრწყინების მიახლოებასთან უნდა დაკავშირება იმ ინტერესთა გამოვლინებებისა, რაც საქართველოს ისტორიას ეხება. რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში მისასალმებელია საკუთარი ქვეყნის ისტორიის დალაგების, წარმოჩენის, მსოფლიო დონეზე გაცნობისა და მისი დაცვის მცდელობები, მაგრამ არსებობს ერთი დიდი „მაგრამ" – საქართველოს ისტორია, საუკუნეებია, ისეა არეულიც, „თეთრ ლაქებად" დატოვებულიც, მოპარულიც, მიჩქმალულიც, რომ „დიდი დამლაგებლები" სჭირდება.

ვიღაცას, შეგნებულად თუ შეუგნებლად, არ სურს და არ უნდა დაიჯეროს ბევრი რამ, განსაკუთრებით, თუ საიდუმლოებებით მოცული საქართველო უძველესი კოლხური ცივილიზაციის პირდაპირ და ერთადერთ მემკვიდრედ მოიხსენიება, ძველი, ქრისტემდელი კოლხების უახლოეს პირდაპირ შთამომავლებად, მაგრამ ლეგენდები, მეცნიერული



კვლევები სხვადასხვა მიმართულებით და შემორჩენილი თვალსაჩინო ფაქტები ამბობენ სათქმელს...

ერთი ვინმე რიგითი ქართველი ხომ არ ჰყვება სიზმრად ნანახს, ან აკვიატება ხომ არ აქვს ერთ კონკრეტულ პირს (ან პირთა ჯგუფს), მსოფლიო დონის ფრანგი, გერმანელი, ამერიკელი, რუსი, ინგლისელი და ა.შ მეცნიერები გამოთქვამენ მოსაზრებებს, ფაქტებს დებენ, ასაბუთებენ, რომ მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა.

ჯერ მხოლოდ რაც ჩანს, საქართველოს ისტორია ახლიდან დასაწერია, რადგან ქართველი ერის ისტორიიდან, დღემდე აღმოჩენილი და კვლევების დადასტურებული შედეგებით, ყველაზე მცირე, ქრისტეს მოსვლამდე 4 000 წელია მოპარული.

წლების წინ (2002 წ.) ჯერ, ერთი „უცნაური კაცი" მოვიდა რედაქციაში, შემდეგ – მეორე (2011 წელს). სხვადასხვა წლებში რედაქციაში მოსული „უცნაური კაცები" ერთმანეთს არ იცნობდნენ, თუმცა მოთხოვნა ერთნაირი ჰქონდათ, რაც ერთი ფრაზით ასე გამოხატებოდა: „მე ქართველი ვარ და დამიბრუნეთ ჩემი ქართველი ღმერთი!"

წლების შემდეგ მათ კიდევ ორი „უცნაური კაცი" (ამჯერად ცნობილი პიროვნებები) დაერთო მოთხოვნით, კონკრეტულად ჩემთვის გაზიარებით უნდოდათ დაესაბუთებინათ, რომ ქართველები კოლხური ცივილიზაციის პირდაპირი მემკვიდრეები ვართ, ანუ ქრისტემდელი ცივილიზაციის შვილები, ჩვენი ისტორია მოპარულია ბერძნების მიერ.

მათ კიდევ სამი „უცნაური კაცი" შეემატა (2012 წელს), ამჯერად საქართველოს მისტიკური კუთხით დამნახავები, სინას მთის ხელნაწერების ასლებითა და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალით სავსე ჩანთებით. არც ეს სამი „უცნაური მამაკაცი" იცნობდა ერთმანეთს, თუმცა მათაც ერთი საერთო აზრი ჰქონდათ: „ქართველი ერის განსაკუთრებული მისია".

აღსანიშნავია ერთ „უცნაურ" კაცთან ჩაწერილი ინტერვიუ, რომლის გამოქვეყნების შემდეგაც, სავარაუდოდ, აგრესია თუ არა, რაიმე სახის გამოხმაურება მაინც უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ პასუხად სრული დუმილი იყო. რესპონდენტმა ეს დუმილიც წინასწარ „განჭვრიტა", ვინ და როგორ უნდა შემომედავოს სიმართლის თქმაში, განა თვითონ არ იციან რასაც ახლა მე ვამბობო?

რესპოდენტი კატეგორიულად აცხადებდა: „მე პატივს ვცემ ყველა რელიგიას და არავითარ შემთხვევაში არ გამოვალ არცერთი მათგანის წინააღმდეგ, მხოლოდ ის მაწუხებს, რომ ჩემი პირველქმნილი მეჩაგრება და მეკარგება. შეიძლება უამრავი ლაფი მესროლონ და ჩაქოლვაც კი მომინდომონ, მაგრამ რა ვქნა, საქართველოს ისტორიის ამდენ გაყალბებასთან, უძველესი ცივილიზაციის სრულ იგნორირებასთან შეგუება მიჭირს.

... მე ქვაზე ვმუშაობ, 25 წელია ამ საქმეს ვემსახურები, შესწავლილი მაქვს ღრმად, – ქართველებს არცერთი სკულპტურა არ გვაქვს გათლილი; მოზაიკა – მოზაიკა ქართველებს არ გვაქვს დატეხილი (მოზაიკა ჰქვია ქვის პატარა ზომებად დაკუბიკებას); არცერთ ჩვენს წინაპარს ქვა არ დაუკუბიკებია, მითუმეტეს სანტიმეტრიანი; ბერძნებს, 20 საუკუნის წინ ოცტონიანი ქვები აქვთ დატრიალებული. 21-ე საუკუნეა და ქართველებს ქვა არ დაგვიტრიალებია.

ჩვენი შეცდომა ის იყო, რომ ჩვენ დამწერლობა კი გვქონდა და ვწერდით ჩვ. წ. აღ-მდე, მაგრამ არ გვქონდა ქვაზე დამწერლობა, ვწერდით ტყავზე და ცვილზე, სანთლის დაფებზე, მერე დავიწყეთ ქვაზე წერა. ამ მიმართულებით ბერძნებს ჩამოვრჩებით მინიმუმ 25 საუკუნით.

ხალხმა უნდა გაიგოს სიმართლე, რაც დაავიწყეს და თავს მოახვიეს, უნდა გაიხსენონ... შაბათი მეშვიდე დღეა ბიბლიურად, ხომ? კვირის პირველი დღე არის ქართველთა ღმერთის შვილის დღე, დღესასწაული, რომელიც მითვისებული აქვთ ქრისტიანებს. რომ გამოვაცალკევოთ და აღვნიშნოთ, რომ ეს ქართული ღმერთის Dდღეა და არა ქრისტიანული, უკვე შედეგია. მაგალითად, სვეტიცხოველი შიგნიდან კვირაცხოველია, კვირაცხოვლობა ქართული დღესასწაულია, რომელიც ქრისტიანებმა მიითვისეს. ბარბარობაც ქართულია, მზის სალოცავია, რომელიც შემდეგ ქრისტიანებმა მიითვისეს უცხოურის ხიბლია – სვეტიცხოველს გარეთა კედლები რომ მოვხსნათ, საწყისი არის ქართული სალოცავი. ბავშვობაში, სვეტიცხოველში რომ დავდიოდი, სამი ახალგაზრდა გოგონა იყო გიდი და იმ მყარი ათეიზმის დროს კი, ისინიც ყვებოდნენ, რომ სვეტიცხოვლის შიგნითა კედელი იყო ქართული სალოცავის კედელი.

გაწმინდანებაზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა, – მაგალითად, ვაჟა-ფშაველას ვერანაირად ვერ გააწმინდანებს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, რადგან, ის ბუმბერაზი კაცი იყო ქართველთა ღმერთიანების უფროსი საქართველოში. ვაჟა დაიბარეს ხევისბერებმა და წამოყენებული იქნა ქართველთა მლოცველობის უფროსად. ხუთ წრედ რომ შემოავლოს თავზე შარავანდედი მართლმადიდებელმა ეკლესიამ ვაჟას, მაინც ვერ გადააქცევენ თავიანთ წმინდანად, ისევე, როგორც აკაკი წერეთელს, ვინაიდან არაფერში სჭირდება აკაკის უცხოური წმინდანობა, ქართულად ისედაც წმინდანია...

ჯვარი არის მსოფლიო ნიშანი, რომელიც აქვს ავსტრალიასაც ინდონეზიასაც, ტიბეტსაც, ევროპასაც და რომელი ერთი ჩამოვთვალო, ინდიელებსაც კი. ჯვარი სამყაროს ოთხი მხარეა და გვქონდა ჩვენც, ბერძნებსაც, აისორებსაც და ა. შ ჯვარი არ არის არც ქართული და არც არავის ნიშანი, სამყაროს ოთხი მხარეა და მორჩა, ქართული ნიშანი არის ბორჯღალი.

საქართველოში მცხოვრებო უცხოურად მლოცველო ქართველებო და უცხოელებო, გთხოვთ, დააბრუნეთ ქართველების კუთვნილი, თქვენს მიერ მიტაცებული ტაძრები, სალოცავები, ხატები, წმინდანები, რომლებსაც აღნიშნავთ უცხოური ნიშნებით: ჯვრით, მთვარით, ვარსკვლავით და ა. შ

დიდება და ქება ქართველთა სამყაროს შემქმნელს – „მორიგეს"!

2003 წლიდან დავდივარ რედაქციიდან რედაქციაში და ამაოდ – ქართველმა კაცმა, ჩემი ქართული ღმერთი დამიბრუნეთო, რომ თქვას, ამის თქმა საქართველოში თურმე აკრძალული ყოფილა. მაშინ რანაირად არის ეს ქვეყანა საქართველო, თუ ამის თქმაც კი მკრეხელობად ითვლება?"

ასეთ უცნაურ ამბებს ჰყვებოდა ის „უცნაური" კაცი, გვარად ღუდუშაური.



რაგინდ დამახინჯებული იყოს ისტორია, ლოგიკური ფაქტია, რომ სამყარო ქრისტეს მოსვლამდეც არსებობდა, ანუ ქრისტეს შობამდე და ამ დროს ეთაყვანებოდნენ „ვიღაცას" (ან „რაღაცას") ჩვენი წინაპრები. შესაბამისად, არსებობდა „რაღაც" ენაც, „რაღაც" ისტორიაც, „რაღაც ამბებიც"...

სანამ კონკრეტულად გადავიდოდეთ საკითხზე, რის მოპარვაზეა საუბარი და რანაირად

ებმის მითოლოგიასა თუ ზეპირ გადმოცემებში „რაღაც ამბები“, ის ვიკითხოთ და გავიხსენოთ, რატომ აიკრძალა ის და იმ „საქართველოს ისტორია“ 1953 წელს, რომლის ავტორები ივანე ჯავახიშვილი, სვიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი იყვნენ. ეს იყო სახელმძღვნელო, სადაც თვალნათლივ ჩანდა თანამედროვე „ქართველის“ წარმომავლობა, საიდან მოვდივართ და მთლიანად მსოფლიოსთვის რამხელა მნიშვნელობის ისტორია გვაქვს. საუბარია ქრისტეს მოსვლამდე 4 000 ათას წელზე, რომელიც დალაგების შემთხვევაში 7-8 ათასი წელიც გამოვა და 25 000-იც.

იმდენად არეულია ისტორიები, მითები და სინამდვილე, მკითხველისთვის ამბების შემკრებ-მთხრობელიც კი დაიბნევი საიდან დაიწყო უფრო გასაგები რომ იყოს, – რატომ გაჩნდა კითხვა: „იესო ქრისტემ თავისი უკანასკნელი სიტყვები ქალდეურ, ანუ წინარე ქართულ ენაზე წარმოთქვა?“ თუ „რა მოხდა ქრისტეს შობამდე კოლხეთში, რისი მოპარვა და რატომ ბრალდებათ ბერძნებს?“

როგორც მოგახსენეთ, „უცნაურ კაცებთან“ მიწევდა საუბარი. სამწუხაროდ, ზოგი მათგანი ამ ქვეყანაზე აღარ არის, თუმცა დარჩა მათი ნაუბარი;

კლიმენტი შელია (2011 წელი): – „საქართველოს ისტორია თავიდან ბოლომდე გაყალბებულია! როგორ შეიძლება, საქართველოს ისტორიაზე სომხების მიერ დაწერილი „ქართლის ცხოვრებით“ ვმსჯელობდეთ? ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორია“, სახელმძღვანელომ, რომელიც სამჯერ გამოიცა ქართულად (1943 წ, 1946 წ და 1948 წ), ორჯერ რუსულად (1946 და 1948 წელი) და სტალინური პრემია მიიღო სსრკ-ის მეცნიერები აღაფრთოვანა, ახმაურდა მსოფლიო, მაგრამ როგორცკი სტალინი გარდაიცვალა, მოსკოვმა წიგნი აკრძალა, მოძველდაო და მოითხოვა ახალი სახელმძღვანელოს დაწერა. 1958 წელს, ნებსით თუ უნებლიედ, აღარ აქვს მნიშვნელობა, ნიკო ბერძენიშვილის რედაქციით გამოიცა სრულიად



გაყალბებული საქართველოს ისტორია.

ცნობილი მეცნიერი, პროფესორი ზ. რატიანი წერდა, რუსმა შოვინისტებმა ისე დაგეშეს ქართველი, მათ წინააღმდეგ ნიკო ბერძენიშვილს არაფერი გაუვიდაო. სახელმძღვანელოს, რომელშიც სულ მცირე, 2500 წელი აქვს მოპარული საქართველოს ისტორიას, არ შეიძლება რაიმე მეცნიერული ღირებულება ჰქონდეს. მთლიანად გაყალბებული და შეთითხნილია ქართველი ერისა და უძველეს ქართველურ სახელმწიფოთა წარმოშობის ისტორიაო...

„ქართლის ცხოვრება“, ეს საშინელება, სომხურია, მაგრამ რათ გინდა, ყველა ისტორიკოსი „ქართლის ცხოვრებიდან“ ამოდის – აღარ შეიძლება ამდენი სიყალბე!

ტერიტორიები წაგვართვეს მტრებმა, მაგრამ უბედურება კიდევ სხვა რამეშია – კოლხეთს, დღეს რომ მხოლოდ სამეგრელოდ



მოიაზრება, უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავს რადგან ძალიან დიდ წარსულზე და დიდ კულტურაზეა საუბარი – ამის ატანა უჭირთ.

მე რომ წიგნი გამოვეცი „კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი“, წიგნის რედაქტორმა მითხრა ტექსტის ამკრეფ გოგონაზე, ეროვნებით სომეხიაო. იყოს, მე რას მიშლის-მეთქი, გამიკვირდა. არ გასულა ერთი თვე და სომხებმა გამოსცეს წიგნი „სომხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი“, სამი ავტორი აწერს ხელს. ამ გოგონამ იმდენად ვერ შეიკავა თავი, რომ ერთი წიგნი მე მისახსოვრა. წავიკითხე და ძირითადი დებულებები ჩემგან იყო გადაწერილი, კარგად იცოდნენ, ეტყობა, ქართული...

მე დღეს ვარ და ხვალ აღარ ვიქნები, მაგრამ იმ წიგნს, რომელიც დღეს გამოცემული არ არის, ვიღაც ხომ გამოსცემს როდესმე... თუ თქვენ ამას მიმიხედავთ, ჩემს საქმეს კი არა, უდიდეს ეროვნულ საქმეს გააკეთებთ...

მოდით, ასე შევთანხმდეთ, როდესაც კოლხეთზე ვსაუბრობთ, იგულისხმეთ საქართველო, რადგან კოლხეთი და საქართველო ერთია, მერე გაითიშნენ ისტორიის ბედუკუღმართობით...

პირველად ბელგიიდან დამირეკეს, ხახაშვილი იყო გვარად, ძალიან გახარებული იყო, ბატონო კლიმენტი, ეს რა წავიკითხეო... აშშ-ში გამოდის ე.წ ქართველი ებრაელების გაზეთი „დავითის ფარი“, მათ უნდოდათ ჩემი ნაშრომის გამოქვეყნება, მაგრამ როგორც ჩანს, გარკვეული მიზეზების გამო აღარ მოისურვეს...

საქართველომ დაკარგა ყველა ტერიტორია. ერაყი, ტიგროსი, ევფრატი... – საქართველო იყო. „კოლხუა“ ერქვა ერაყის დედაქალაქს, ანმარე („ღვთის კაცი“) ერქვა მეფეს, ძვ. წ. აღ-ით 3185 წლიდან 3120 წლებში მეფობდა. მე ხომ არ ვთხზავ ამ ამბებს, ყველა წყაროს ვუთითებ წიგნში...

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი **მთვარისა კევლიშვილი.**

**ტელ.:** 2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



**– როგორია არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ოჯახთან და გარესამყაროსთან ურთიერთობის საკითხი დარეგულირებული კანონის მიხედვით?**

– თქვენთვის საინტერესო საკითხს ამომწურავად პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 87-89-ე მუხლები, რომელთა შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

**– მუხლი 87. არასრულწლოვნის ოჯახთან და გარე სამყაროსთან ურთიერთობა**

1. არასრულწლოვან მსჯავრდებულს აქვს ოჯახთან და გარე სამყაროსთან ხშირი და რეგულარული კონტაქტის უფლება. კერძოდ, მას უფლება აქვს:

ა) ჰქონდეს თვეში 4 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 2 დამატებითი ხანმოკლე პაემანი;

ბ) ჰქონდეს წელიწადში 4 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 6 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი;

გ) თვეში ჰქონდეს საკუთარი ხარჯით 5 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არაუმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი;

დ) ჰქონდეს თვეში 4 ვიდეოპაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 2 დამატებითი ვიდეოპაემანი;

ე) შეუზღუდავად მიიღოს წერილები, ამანათები და გზავნილები. ამასთანავე, ამანათებისა და გზავნილების მიღების უფლება შეიძლება შეიზღუდოს ამ კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ) ისარგებლოს პირადი ტელევიზორითა და რადიომიმღებით;

ზ) არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში კვების პროდუქტების, პირველადი მოხმარებისა და სხვა საგნების შესაძენად თავის პირად ანგარიშზე არსებული თანხა ყოველთვიურად დახარჯოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში.

2. არასრულწლოვან ბრალდებულს უფლება აქვს, თვეში ჰქონდეს არაუმეტეს 4 ხანმოკლე პაემნისა. მას აგრეთვე აქვს უფლება, დაწესებულების ადმინისტრაციის კონტროლით, საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არაუმეტეს 15 წუთისა, და შეუზღუდავად მიიღოს წერილები და ამანათები. აღნიშნული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების ან სასამართლოს განჩინების საფუძველზე, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მიზნებისათვის არასრულწლოვანს უფლება აქვს, პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირების გარდა, მისი კანონიერი წარმომადგენლის და პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ნებართვით შეხვდეს აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს.

4. არასრულწლოვნის მიერ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას პატიმრობის დაწესებულება და არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება უზრუნველყოფენ არასრულწლოვნის შეუფერხებელ კონტაქტს და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.

**მუხლი 88. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლა**

1. არასრულწლოვან მსჯავრდებულს უფლება აქვს, წელიწადში სამჯერ ისარგებლოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს, რომელშიც შედის არასრულწლოვანი მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც.

2. არასრულწლოვან მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება ეძლევა მას შემდეგ, რაც მან ფაქტობრივად მოიხადა:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი;

ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ნახევარი;

გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი.

**მუხლი 89. თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნის დროებით გადაყვანა სხვა დაწესებულებაში**

1. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის დროებით გადაყვანა სხვა დაწესებულებაში დასაშვებია პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია მისი ან სხვა არასრულწლოვანთა უსაფრთხოებისათვის.

2. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხვა დაწესებულებაში დროებით გადაყვანისთანავე:

ა) მას უტარდება სამედიცინო შემოწმება;

ბ) კანონიერ წარმომადგენელს მიეწოდება ინფორმაცია მისი ადგილსამყოფლის შესახებ;

გ) მას ეძლევა უფლება, ჰქონდეს სატელეფონო საუბარი არაუმეტეს 15 წუთისა.

# ბერლინში, გოეთეს ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების „გარემოს დაცვის“ კონკურსში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის სკოლამ გაიმარჯვა!

გერმანიის დედაქალაქ ბერლინში 4-5 აპრილს, გოეთეს ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ, გარემოს დაცვის მეორე ახალგაზრდულ კონფერენციაზე „Umwelt macht Schule - სკოლა გარემოს დაცვისთვის“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის საჯარო სკოლამ გაიმარჯვა.

გვესაუბრება ჯგუფის ხელმძღვანელი **ციცინო ქობალია**.

ჩვენმა სკოლამ გამარჯვება ყოფილი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა 15 საჯარო სკოლას შორის მოიპოვა, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა სივრცის 275 სკოლას შორის შეირჩა.

ახალსოფლის საჯარო სკოლის გუნდს წარმოადგენდნენ ჯგუფის ხელმძღვანელი, გერმანული ენის პედაგოგი ციცინო ქობალია, სამოქალაქო განათლების პედაგოგი ქეთევან კიტია, მოსწავლეები მარიამ ჯოჯუა, მარიამ შეროზია და თამთა ჯოჯუა.

გოეთეს ინსტიტუტის ზემოაღნიშნული კონფერენცია მიეძღვნა მწვანე მოძრაობისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების მხარდაჭერა-პოპულარიზაციას, რა თქმა უნდა საგანთა ინტეგრირებით, მოსწავლეთა დაინტერესებას გერმანული ენით და სწავლების გაუმჯობესებას.





კონფერენცია მიმდინარეობდა ორ ეტაპად: პირველი ეტაპი მოიცავდა პროექტზე შექმნილი პლაკატების პრეზენტაციას. პლაკატზე უნდა ასახულიყო პროექტის მთლიანი შინაარსი და უნდა ყოფილიყო ვიზუალურად მიმზიდველი, ყველა შეკითხვაზე უნდა გაგვეცა ამომწურავი პასუხი. ჩვენს მიერ წარმოდგენილი პლაკატით დაინტერესდა თითქმის ყველა მონაწილე და შესაბამისად უამრავი კითხვებიც დაგვისვეს. მეორე ეტაპი კი პროექტების პრეზენტაციას მიეძღვნა. ორივე ეტაპზე უნდა გამოევლინათ გამარჯვებული გუნდი. აღმოჩნდა, რომ პირველი ეტაპის გამარჯვება ერთხმად მიანიჭეს ახალსოფლის საჯარო სკოლას. კონფერენციის მონაწილე მოსწავლეებს ჩაუტარდათ ასევე მასტერ კლასები სხვადასხვა თემებზე, სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა მოსწავლეებმა.

ახალსოფლის საჯარო სკოლის მიერ წარდგენილი პროექტი მიზნად ისახავს სკოლის მიმდებარედ გამდინარე წყაროს წყლის ეფექტურ გამოყენებას.

**ირინა დარჩია**

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს!

## ენერგეტიკის მინისტრს, ბატონ კახი კალაძეს!

ბატონებო, ყველა ნორმალურმა ადამიანმა იცის, რომ ბუნებრივი აირის გარეშე, დღეს წარმოუდგენელია ცხოვრება, თუმცა ისიც ცნობილია, რომ ამ მეტად საჭირო საწვავს, ერთი მეტად საშინელი თვისება აქვს. ოდნავი გაუმართაობა ან უყურადღებობა და იგი საშინელ ტრაგედიას იწვევს. შეიძლება თუ არა ამ უბედურობის თუ მთლიანად არა, საგრძნობი პრევენცია მაინც? რასაკვირველია, თუ კი ყველ მომხმარებელი ისარგებლებს გაზის დეტექტორით. ეს ხელსაწყო იმავე წამს გამოსცემს ხმოვან სიგნალს, როგორც კი გაზი ჟონვას იწყებს. ამიტომ ხომ არ გვეფიქრა კანონით მის გამოყენებაზე ყველგან, სადაც კი მას მოიხმარენ, რადგან ერთ ბინაში ან ობიექტივზე მოქმედი აპარატი, ჯერ კიდევ არ არის იმის გარანტია, რომ ტრაგედიას თავიდან ავიცილებთ. რაც შეეხება მის ღირებულებას, (30 ლარი) ეს თანხა სოციალურად დაუცველთათვის, შეიძლება ჩაიდოს აირის ყოველთვიურ გადასახადში და ეს მტკივნეულად არ დააწვება გაჭირვებულ ოჯახებს.

პატივისცემით
ნ. ნიკოლაძისა და
იუნესკოს პრემიების
ლაურეატი, რესპუბლიკის
დამსახ. ჟურნალისტი

**მერაბ ბერაძე**

ქ.თბილისი
25 აპრილი 2016 წ.

მისამართი თბილისი,
ბახტრიონის 24, ბინა 77.
ტელ: 214 23 05; 599 57 19 43.

# ვახტანგ და ნინო თორაძეების გახსენება

„ადამიანი ცხოვრებაში უამრავ შეცდომას უშვებს. მთელი ჩემი გადაწყვეტილებების 95% მცდარი გადაწყვეტილებების უწყვეტ ჯაჭვს შეადგენდა. თუმცა ერთი ჭკვიანური ნაბიჯი მაინც გადავდგი. ის, რომ ჩემი ცხოვრება შენ დაგიკავშირე. არადა, რამდენჯერ გული გატკინე. შენ კი ყველაფერს მითმენდი...

გმადლობ შენ ამისთვის...

ნუ მომიგონებ ჩემო გოგო ცუდად“...

ეს გახლავთ ვაჟკაცი ქართველის, ღირსეული საზოგადო მოღვაწის და მეგობრის ვახტანგ თორაძის უკანასკნელი წერილის ფრაგმენტი საყვარელი მეუღლისადმი.

2014 წლის 13 დეკემბერს დიდებული ადამიანი ვახტანგ თორაძე გარდაიცვალა.

მეუღლის მიმართ მიწერილი ამ პატარა წერილიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორი პიროვნება იყო ვახტანგ თორაძე.

მისი საქმიანობის გვრიგვინად შეიძლება ჩაითვალოს ფუნდამენტური ნაშრომები „საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია მე-19 და მე-20 საუკუნეებში“ და „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია“, რომლებიც ერთადერთ ქალიშვილთან ნინოსთან ერთად შექმნა.

ვახტანგ თორაძე გახლდათ ბუნებათსარგებლობის უნივერსიტეტის რექტორი, გამოჩენილი ეკონომისტი. მისი აღზრდილები დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში წარმატებით მოღვაწეობენ.

ხშირად, ადამიანები, როდესაც დიდ საზოგადო საქმეებს ეჭიდებიან, პირადი ურთიერთობებისთვის ვერ იცლიან. იმის





მიუხედავად, რომ ჩვენი ვახტანგი სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა, წერდა ისტორიულ ნაშრომებს და შესანიშნავ ლექსებს, იყო გულითადი მეგობარი და თანამდგომი.

ვახტანგ თორაძის სიცოცხლის ბოლო დღეების უდიდესი ტკივილი გახდა მისი ერთადერთი ქალიშვილის ნინოს გარდაცვალება, რის შემდეგ 6 თვეში თვითონაც გარდაიცვალა.

დღეს მათ კვალზე მარიამ ბარამიძე იზრდება და სახელოვანი დედისა და ბაბუის სახელს სათუთად ინახავს.

მსუბუქი იყოს ქართული მიწა თქვენს გულზე, ჩვენო საყვარელო ადამიანებო — ვახტანგ და ნინო თორაძეებო.

„მოველი აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისსა საუკუნესასა, ამინ“.

სასუფეველში იყოს თქვენი ნათელი სულები.

**მეგობრები და ახლობლები**

ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com